ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარი

6

1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართლის გზაზე

ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა,
რაც უფლისციხეს გამოვცდით, უფრო და უფრო გახშირდა;
მინდვრებს, გორაკებს, ფერდობებს ეფინება და ედება,
გზაში ყაყაჩოს შეხვედრა სიკეთედ დაგვებედება;
სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდება!
ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა,
რაც უფლისციხეს გამოვცდით, უფრო და უფრო გახშირდა;
მოდი, ჩვენ ეხეც ვიკმარართ და სხვა დიდება ნუ გვინდა,
ყაყაჩომ თუ მოგვნათოს ლამაზი ქალის შუქითა!

ლადო ასათიანი

განშორება

ყველა მოკლე და ქერა ომის ნახვით
გამახსენდება თმები შოლტები.
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივდივარ, მაინც გშორდები.

ასე თოშავდნენ ძველი ზღაპრები
ასფურცელას და ოქროსთმებიანს,
ქარმა დაგლიჯა ყველა აფრები
და შენზე დარდში დამთენებია.

მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები
და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს.
მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ.

ვირზა გელოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსკო

241

გამოცემის ჟეოცე წელი

6

ივნისი

1977

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ვ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროზა, პოეზია

3. რევაზ ინანიშვილი — მოთხრობები
12. ვახტანგ გორგასელი — კოლხური გაზაფხული. ლექსები
14. ნუგზარ შაბაძე — მოთხრობები
21. მირიან მირნელი — ლექსები
23. როდამ ჩაჩანიძე — მოთხრობები
37. რევაზ ოსეფაიშვილი — ლექსები
39. რევაზ მიშველაძე — ნოველები
57. ალუდა არაბული — ლექსები
59. იოსებ კაბელიაშვილი — ტიციანის დღე. მოთხრობა
64. რენე კალანდია — ლექსები
67. მირანგულ აბასჯანიშვილი — ლექსები
69. ბორის ანდრონიკაშვილი — ვახშამი განთიადისას. მოთხრობა.
75. კარლო ოდიშვილი — ლექსები

ასეულცელას რვეული

76. ავთანდილ მეგრელიშვილი — ლექსები
77. ჯანთბა ქორძიძ — მაია ზღვაბერები

ახალი თარგმანები

84. ტედორ არგეზი — ლექსები. თარგმნა გივი ალხაზიშვილმა
86. ისაია ბაბელი — აღსასრული. თარგმნა თამაზ კვაჭანტირაძემ

ნარკვევი

90. გია ქაჯაია — ბენების დაცვა და თანამედროვე ეკოლოგია
96. ეკა პრეობლო

რევაზ ინანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი რეველიდან

მოთხრობები

ხელის-გულებით ნალესი ქოხი

მე აქ თორმეტში ჩამოვედი, აქაურ არქივში მაქვს სამუშაო. რაც შენი წერილი საახალწლოდ მივიღე, მერე მანდაური არაფერი მსმენია. ხომ იცი ჩემი ხასიათი, — თორმეტშივე, ღამით, ცუდი სიზმარი ვნახე. სადღაც ჩვენს სოფელში, არხის პირას ლოგინს ვიშლიდით. შინ ვითომ სტუმრები გვყავდა, — ქალები, კაცები, პატარა ბავშვები. ირეოდნენ, იცინოდნენ, ჭურჭელს ამტვრევდნენ. გამეღვიძა, გული ძალზე დამძიმებული მქონდა, ხუთი საათი იყო, ავდექი, წყალი მოვუშვი და სამჯერ ვუთხარი, — წყალო, შენ წაიღე-მეთქი ჩემი სიზმარი! მართალია, ეს მდინარეს უნდა უთხრა, მაგრამ საბოლოოდ ორკაპის წყალიც ხომ მდინარეში ჩავა! დავწექი და ერთი პირობა კიდევ ჩავიძინე, მაგრამ, გასაოცარია, ისევ ის ვნახე, — ჩვენი სახლი სტუმრებით იყო სავსე, ჭურჭელს ამტვრევდნენ. მაშინ უკვე გათენებისთვის აღარ დამიცდია, ჩავიცვი და გარეთ გამოვედი, — ცოტას გავივლიდა, მერე დროც მოვიდოდა და თქვენთან დავრეკავდი. ვიარე ნისლიან ბაღში, თოვლში, ათ-

გრადუსიან ყინვაში. გახდა შვიდი საათი და წავედი საქალაქთაშორისო ტელეფონების პუნქტში. იქ მითხრეს, თბილისს ღამის ათ საათამდე ვერ მოგცემთო, რაღა უნდა მექნა, ტალონი ავიღე და სასტუმროში დავბრუნდი.

არქივს იმ დღეს დასვენება ჰქონდა, გაზეთები ვიყიდე, ნომერში ამოვედი და კითხვა დავიწყე. ლიტერატურულ გაზეთში ერთი ჩვენი თანამემამულის მოთხრობას წავაწყდი. უბრალო, პატარა ამბავი იყო: მამას თავისი ბავშვები წყნეთის ტყეში მიჰყავს სასეირნოდ. ტყე ყოჩივარდებით არის სავსე, ბავშვები დარბიან სქლად დაგებულ ფოთლებში და იმ ყოჩივარდებს კრეფენ. მამა ზის, არა, მიწოლილია პირმზოთში, უყურებს მათ სიხარულს და ცრემლი ჩამოსდის, მეტი არაფერი. მაგრამ იმ წუთას ძალიან იმოქმედა ჩემზე ამ მოთხრობამ. ისე მომინდა თქვენი ნახვა, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ჯერ დაძინება ვცადე, დავიძინე კიდეც, მაგრამ წინ კიდევ დიდი დრო მქონდა, ათამდე. როცა თქვენთვის უნდა დამერეკა, ისევ ქალაქში წავედი, ერთი ინდური სენტიმენტალური ფილმი ვნახე, ექვსი საათისთვის დავბრუნდი, ისევ ნისლი იყო, ისევ ცოოდა. ცოტა ხნით გაიჭრა ის ნისლი. დავინახე, დათოვლილი ბაღის იქით, შავი ხეების ფონზე, უხმოდ, ცისფერი ციმციმით მდიოდა მატარებელი. კიდევ უფრო მძიმედ შემომწვა სევდა და გადავწყვიტე, რესტორანში ჩავსულიყავი, ერთი ბოთლი ქართული ღვინო დამელია, ეს უთუოდ შვებას მომცემდა.

ჩავედი რესტორანში, მივუჯექი ცარიელ მაგიდას, ვზივარ. არც მშია, არც არსად მეჩქარება. უბრალოდ — ხან ორკესტრს შევყურებ, ხან ხალხს ვათვალიერებ. ხალხი კი, როგორც აქეთ ყველგან, აქაც უმთავრესად მივლინებით ჩამოსულები იყვნენ. მოვიდა ორი ოცი-ოცდაერთი წლის ბიჭი, ჯერ ისევ ბავშვურად დაკოხილნი. მაღლები, ლამაზები. მოიყვანეს ერთი მშვენიერი გოგო — თხელი, ამართული, მოკლეკაბიანი. დასხდნენ, ორი სიტყვით შეუცვეთეს რაღაც. ადგა ერთი ბიჭი — ... გოგო. ახლა მეორე ბიჭი ადგა, ახლა იმან აცეკვა. უკეთესს ვერას ნახავდა ადამიანის თვალი. განსაკუთრებით გოგოს. ცეკვავდა, — თითქოს სასოწარკვეთის თეთრ ყვავილებს ელამუნებოდა სახით. ოფიციანტმა ორას გრამამდე კონიაკი მოუტანა, ნელ-ნელა დაიწყეს სმა. შეთქმულებივით იდუმალებით მოსილნი, თითქმის არ ლაპარაკობდნენ.

ერთი ბიჭი ჩემს პირდაპირ იჯდა, რამდენჯერმე შემომხედა და ამათვალიერა. მერე წამოდგა, მოვიდა ჩემთან, ხელებით დაებჯინა მაგიდას და მეუბნება.

— მოგწონს ჩვენი გოგო?

რა დასამალი იყო, რომ მომწონდა, მომწონს-მეთქი.

— მაშინ დაგვიდგი ერთი „ენისელი“ და წაიყვანე, თუ გინდა, მთელი ღამე შენ გყავდეს.

ჯერ ვიფიქრე, ხომ არ მამასხარავებს-მეთქი, წამოვეთვე, მაგრამ მერე შეკატყე, გულწრფელად მთავაზობდა. — ნუ გეძვირება, გენიალური გოგოაო, — და ამან უფრო თავზარი დამცა. ერთს ამას მიეხვდი, დრო მჭირდებოდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პასუხისათვის; თავს ძალა დავატანე, ეს ვუთხარი, — ცოტა მაცალე, მოვიფიქრებ-მეთქი, თანაც ისეთ კილოზე, თითქოს უკვე მხარს ვუპამდი მის ხუმრობას თუ სიმართლეს. ათ წუთს გაძლევ მოსაფიქრებლადო. წავიდა, გაიყვანა ის გოგო და კიდევ უფრო მომხიბვლელად აცეკვა. მე კი ვიჯექი, კბილებს კბილებზე ვაჭერდი და აქოფოთებული ნერვების დამშვიდებას ვცდილობდი. იმ ათ წუთში, ათში კი არა, უფრო ცოტაში, ათასი რამე გამახსენდა. ყველაზე მწარედ რა გამახსენდა, იცი? თქვენთან რომ მოვედი სულ პირველად, დიდი, მაგარი ჩალის ქუდი რომ მეხურა, ტილოს ფეხსაცმელები რომ მეცვა, თუთის სიბნელეში რომ ვაკოცეთ ერთმანეთს... უცვნ დავლიე. რაც ბოთლში ღვინო იყო დარჩენილი, მი-

ვედი იმ ბიჭთან, გოგოს რომ მთავაზობდა, და ვუთხარი:

— ცოტა ხანს გამომყევი გარეთ!

ერთი კი შეფიქრიანდა, მაგრამ მერე ღიმილით წამოდგა. წამოდგა მეორე ბიჭიც. გოგო არაფრის მეტყველი თვალებით გვაცილებდა, ორი ხელით ეჭირა ჭიქა, მსხვილი ტუჩები ბახსნილი ჰქონდა. გავედით საგარდერობოსთან. გამიწყდა მოთმინების ძაფი და ისევე, შემოუბრუნებლად მოვიქნიე ხელი, მაგრამ ძალიან მარჯვედ გამიხტენენ განზე. მე წავბარბაცდი და, სანამ გავიმართებოდი, ყბაში ფეხი მომხვდა. ვწვდი იმ ფეხს, ავწიე მაღლა, მეორე ფეხზეც ფეხი დავადგი. რა მინდოდა, არ ვიცი, სამმა მილიციელმა ძლივს გამომგლიჯა ხელიდან.

ის ღამე მილიციაში გავატარე და, რაღა თქმა უნდა, ვეღარ დაგირეკეთ. მილიციაში გავატარე შემდგომი დღე და ღამეც. მერე დიდი ქარბუქები ატყდა და ხანს არ იყო. გამომძიებელს არასწორი ჩვენება მივეცი, შემაგინეს-მეთქი, მაგათ გოგოს ვუყურებდი, რას უყურებო და შემაგინეს-მეთქი. მაინც დამენანა თუ, რა ვიცი რა, ის გოგო! და აი, ახლა ვზიავარ და ველოდები, როდის დამიძახებენ სასამართლოზე. მაგრამ მე სასამართლო არ მაფიქრებს. მთავარი სხვა არის, — შემიპყრობს ხოლმე რაღაც უცნაური სევდა, საგნობრიობამდე დამძიმებული, გამკვრივებული: სევდა. მეჩვენება, რომ... ნუ შეგეშინდება, შეიძლება სულაც ნისლიანობის ბრალი იყოს, — მეჩვენება, რომ მე და ჩემისთანები, ოცდაათიანი წლების ქალაქის გარეუბანში აშენებული ქოხები ვართ, ქაფჩის უქონლობის გამო ლისგულებით ნალესი. ამ ქოხებში ტალიანს წყალდაკურებული მიწის სუნი, კედლებზე ჰკიდია ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი მწერლებისა და კომპოზიტორების სურათები, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას — შავ ჩარჩოში ჩასმული პაპისა და ბებიას სურათი, პატარა სარკმლები ღიაა, გარეთა რაფაზე პურის ნამცეცები ყრია ჩიტებისათვის... და თუ ჯერჯერობით კიდევ ვარსებობთ ქვეყანაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდ, რკინა-ბეტონის ნაგებობებს არ ვუშლით ხელს. საკმარისია, მოვიდნენ, მოგვიახლოვდნენ, მოგვაყენებენ ბულდოზერებს და ჩაგვშვავებენ ხვევებში.

ეს ფიქრი, ფიქრი-მოჩვენება, საღამო ხანს ჩამომაწვება ბურუსთან ერთად, დამძიმდება, გაიაზნევდება შუაღამისას, ძილ-ღვიძილში... გათენდება თუ არა, უფრო ადრიდანვე, როგორც კი ცოცხების ფხაკუნს დაიწყებენ მეეზოეები ტროტუარების ყინულზე, — მე უკვე მიწა ვარ, ჩემთვის ჩაყუჩებული მიწა, — როგორც არ უნდა დამფშვნა, სადაც არ უნდა ჩამყარო, მოვა ღრუბელი, მომიტანს წვიმას და აღმოვაცენებ ბიბინა ბალახსა და შრიალა ფოთლებს.

მაგრამ მაინც ძალიან მჭირდები შენ.

ჩემი მისამართი აქ არ მეტევა და კონვერტზე ვწერ. იქნებ მოახერხო და ჩამოხვიდე. თვის ბოლოსთვის შეც ყველაფერს ვამთავრებ, ვიყიდით რაღაცრაღაცებს და ერთად დავბრუნდებით შინ.

1970 წ.

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ

დარეჯანი ჩვენი ნათესავი იყო. ომის წინა წლებში, იმ უცნაურ დროს, კარზე დაკაკუნება რომ აფრთხობდა ოჯახებს, ჩვენთან მოუხშირა სიარულს. ჩემი მამა-ბიძა უკვე წაყვანილი იყო. დედა თვალებგაშტერებული საქმიანობდა ხოლმე. დარეჯანს თუ დაინახავდა, მხოლოდ მაშინ გადაეფინებოდა სახეზე ნათელი.

დარეჯანი დიდი ქალი მეგონა, — ტანად დიდი იყო, დიდად მომზირალი,

რევაზ ინანიშვილი
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონიერი. ერთხელ ეზოში წნორის მსხვილი ძირი ვედო, ორმა კაცმა წვალებით ჩამოგდო წინა დღეს ურმიდან, გამოიარა დარეჯანმა, — რა შორიანი ხეცსურივით არის ეს მორი გახიდულიო. — ჩაიხარა, ამოსდო მხრებამდე შიშველი მკლავები, აუწია თავი, ნახეკარი წრე შემოახაზვინა, მერე მეორე თავი აუწია, და ასე მიიტანა ღობის ძირამდე. სახტად დარჩა ჩვენი მეზობელი მეგარმონე. დარეჯანმა კი მარტო კეთილად გაიღიმა. რაც არ უნდა ეკეთებინა, სულ ასე კეთილად ეღიმებოდა.

გვიანშემოდგომას, ნოემბრის ბოლოს, წვიმებში, დიდხანს რჩებოდა ხოლმე ჩვენთან. ძალიან ხელგამომავალი ქალი იყო, ან ქსოვდა, ან ქერადა, ან ქარგავდა, ყველაფერს ჩაკირკეტებით, ჩატკბილით აკეთებდა. მაგრამ ყველაზე მეტად მატყლის ჩეჩვა უყვარდა. იჯდა ძირს, იატაკზე, ფეხებგამოშლილი, ოდნავ წამოხრილი, ედგა წინ საჩეჩელი და თითქოს ქვეყანასა აჩვენებდა, — აი, რა შეუძლიათ ჩემს ხელებსო, — შეტეტუპებულებს გამეტებით დაიქნევდა საჩეჩელის წვერისკენ და მერე მშვიდად მიაფრენდა აქეთ-იქით. ჩვენ, ჩემი დაძმები, ყველანი პატარები, გავუმწკრივდებოდით წინ, აღტაცებული შეეყურებოდით და ვეთხოვდით, თან ზღაპარიც ეამბნა. ჩვენცა ვეთხოვდით და დედაც. დარეჯანს დიდი ხვეწნა-მუდარა არ სჭიდრებოდა, ასწევდა თავს, გადახრიდა ოდნავ გვერდზე, გამოაჩენდა სავსე თეთრ ყელს, გაიღიმებდა და დაიწყებდა, — იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, კაცი და დედაკაცი...

ჩვენ სულს გაენაბავდით, დარეჯანი კი ყვებოდა, თითქოს თავისაქნევით მღერიოდა, ხმას მატყლის ჩეჩვას აყოლებდა, უხაროდა, რომ ზღაპარიც კარგად გამოსდიოდა და მალიმალ გადმოგვიყურებდა თვალებს.

შეეცადები გიამბოდი მისი ერთი ზღაპარი. ეს ზღაპარი დარეჯანსაც გამორჩევით უყვარდა, ჩვენცა, პატარებს. თან იგი, ამგვარად ნაამბობი, მერე ალარსად მომისმენია, არც მომისმენია, არც წამიკითხავს.

იყო ერთი ღარიბი — დედა-შვილი. დაჰქსოდა დედა ჭრელ-ჭრელ წინდებს, წაიღებდა შვილი ქალაქში, გაჰყიდდა ბაზარში, იყიდდა ჰურს და ცხოვრობდნენ ესე, თავიანთთვის.

მიდის ერთხელ ბიჭი ქალაქში, წინდები მიაქვს, გიინდოდავს და დაინახავს: ჩაუბიათ თოკი ლეკვისთვის ქალაქის ბიჭებს, მოათრევენ, უნდა დაახრჩონ. გადაუდგება წინ ჩვენი ბიჭი, — ემაგ ლეკვს ნუ დაახრჩობთ და აი, წინდები, ამ წინდებს მოგცემთო. მისცა წინდები, გამოართვა ლეკვი, ამოისვა უბეში და წამოიყვანა შინ.

— ნეტა რა გველეკვებოდა, შვილო! — შეწუხდა ბიჭის დედა, მაგრამ რაღა უნდა ექნა, დაქსოვა ისევ წინდები, წაიღო ბიჭმა ქალაქში, მიდის, გიინდოდა და რასა ჰხედავს ახლა: კატის კნუტს მოათრევენ ქალაქელი ბიჭები, ისიც უნდა დაახრჩონ. გადაუდგება წინ ჩვენი ბიჭი, — ემაგ კნუტს ნუ დაახრჩობთ და აი, წინდები, ამ წინდებს მოგცემთო. მისცა წინდები, გამოართვა კნუტი, ამოისვა უბეში და წამოიყვანა შინ.

— კნუტიცა გვეკლდა, შვილო?! — ამაზეც შეწუხდა ბიჭის დედა, მაგრამ რაღა უნდა ექნა, დაქსოვა ისევ წინდები, წაიღო ბიჭმა ქალაქში, მიდის, გიინდოდა და ახლა რასა ჰხედავს კიდევ: გველის წლოკი დაუტეხიათ ქალაქის ბიჭებს, უნდა ჩააქვაონ. გადაუდგება წინ ჩვენი ბიჭი, — ემაგ წლოკს ნუ მოჰკლავთ და აი, წინდები, ამ წინდებსაც მოგცემთო. მისცა წინდები, აიყვანა ის წლოკიც, ამოისვა უბეში და წამოიყვანა ისიც შინ.

გზაზე, მარტო რომ დარჩნენ, ამოიღო ხმა გველის წლოკმა, ადამიანის ენაზე ეუბნება: მე ვერაფერში გამოგადგები, ძმაო, მომიყვანე ამა და ამ ხეშო. ჩემს დედ-მამასთან, დიდ სიმდიდრეს მოგცემენ. დიდ სიმდიდრეს მოგცემენ, მაგრამ არაფერი აიღო ერთი

პატარა, ნამის წვეთივით წკრიალა თვალის მეტი. მიიყვანა ბიჭმა წლოკი ხეში. ხევია — ღრმა და ჩაიდუმალებული. გამოცურდა ორი დიდი გველი, დაინახეს დაკარგული შვილი, ჩაჰყლაპავენ სიხარულით და ამოუშვებენ ისევ, ჩაჰყლაპავენ და ამოუშვებენ ისევ. წაიყვანეს ბიჭი, შეიყვანეს გამოქვაბულში, შესთავაზეს, რა გინდა თვალო და გულო, — ოქრო გინდა თუ ვერცხლი, ბრილიანტი გინდა თუ მარგალიტი, მაგრამ ბიჭმა არაფერი აიღო. მაშინ გამოიღო დედაგველმა ენის ძირიდან ნამის წვეთივით წკრიალა თვალი და მისცა. ბიჭმა ის თვალი კი გამოართვა. წამოვიდა და წამოიღო შინ.

რა თვალი იყო, როგორ იტყვით, ნატვრის თვალი? არა. ეგეთი თვალი, — რომ ინატრო და სასახლე სასახლეზე დგიდგას, არცა ყოფილა და არც იქნება. ისა იმედის თვალი იყო მარტო. ის რომ კაცსა ჰქონდა, გული და ჯანი სავსე ჰქონდა, ის რომ შინ ეგულებოდა, ყველგან გამარჯვებული გამოდიოდა. ამით დაიდგა ბიჭმა სახლები, ამით იშოვა ქონება, შეირთო ლამაზი და კარგი ქალი. ცხოვრობდა ბედნიერად — ისიც, დედამისიც, ცოლიც და თავისი კატა და ძაღლიც.

ჩამოიარა ერთხელ ერთმა ფინთმა ვაჭარმა, ჩამოატარა უცხო-უცხო სავაჭრო. ბიჭი შინ არ იყო. გავიდა იმისი ცოლი, რაღაც-რაღაცებს ყიდვა უნდა, მაგრამ ფული ხელზე არა აქვს. ვაჭარი ეუბნება, თითქოს სიზმარში ენახოს, — პატარა თვალი რომა გაქვთ ამა და ამ ადგილას, დებას რასა რჩებით, გამოიტანე და აირჩიე, რაც კი სულით გინდათ. არ იცის ქალმა რა თვალია ის თვალი, ქმარს არა აქვს ნათქვამი, გამოუტანა და მისცა, აირჩია ზოგი ტანისთვის, ზოგი ფეხისთვის, წავიდა ვაჭარი, გაჩქარდა, დაიკარგა.

დაბრუნდა შინ ბიჭი, გაიგო, რაც ცოლმა საქმე ქნა და დაჯდა, დაღონდა. დაიწყო ცოლმა საყვედურები და ტირილი. ბიჭმა კი წაიყვანა კატა და ძაღლი და წავიდა იმ ვაჭრის საძებნელად. სად უნდა მოძებნოს? ბევრი იარა, ქვეყანა შემოიარა და ბოლოს ძაღლიც მიაგნო ვაჭრის კვალს, გაგვა, — ბილიკს მიადგა. დიდი, სწორი ზღვაა, იმ ზღვაში კუნძულია, იმ კუნძულზე სასახლეა ასული, ვაჭარი იმ სასახლეში ცხოვრობს. დგანან და უყურებენ კატა, ძაღლი და ბიჭი. რა უნდა ქნანს! კატამ უთხრა ბიჭს: — მე ცურვა არ ვიცი, ძაღლმა შემისვას, გამიყვანოს კუნძულზე და მერე მე ვიცი და ჩემმა კატობამაო. შეისვა ძაღლმა კატა, შეცურდა ზღვაში, იცურა, იცურა და გაიყვანა კუნძულზე. დღისით არაფერი შეიძლებოდა. ერთ ქვას ამოეფარნენ და დაღამებას დაუცადეს. კარგად რომ დაღამდა, შუადამე გახდა, გადაძვრა კატა სასახლეში, ვაჭარს ის იმედის თვალი ენის ქვეშ ედო და ისე ეძინა, დაიჭირა კატამ თაგვი, ამოუვლო კუდი საძმრეში, მიეიდა, მიუტანა ვაჭარს ცხვირთან და შეუჩუჩუნა თაგვის კუდით ნესტოში. დაიცქმინა ვაჭარმა, წამოუვარდა ის თვალი, დასტაცა კატამ პირი და ჰკრა ფხაჯი, წამოიღო.

ძაღლი გარეთ უცდიდა, ატყდა, — გინდა თუ არა, თვალი მე მომეცი, მე უნდა წამოვიღოო. ბევრი ეუარა, ბევრი ეხვეწა კატა, — წყალში რამეს დაინახავ, დაჰყეფავ და გაგიკვრეს ბაო, შაგრამ ძაღლი არ მოეშვა და ბოლოს მაინც მისცა. შეისვა ძაღლმა კატა, მოდიან, მოცურავენ ზღვაში, გაუარათ წინ ერთმა დიდმა ნათელთევზამ, დაავიწყდა ძაღლს, პირში რომ იმედის თვალი ედო, დაავიწყდა კატის გაფრთხილებაც, დაჰყეფა, გამოუვარდა ის თვალი და წავიდა ძირ-ძირ...

კინაღამ თვალები ამოსჩიჩქნა ძაღლს კატამ, მაგრამ ამით საქმეს რაღა ეშველებოდა. შემოიწყო თავზე ხელები იმედგადაწურულმა ბიჭმა და გამიბრუნდა უკან, გამოჰყეა დამნაშავე ძაღლიც, მოჰყევება შორიახლოს, სულ თა-

რევაზ ინანიშვილი
ბოთხოზეები

ვჩაღუნული, კატა კი ზღვის ნაპირას დარჩა და იყო იქ. მეთევზეები რომ თევზს გამოიტანდნენ და გამოშიგნავდნენ, ის სულ იმ შიგნეულში იქექებოდა, დაბერდა, მოლად გაილია ჯაფით და ბოლოს მაინც იპოვნა დაკარგული თვალი. წამოიღო გახარებულმა და მიუტანა იმედგადაწურულ პატრონს.

ცხოვრობდნენ იმ დღიდან ისევ ბედნიერად — ბიჭიც, დედამისიც, ბიჭის ცოლიც და მისი კატა და ძაღლიც.

ალალმართლობა არასოდეს დაიკარგება, კარგებო, ჯაგიანებო, მამათქვენიც დაბრუნდება, ბიძათქვენიც, ყველანი დაბრუნდებიან, ვინც მართლები არიან.

ომის წინა წელს, შემოდგომაზე, დარეჯანი გათხოვდა, კახეთში წაიყვანეს. ჩვენთან ასე იციან, — ქორწილიაო, ქორწილიაო და ბავშვები ფანჯრებიდან უყურებენ მექორწილეებს. მე რატომღაც მერიდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც მეც შევახედე. დარეჯანი და კახელი ნეფე წითელი ხალიჩის ფონზე ისხდნენ, დარეჯანს შუბლზე ციმცრამა თვალებიანი წვრილი ჩიტი ედგა, ლეჩაქბაღდადი ეხურა. ოქროსფერი მაზლინავი ბაღდადი ნიკაპქვეშ ბაჭოლა ედგა. ნდა გაბანტული. არც მანამდე და არც მერე მე არავინ მინახავს ისეთი ლამაზი, როგორიც იმ ღამეს დარეჯანი იყო. საერთოდაც იშვიათობა გახდა დარეჯანის მსგავსი ქალი. ტანსარული, ღონიერი, ლოყებლაჟღაჟა, მამიდასავით კეთილთვალებიანი ქალები ჯერ კიდევ მაშინვე, ომის წინაც ადარ იყო მოდაში. თავს მაშინაც ადარავინ იხურავდა, ადარც ლეჩაქ-ბაღდადს ხმარობდნენ. ვინ იყო, ვინ მორთა დარეჯანი ისე, არ ვიცი. იმ ღამეს თურმე თვრამეტი წლისაც გამხდარიყო.

ქორწილის რვა თვის თავზე დარეჯანის ქმარი ომში, წაიყვანეს და ადარ დაბრუნებულა. დარეჯანს ბიჭი გაუჩნდა...

შემდგომი ამბები თქვენც გეცოდინებათ. ქართველი ქვრივი ქალის ცხოვრების გზა ოდითგანვე დაწვრილებით არის ცნობილი და თქვენც ყველაფერი გეცოდინებათ დარეჯანისა.

1971 წ.

ხ ე ტ ე ბ ი

სუ ცეტები მყვანან, ქმარიც და შვილებიც. რაც მაგათ არ გაკეთონ, ის უნდა გაგიკვირდეს. ჩემმა პატიოსანმა ქმარმა, მე რომ მიმიყვანა, იმ წელიწადს ხარი შეღება, ერთი წითელი ჰყავდა, ერთი თაფლა, ორივე კოლექტივისები, ჩვენაო წითელები ვართო, წითელი ხარები უნდა მყავდესო და წავიდა, იორმუღანლოში ჩავიდა, თათრის მოლა იყო ერთი, ისას გამოართვა საღებავი, თვარეები წვერებს იღებავენ იმით, ამოიტანა და შეღება ის თაფლა ხარი. მერე, დიდი ბიჭი რომ გამოჩნდა, შალიკო, ოხა გაწურთნა, ორფეხზე დააყენებდა, დაუძახებდა, ჩემი სულელი ვინ არიო და თხაც უპასუხებდა, — მეეო. თან მეე-მეეს იძახდა, თან აეგრე სიმრგვლივ დადიოდა და ხალხს თავს უკრავდა. კოდალები ჰყავდა, ტყეში, ფუღუროში ენახა პატარა ბღარტები, ისე შეიჩვია, დადგებოდა შუა ეზოში, — კული-კულიო — და შეფრინდებოდნენ აქეთ იქიდან ოთხნი. ფრონტზე რომ ვირებს კუდზე ქვასა ჰკიდებდნენ, არ იყროყინონო, ეგეც ჩემი ქმრის მოგონილია.

დიდმა ბიჭმა, შალიკომ, ომიანობას მარხილში ძაღლები შეაბა და იმით ეზიდებოდა ლაჯებაურიდან შეშას. პატარა კიდევ, ამირანა, — ვიღაცას ეთქვა მშიშარა ხარო, — და მთელი ზაფხული ნათლიმცემლის ნანგრევებში იძინებდა. ორმოცდაცამეტში, სტალინი რომ მოკვდა, გორში წავიდნენ ექსკურსიაზე, იქიდან რომ დაბრუნდნენ, ცხენვალელი გოგო ჩამოგვგვარა. რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გვექნა, ვიყავით გამტკნარებულები. ბრიგადელს ეთქვა ჩემი პატიოსანი ქმრისთვის, რა ჩუმადა ხართ, ხალხო, პატარძალი ხომ მოიყვანეთო! ჩუმადაო! გაიტანა ჩემი მზითვის დიდი სპილენძის ტაშტი ჩემმა ქმარმა და დაკა! — ეგეთი ბრასუნი აუტეხა, ქალაქში ჩავიდოდა იმისი ხმა, — ეხლა ხომ გაიგონეთო.

ენაც ფინთი აქვთ სუყველასა. ჩემი ქმარი იყო, რაიონიდან გადმოსულ კაცს რომ ჰკითხა მინდორში, — ვინა ბრძანდებითო. მომაგრებული ვარო. აბა, შვილო, თუ ეგრეა, მე მოფამფალებული ვარ და თოხი შენ გამომართვი, მე ცოტას წავუძინებენ. მაგაზე გადაგვეკიდა თავმჯდომარე, ხე-ტყის დამზადებაზე გაგზავნა და კინაღამ მოინელა კიდეც. მორი დაეცა მარცხენა ფეხზე და ძალი მარილვით გადაუმტვრია. ვირი მაგისთვის გაიჩინა, ვირი და ვირის ტაპკა, დაჯდებოდა იმ ტაპკაზე და იმით დადიოდა ვენახი იყო თუ რა იყო. ხო ფეხს ძლივს დაათრევდა. სიცოცხეს მაინც არ იშლიდა. ხრეშჩოგობას, ვიღაც-ვიღაცებმა ვირების ამოხოცვა რომ დაამპრეს, რაიკომის მდივანთან მივედი და უთხრა...—ეს ვირი მთელ ოჯახს აცხოვრებს, მე არაფერში გვარგვარ, მაგის მაგვარად მე წამიყვანეთო. რაიკომის მდივნის თანმხლებები გაეცალნენ ბუღალ, — დაიბრეთ ეს მამაძაღლი, რაიკომის მდივანს კიდევ გასცინებოდა და გამოეშვა ჩემი ქმარიცა და ვირიც ის ვირი მერცხალა იყო, ის რომ მოგვიკვდა, — რა ვიცი რა შეეშამა იმ უბედურმა, ჩემმა ბიჭებმა დეპეშები აფრინეს ძმაკაცებთან, — მერცხალი დაგვეღუპა და გვეწვიეთ. პატივი გვეცითო. ისეთი ქელეხი გადაიხადეს, ზოგი კაცისთვის არ დაიხარჯებოდა ეგრე. ლავაში უყვარდა საწყალსო და სულ თხელი ლავაშები დამაცხობინეს.

მერე, ის საქვეყნოდ გასახელებული ვირი, მერცხალას მერე მოიყვანეს კახეთიდან. ვერ ვიტყვი. იქვე ერქვა კახეთში, თუ ჩვენებმა დაარქვეს, შახოს ეძახდნენ. იყო ეგ საცოდავი, ჯერეც თავჩაღუნული მშრომელი. ცამეტ წელიწადი გვემსახურა უსაყვედურო, ხანდახან მარტო წალამზე გადასული, სხვა რომ არაფერი ჰქონდა, წალამსა სჯამდა. ბიჭები მაშინაც მანქანებზე ისხდნენ, ერთი დიდ მანქანაზე. მერე — თავმჯდომარის კოლხოზნიეზე. მაინც იმ საცოდავ შახოს ედგა ჯაფა. ვენახი და შინ, შინა და ვენახი, ჭალა და მაღაზია, მაღაზია და წისქვილი. არ დიჯერებთ და ბოლოს გაჭაღარავდა, ცხვირთანაც გაჭაღარავდა, წარბებთანაც. მერე შალიკომ, დიდმა ბიჭმა, პობედა იყიდა, პობედამდე მოსკვიჩი გვყვანდა, წითელი, ადგნენ და ის მოსკვიჩი სავენახედ გადადეს, სავენახედო და ჩემ პატიოსან ქმარსაც ასწავლეს შოფრობა. რაკი იმანაც ისწავლა შოფრობა და იმ მოსკვიჩით დაბრძანდებოდა, შახო განთავისუფლდა. შახოს რაღა ვუყოთო! შეგროვდა სამი გიჟი ერთად, დასხდნენ, დაიწყეს თათბირი. — შახოს პენსიაში გასვლა ეკუთვნისო, — ჩემმა პატიოსანმა ქმარმა, — ხო სულ თავდადებული იყო საქმისათვის, ეხლა ერთი კაი გაცილება მოვუწყოთ და გავუშვათ თავისუფლადო. — რა მამა გვყავხარ, რა მამაო! — ეცნენ ბიჭები, ასწიეს მაღლა, შემოატარეს ეზო და გადაუშვეს ლობიოს ნარჩევში.

იმან ხომ მარტო ესა თქვა, ჩემმა პატიოსანმა ქმარმა, თავისუფლად გავუშვათო, ბიჭებმა მედოლე და მეგარმონე მოიყვანეს. ჩააბეს შახოს წითელი ლენტი, დაჰკიდეს კონსერვის ყვითელი სახეტრავი, ვითომ დიდი მენდალი, დააყენეს ის მედოლე და მეგარმონე, დაიკვრეგინეს საგზაო, გაიღეს პობედის კარი შახოს, მიიპატიჟეს, მობრძანდით, ბატონო. ვირი ნებით რას შევდიოდა, მაგრამ თან მოფერებით, თან მუჯლუგუნებით, ძალით შეეყუნეს შიგ, თავი მარჯვნივ ვაყოფინეს, თავიც და წითელ ლენტზე დაკიდებული კონსერ-

რევაზ ინანიშვილი
მოთხრობები

ვის სახურავიც. მეცა ვწყევლი, ჩემი რძლებიც. — გზის მიიმუნებო, სოფლის მასხარებო-მეთქი. ისინი კიდევ აქეთ გვადებენ ვალს. — ეგრე უნდა მადლის დაფასება?! ცამეტი წელიწადი რომ მაგან გვატარა, ერთხელ ჩვენ გავასესირნოთ, სამშობლო ვიჩვენოთ, იქნებ რა გულით უნდა იქაურობის ნახვაო! ჩასხდნენ — პობედაში დიდი ბიჭი, შალიკო, და ჩემი პატიოსანი ქმარი, მოსკვიჩში, პატარა, ამირანა, შალიკოს ბიჭი შოთა, მედოლე, მეგარმონე და ერთიც სართიქალელი ბიჭი, ამირანას ძმობილი, დაუკრეს მედოლე-მეგარმონემ გამოსამშვიდობებელი, მთელი სოფელი ჩვენ თავს არი, დაიძრნენ და წაიყვანეს ეგრე — ყოროყინ-ყოროყინით, სიცილ-ხარხარში ის საცოდავი. მისდევენ უკან სხვებიც მანქანების პიპინით. დაედევნა ჩვენი ინსპექტორიც, რასა ოინბაზობენ, რო ოინბაზობენ ეგენიო, მაგრამ ცოტა ხანში უკან მობრუნდა სიცილით, — რაღა მე ვაწყევინო, ბარემ სხვებმა დაიჭირონ, კახეთში ეგრე ხომ ვერ ჩავლენო.

იმ კახეთში კიდევ, სოფლები ხომ სოფლებზეა გადაბმული, აძლევენ ზეიმის სიგნალებს, გააქვს დოლსა და გარმონს დასტბუბუ, ერთმანეთს აწყდება გზებზე გამომდგარი ხალხი. ჩვენი ცეტები კი სხედან და მიდიან. საცა დუქანი დახდებათ, ჩამოვლენ, ფეხს გაშლიან, დაილოცებიან, იმ საწყალ შახოს ხან ნინკლებით გაუმასპინძლდებიან, ხან ტკბილეულით. მისდევს კახეთის მუქთაობა ჯელგად.

ერთ ინსპექტორს მოუნდომებია ნომრების ახსნა, მაგრამ ხალხს არ დაუნებებია, — შენაო, ქუდი ხო არ გიჭერს, აბა, თითი შეიყავი რკალშიო. ჩასულან ესე იმ სოფელში, სადაც შახო იყო ნაყიდი, მიიყვანეს სწორედ იმ ვერხვთან და წყაროსთან, სადაც ფული ჰქონდათ დათვლილი შახოში, გადმოუყვანიათ მანქანიდან, გაიხარაო, გაიხარაო, — თურმე რომ დაიღო პირი და ამოუჯდა გული, სუ ღაპაღუპით სდიოდა ხალხს ცრემლიო.

გამოსულან იმ სოფლელები, ისინი უარესი ცეტები, ადრინდელზე ბარბარნები, იმისი ბიჭები, გაუბლიანთ ოქვა ვერხვის ქვეშ სუფრა, ღვინო ჰქონიათ, ღვინო, რომ ჰა! უსვიათ, უთამაშნიათ, ქალებიც უთამაშებიათ, მადლობის წერილი მიუცემინებიათ თავმჯდომარესთვის ბეჭდით, — პირუტყვის კარგი მოვლისთვის. ისევ ჩაუსვამთ შახო მანქანაში, იქიდან გომბორზე წამოსულან, ამოსულან მაღლა ულელტეხილზე, იქ ერთი მენახირე შეჰხვედრიათ, — ესეა და ესე საქმე, მოდი, ეს სახედარი შენს ნახირს ააყოლე, იყოს, იბალახოს და ჩვენზე იქნება, ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, ჩვენთან არაფერი დაგეკარგებაო. იმასაც, იმ მენახირეს, რომ უნახავს, რა ოხრებიც იყვნენ, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთო, გაუშვია მუხლამდე ბალახში. გადმოსულან მედოლე და მეგარმონე, დაუკრავთ გამოსათხოვარი; იმ მენახირისთვისაც დაულვინებიათ, ფულიც მიუცია, დაუკრავთ ერთხელაც და წამოსულან.

შინ რომ მოვიდნენ, ისევ დაგვეცა ჰთელი სოფელი. ჩვენ ხომ გზაში ვერ დავლვედით. დედი, შალიკომა და ამირანამ, აბა გაშალეო, გავშალე მეც, რაც კი მოგვეძევებოდა. იქეიფეს, იმღერეს, იმ ღამეს კიბეზე დგორდა ჩემი პატიოსანი ქმარი და კინაღამ მორეულ მოიტეხა ის მოტეხილი ფეხი. დილით კანტორაში დაიბარეს ყველანი, — რა ამბავში ხართ, ამხანაგებო, თქვენაო. მაგრამ, რა გინდა, რა! რაც ჩემები არიან, ისიც ახალი თავმჯდომარე გვყავს, სუ პირი ღია აქვს, გაზეთში გაგწერეთო, მაგრამ არც გაზეთში გაუწერიათ, არც არაფერი, სუ წვრილად შერჩათ მიიმუნობა.

განა მარტო ეგა? ძაღლი გვყავს ერთი, ფინთი, ფინთი, რომ ნაზუქსაც კი არ გვალლებათ მშრალად. ის ძაღლი ჩაუვარდა მანქანას თვლებში, გადარჩა, მარტო კუდი გაეჭეჭყა ცოტა. ამაზეც — მაღარჩი გვეკუთვნისო და კლარნეტით იქეიფეს დილამდე, ძაღლიც სულ სუფ-

რასთან ჰყავდათ, სუფრაზე წინაფეხებ-ჩამოწყობილი, თამადა ჩემი პატიოსანი ქმარი იყო, სამოცდასამი წლისა. შალიკო უნდა დაეჯილდოებინათ, ტრაქტორზე და კომბაინზე მუშაობს ეხლა, მაგრამ ემაგნაირი სიცეტეებისთვის აღარ დაჯილდოვეს, არც შალიკო, არც პატარა, ამირანა.

კახელებზე ხომ წეღან გითხარი, მაგათზე უარესები ქართლში ყოფილან. ცხოვრება მოსდევთ და იმისთვისა. აი, კუჭი უნდა უხმეშოდეთ შიმშილითა და მაშინა ვნახოთ, როგორც იცეტებენ თავიანთ ნებაზე.

ამასწინათ, შალიკოს ბიუს შოფერს, სამი ფუთი პამიდორი გავატანეთ. ბალაქში გასაყიდად და მტკაველნახევარი აისორი პატარძალი მოგვგვარა, — ეს მომივიდა იმ პამიდვრის ფასადო.

მეშინიან, შვილო, ეხლა ესე ვლაპარაკობ და გულიგულში რაღაცა ძალიან მეშინიან. მეჩვენება, რომ გამუდმებით ვიღაცა გვითვალთვალებს ბოროტი თვალით, თან გვითვალთვალებს, თან პირზე ხელს იფარებს, რომ ღიმილიც კი არ დავინახოთ იმისი ჩვენა.

ღვთიშობელო დედავ, შენ დაგვიფარე შენი კეთილი კალთითა!

1972 წ.

ვახტანგ გორგანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოლხური გაზაფხული

აიტაცა დროშად სიტყვა

აიტაცა დროშად სიტყვა,
მიზანს გულის ფესვებს მოაჰხვევს.
ის დაბრუნდა ყრილობიდან
და გახედა ახალ კოლხეთს;
სწორედ იმგვარ შემართებით,
მთის არწივი ფრთებს რომ გაშლის,
რომ ეწვევა ნაპირს გემი
გასასვლელად ისევ ზღვაში;
სწორედ ისე, კაშხალიდან
რომ ეშვება დაბლა ზვირთი
და მერე კი შუქი წმინდა
სივრცეებში ლაღად მიჭრის.

თუკი სადმე ვარდი ვარდობს,
დაჰქათქათებს ზეცა სუფთა,
მის შარიშურს მიემატოს
აქ გაზრდილი ვარდის სუნთქვაც.
ფიქრში ბელტთან ბელტი მიწვა,
ზედ მომავლის სხივი აწვიმს...
დასწვდება და კოლხურ მიწას
ღებს, როგორც ოქროს საწმისს.
მერე უხმოდ მკერდში იკრავს,
ხელს პაერში ორთოლვით ასწვევს
და მოაბნევს გამთბარ მიწას,
როგორც ხნულში ხორბლის მარცლებს.

მზეჭაბუკები უტევენ ჭაობს

მზეჭაბუკები გასულან მინდვრად,
ყიყინი არხევს ლაჟვარდის კალთებს.
გაჭრილ ხნულებში იბუდებს ღილა,
როგორც ბუდეში არწივის მართვე.
გზა მოჭრილი აქვს ჭაობის ურჩხულს,
დგას აღსასრული უნაყოფობის.
მალე აქ გაშლის მერცხალი ეფერტულს,
მალე დადგება ჟამი ხოხბობის.
მალე სიამე დაიდებს ბინას,
აედევნება ნუკრი ბილიკებს.

წამოვა ციდან შვიდფერი წვიმა
და სულის ჯეჯილს აბიბინებს.
მხარში მიაყვება ლაშქარს ლაშქარი,
ყიყინი არხევს ლაჟვარდის კალთას.
მზეჭაბუკების მკლავის გაშლაში
ღღე ხვალინდელი იკეთებს თავთავს.
ცის ცვარია თუ მიწის ნაჟური,
ჭაობია თუ გაჭრილი ახო,
მხოლოდ, სამშობლოვ, შენს სამსახურში, —
შენს სამსახურში, მშობელო ,ხალხო!

ეჭსკავატორი პალიასტომეთან

ასდევნებია ნისლებს ნისლები,
შუქივით მიდის სადღაც გზაწვრილიც.
შენ მიწის გულში ისე იჭრები,
როგორც მოწმენდილ ცაში არწივი.

ვეება ციცხვი ბურღივით ბრუნავს,
გაფატრულ ბელტებს გუგუნი ზაფრავს.
მიწის სიღრმიდან ამოგაქვს გუნდა
და განთიადის თონეში აკრავ.

გიყურებ, სიტყვას ვკარგავ და ვეძებ,
ველარ ავხადე დუმილს სარქველი.
ეგ რკინის ციცხვი დამკარი მკერდზე,
რომ იქნებ მაშინ დავძრა სათქმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სივრცე გასჭერ და განზე გასწიე,
მოხველ, არხებით მიწას ამშვენებ.
ამ ბაობივით მეც დამაქციე
და კოლხეთივით მეც აღმაშენე.

მზერის ისრები დააცხრეს ერთად
ცეცხლში გალეული დუმილის ურდულს —
და მაზიარე მომავალ დღეთა
კოლხურ ბაღებში მერცხლების ჟღურტულს.

შრომის საგალობელი

ფრთა როგორც კი მიატოლა
მზემ ლაჟვარდის ცისფერ ნოხებს,
ხარაჩოზე დგება შრომა
და ხელს ვართმევ ახალ კოლხეთს.

ახლა მინდა ოქროს ფუნჯი,
სიტყვა — შიგ რომ თაფლი ჟონავს.
ანგელოსად იქცა ფუძის —
ხელმართალი კაცის შრომა.

ვინც ვარძია ააშენა,
ვინაც თბილისს ეშხი მისცა,
ის მარჯვენა დაამშვენებს
კოლხეთშიაც ცას და მიწას.

როგორც საქმეს, ისე სიტყვას
აუკვდავებს შრომა შვების.
მე ამ შრომის მონა ვიყავ,
მონა ვარ და მონად ვრჩები.

ფრთა როგორც კი მიატოლა
მზემ ლაჟვარდის ცისფერ ნოხებს —
ხარაჩოზე დგება შრომა
და ხელს ვართმევ ახალ კოლხეთს.

თესავს სიმღერას

წამოშლილ ღრუბლებს
განთიადი ფეხდაფეხ მოსდევს,
ფეხდაფეხ მოსდევს
და ზღვის ტალღა მის ნათელს იწნავს.
ბულდოზერები
ცისარტყელის ჭიმავენ თოკებს
და ზედ აფენენ კოლხეთის მიწას.

აქ, საცა არის
ქარი მინდვრებს მკერდს გადაუშლის,
ციდან იმდენი
ლაჟვარდების ოქრო იღვრება.
კოლხეთის დიდი
გაზაფხული ჩამდგარა ხნულში
და გუთნისდედის თესავს სიმღერას.

ნუგზარ შატბერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიზამბარელი

მოთხრობები

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემკნა ჭაღარა,
შინ ჯალაფთ მოჟღულებივარ,
გარეთ უნდივარ აღარა.

ხალხური.

დაბერდა ხიზამბარელი, დაბერდა!... ნაჯაფარი ღოლაბაძეთ გაცვდა და დაილია. იმისი ხნისა ქვა აღარ დაგორავს სოფელში. ზის ერთავად ფერეფანში და გზისკენ გაიცქირება.

ხედავს — მეზობლის მაცაცერა ბიჭი შურდულს მოკანკურებს, თანაც თუთის შრიალა კენწეროებს ათვალიერებს.

— ეე, არსაითო! — ეძახის ხიზამბარელი, — რად დასდევ მაგ ჩიტებსა, რა დაგიშავეს?

ბიჭი ცალი თვალით გაღმოხედავს და ახლა ღობეზე გადმოზნექილ ფშატებს ასცქერის.

— ვერ გაიგე, ბიჭო?! გაანებე, შვილო, თავი, გაანებე, — ეგენიც ღვთის დაჩენილები არიან.

ბიჭი მტრულად შემოხედავს, იბღვირება.

— რას მიყურებ, შე მამაძაღლო, ვერ გიგიგე, რა გინდარი?!

— შენ ემანდ ჭკვიანად იყავი, არა გამომტყუარო! — შეუღრენს ბაღლი და წაიკუზება, რეს პირზე კენჭებს აგროვებს.

— ოჰ, შე საცოდავო — ჩემო თავო, რო არ წამოხტები და ამ მაიმახს კენჭებს არ აუჭრელებ სახრითა! — გულჩათუთქვილი იმახის ხიზამბარელი და დერეფნის იატაკზე უმწეოდ აფათურებს ხელებს.

ბიჭი დინჯად, აუჩქარებლად ჩაიცლის, უკან არც იხედება.

ზის ბერიკაცი და გზისკენ გაიცქირება.

ზემოდან მუცელღმერთა ოსკა მოდის, მოდის და მოღიღინებს. ხიზამბარელი შორიდანვე ეტყობს სიმთვრალეს, ულვაშებში ჩაეღიმება და ეძახის:

— ტიკუორავ, დვინის მუსუსო! სულ მთვრალმა უნდა იარო, ბიჭო?

— შენსას ხო არასა ვსვამ, ილა, ძეძვივით რო გამებლანდები ხოლმე ფეხებში?!

— პაპაშენიც ემაგ ლოთობამ გადაიყოლა, შვილო... შენი ცოლ-შვილი მებრალება, სიასვივით რო აგიდია თავი და დადიხარ, თორე...

— იმათ ამბავს შენ ვინ გაკითხებს!

— რათა რა, განა შორებლები ვართ?!

— არა მკითხე მიამბეო, მიტყიპე და მიაგდეო! — ჩაიღიღინებს ოსკა და ქვემოთ მიბარგდნაობს.

— გაგიგიათ, ხალხო?! უფროსი ამათ ადარ იციან და უმცროსი! — ხელებს ასავსავებს ხიზამბარელი.

რუს პირზე, ტალახში, დიდა ღორი ჩაწოლილა და ქსუტუნებს. სანეხვზე ქათმები იქექებიან. იქვე, საძაღლთან, შინდის რკალით დაბმული ზაქს ბზე მისდგომია, წყლისკენ მიაწევს, მაგრამ თოკი არ უშვებს და საცოდავად ებრიცება თვალები.

— ნუნუ! — ყვირის ხიზამბარელი — წყალი სწყურიან ზაქსა, ეჭალნაული ნუნუ!

მაღლა სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმის. ზაფხულის თაკარა შუადღეა, სიცხის ლული ტრიალებს და არე-მარე გაირინდებულა. ძაღლი რა არი, ძაღლიც არსად იყეფება.

— აი, დაგაყრუათ გამჩენმა! — იმახის ხიზამბარელი, ეედელზე მეყუდებულ ჯოხს გადასწვდება და წამოიკაკვება. კვნესით მიღასლახებს საბძლისკენ, ძლივს მიაფრატუნებს ფეხებს. ხვნეშით აუწევს ზაქსა და ისიც რუსკენ დაიტიშება. გალეკებულდა. ხიზამბარელს თოკის ბოლო უპირავს ხელში, თავს ვერ იმაგრებს, დაძაგრულ საბელს ყირამალა გადაჰყვება და დიდა ღორს გადაწვება ზურგზე. დაფეთებული ღორი წამოხტება, ჭყვირილით გარბის გზაზე. ბერიკაცი კი ტალახში გდია პირქვე და შეშინებულს თვალები ვედარ გაუხელია.

— რა ვქნა, ხალხო, დავაბა?! დაგაბა, ილა?! — თავზე უფროსი შვილი გოგია და ფერმის გამგე წამოსდგომიან.

ხელა წამოსწევს თავს, ტალახიან სახეს ხელის ზურგით იწმენდს და კაცებს მიაჩერდება.

— ხო არაფერი იტკინე, ილა ძია? — ეკითხება ფერმის გამგე, თანაც ეტყობა, რაც ძალა და ღონე აქვს თავს იკავებს, თორემ აჭამდეც წასცდებოდა ფხუკუნი.

მაღალი სახლიდან, კიბეზე დაწოკებული ქალი ჩამორბის და ტალახში ჩამხობილ მამამთილს გიშვიშით ეკლის გარშემო. ბოლოს, როგორც იქნება, მოიფიქრებენ —გოგია და ფერმის გამგე აქეთ-იქიდან მკლავებში წაავლებენ ხელსა და წამოაყენებენ. რასაც იქვე, რუზე ჩამოპბანს ტალახს. უმწეო ბაღლი ეთია დგას ხიზამბარელი და უცნაურად ურაცრაცებს თავი.

ტაატით მიიყვანენ დერეფანში, დასვამენ სკამზე და შესაცქერიან თვალებში.

ნუგზარ შატაიძე
მოთხრობები

— საცა შენი საქმე არ არი, რად ეზხირები, ადამიანო?!

— წყალი სწყუროდა ზაქსა...

— იმის ვერნობაც იყოს, რო მოეკალი?

— მოვეკალი და მოვეკალი, რაღა სასიცოცხლო ვარ...

ყველი დიდი, ხორკლიანი ლოდი მოსწოლია ხიზამბარელს, ცრემლი რომ არ დაუნახონ, ლორთხ ტანსაცმელზე დაიკქირება. თითქოს სიზმარშიაო, შორიდანღა ესმის იმათი ლაპარაკი. ცხელა და დაჟეიბული შარვლიდან ორთქლის ბუღი ასდის.

— წავედი ეხლა, გოგი. — იძახის ფერმის გამგე, — აბა, არ დაგავიწყდეს, დილაზე ყორეულში გადარეკეთ საქონელი.

— თითო რამე მაინც დაგველია...

— არა, არა, ვეტექემის თუ არ გადაეუსწარი, ხო იცი, საითაც ამოიკრამს აბრაგანსა.

— ხვალაც ამ თვისა არ არი, შე კაი კაცო? — მაგრამ ფერმის გამგე უკვე ეზიზე გასულა და ქვევით მიიჩქარის.

ფაიქოს ხელი ჰკრეს და გაადვიძესო, თავს ასწევს ხიზამბარელი, გამეხებული მიაჩერდება მომაკვლელს.

— კაცო და, როდის იყო ყორეულში აძოვებდით, აკი მამაპაპიდან სათიბადა გვქონდა ეგ ადგილი?!

ფერმის გამგე ნაბიჯს აუჩქარებს, იქნება არც კი ესმის იმის ლაპარაკი.

— ზამთარში რაღა უნდა აუამოთ საქონელსა, — ახლა შვილს მიუბრუნდება ბერიკაცი, — აღარ დადგება ზამთარი?

— რატო შენ ქერქში არ დაეტევი, ილა?

— როგორა, კაცო, რანაირადა, ზამთარი?

— ვეღარ გიგე, რო დაბერდი და ქვეყნის საქმეს აღარავინ გაკითხებს?

— დავბერდი. მაშ გამაიტანე თოფი და მამკალი!

გოგია ერეხანს უყურებს, მერე ხელს ჩაიქნევს და გაეცლება.

მზე დასავლეთისკენ გადახრილა, მაგრამ ისევა ცხელა. გარინდებულა სოფელი. დერეფანში ჩამომჯდარა ხიზამბარელი, ნაგვალევ მიწას ჩაჰყურებს და სახეგმორღვეული ბუტბუტებს რაღაცას.

თუთქის მიმყრელი

ნათქვამია — ყველა ოჯახში თითო კოჭობი თუხთუხებსო, მაგრამ კოჭობიც არი და კოჭობიც, ზოგში ჩუმად, დაფარულ-დამალულად იხარშება სამსალა, ზოგშიაც ღუღს და გადმოდის — გაიჩნია, სად როგორ ცეცხლს უკეთებენ.

თხლაშაძიანთ იმდენი შემკეთებლები ჰყავდათ და ისეთ გიზგიზა მეგუზლებსაც უმარჯვებდნენ, ის პაპის ნაქონი ჭურჭელი სულ კოჭდაგდებითა ღუღდა. ადრე, სანამ იმათ ბებერს კიდევ მოსდგამდა ჯანი, თუთქის მიყრა იცოდა დალოცვილმა, ტრაბახობდა კიდეც — ჩვენს კოჭობს ოქროს ძირი აქვსო, მაგრამ როცა დაჯანდაგდა და მთელმა სოფელმა ცოცხვივით შიგ დაიწყო ტრიალი, მაშინ კი გახდნენ ქვეყნის ბაირაღები...

სოფელი გათენებას თხლაშაძიანთ კარმიდამოზე ატეხილი წოკით იგდდა — მამლებს ვიღა აცლიდა ხმის ამოღებას! ისეთი გნიასი აუტყდებოდათ, იტყოდი, გადალმელი ლეკები ჩამოსჭრიანონ. ისმოდა შეშინებული ბალღების ღნავილი, კაცების გამიშვი და გამოუშვი, ჭიტლაყამოკრული ძაღლის წკმუტენი და დაქოჩრილი ქალების წყევლა-კრულვა.

საწყალ დედაბერს სირცხვილისგან ბუწუწები სცვიოდა, იმდენი „სუუ, სუუს“ ძახილით ლაპარაკიღა დაავიწყდა. ხან შვილს ჩამოეკიდებოდა

მკლავზე, ხან კიდევ გაალმასებულ რძალს. ხან აწივლებულ შვილიშვილს მიაფარებდა პირზე ხელს და ხანაც იმის: ქმარ წრუტნას.

გულარჯალა კაცი იყო თხლაშაძიანთ ნიკა. კერპი, კემტერი, გაუტეხელი, ავ-ყია და ავსიტყვა. ეზოში უადგილო ადგილზე დგადებული ცული რომ ენახა, ან ყანაში გადასული საქონელს გადასწყდომოდა სადმე, ისეთ ყაყანს ასტეხდა, იტყვი ზეცა უნდა ჩამოინგრეს და სოფელს ატყობინებსო.

ცოლიც ისეთი ჰყავდა, რომ იტყვიან — მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, იოტისოდენას არაფერს შეარჩენდა, ისეთ წანკლიანებს ესროდა, თავად ცოფიანსა და გადარეულს ჯაჭვით დასაბმელსა ხდიდა. მაგრამ თავი და თავი მაინც იმათი სიძე წრუტნა გახლდათ. ჩუმჩუმელი, ჩუმჩუმელი — რბილი ეკალი! ჩხუბისა და დავიდარაბის უსტაბაში, უნდილი, ხელთუბაური, არყისა და ღვინის წუწკი. ერთთავად გაშლილ სუფრას უჯდა, ხელში კიდევ ნთალი ჭიქა ეჭირა გაუგდებლად. სიმამრი რომ თოხს უბაგუნებდა ვენახში, წრუტნა ვართალალეს გაიძახოდა. ან მთვრალი იყო, ან ნამთვრალევი. ნახადი ჯერ არ გაციებულიყო, არაყი უკვე გამოეწრუტა. ცოლიც თავისი ჭკუისა შეხვდა — იმის მშობლებს ერთი რომ წამოსცდენოდათ — სიძეკ ბატონო, წინ ზიხარ, უკან დაჯექიო, ისეთ წოიკს ასტეხდა, გაღმა უბანში ძაღლებს აადავლავებდა.

ერთი სიტყვითო, დუღდა თხლაშაძიანთ მამა-პაპაური კოჭობი, დუღდა და გადმოდიოდა. დედაბერი კიდევ თავისას არ იშლიდა, სოფელს თვალებზე ხელს აფარებდა. კარზე პურის სასესხებლად მომდგარ მეზობელს თვითონ გაეგებებოდა, რძალსა და შვილიშვილს ახლოს არ მიაკარებდა — ემანდ ისეთი არა წამოროტნონო, ჩვენს კოჭობში ჩაახეფდონო. პირზე ღიმილს გადიფენდა, ენაზე თაფლს გადიდენდა და მეზობლის ენაქმარც დედაკაცს ქმაყოფილს და თვალებში ნაკარშეყორილს გისტუმრებდა, მაგრამ ძალა ალმართსა ხნავსო და იმასაც გაუწყდა ილაჯი, დაკუნტდა, დაჩაჩანაკდა — გამშვერლაჯარა ბალიჩხუბრების დამშოშმინებლად ადარა ვარგოდა. იმ ყიამეთში გამოვიდოდა გარეთ, თავს გამოარიდებდა, კარებწინ გამართულ სკამზე მოიკუნტებოდა, ნაჯაფარ ხელებს გახუნებული კაბის კალთაში ჩაიწყობდა და იფიქლეთებოდა ჩუმად.

იწვოდა სოფელი იმის საცოდაობით.

დედაბერს კი თავისი ჯავრი ჰკლავდა— ათუხთუხებული კოჭობი არ ასვენებდა. სიზზარავით აგონდებოდა დიდი დარბაზი, ქორწილის სუფრასავით დიდი სუფრა, მინდორივით განიერი ტახტი და სიამტკბილობით მოქმარეებელი, ერთი სოფლის ოდენა ოჯახი. აგონდებოდა და უკვდებოდა გული.

ტრიალებდა წუთისოფლის ჩარხი. დრო მიდიოდა — ზამთარს გაზაფხული მოსდევდა. ამოქროლდებოდა თბილი, სასიამოვნო ნიავი და ჰაერში თოვლის წყლით გაჟიებული, ნაზამთრალი მიწის სერნელი დატრიალდებოდა. თვალდათვალ იცვლებოდა ყველაფერი — გადაბმული ავდრებისგან გაბეზრებული, ნაცრისფერი სახლები; ვიწრო, ტალახიანი შუკები; ჩაშავებული ბაღები და ვენახები.

შეიშმუშნებოდნენ აფუებული მინდვრები, ღონივრად გაიზმორებოდნენ და იტყვი, არტახები დაწყვიტესო, მწვანეთ ამოანათებდა ქორფა ბალახი. საყვარლად გადიპენტებოდა ხეხილი.

გახალსდებოდნენ ჩხართვები, წიწკანები. მხიარულად აკივკივდებოდნენ სახლის სხვენებში გამოზამთრებული, ყვავილისაგან გამეფერული ბეღურები. მოფრინდებოდა მერცხალი. სოფლის განაპირას, მაყვლიანში შაშვები იბუდებდნენ.

აქამდე მოღუშული ხალხიც გამხიარულდებოდა, გამოეფინებოდა გარეთ. სადალაქოსთან, გრძელ სკამზე, ბერიკაცები ისხდნენ, ბებერ ძალებს ითბობდ-

---

ნუგზარ შატაიძე
მოთხრობები

ბ. ხარჭილის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რეპუბლიკა-
ბიბლიოთეკა

ნენ და ომგადახდილი მებრძოლის სიამაყით გასაკვირდნენ ილაჯმიხდილ ზამთარს, ჩუმად რომ მიიძურწებოდა კუდამოძუებული.

ხალისი და სიყვარული დაიბუდებდა ქვეყანაზე. მარტო თხლაშაძიანთ სახლიდანღა ისმოდა დაღოჯილი ჯალაბის ღრიანცელი და იმასაც ყური შეაჩვია სოფელმა, შეეგუა. სიამტკბილობით ორიოდე დღეც რომ გაეტარებინათ, ამბის შვილტყობს უგზავნიდნენ — ხომ არ დაიხოცნენ, რა ღმერთი გაუწყრათო. საწყალი დედაბერიღა იმდუღრებოდა, იმდენი ტირილით თვალები ამოუღიამდა.

ერთ შშვენიერ დღეს დოლის ხმამ გაალვიძა ხალხი. გაკვირვებულებმა მოიფშვნიტეს თვალები, წამოიშალნენ და ყური მიუგდეს. თხლაშაძიანთ კარიდამოდან ისმოდა დოლის ბგაბუგი! დედაწულიანად აიყარა სოფელი, ამბის გასაგებად გავშარა. მივიდნენ, ნახეს და გოიცდნენ: თხლაშაძიანთ ბებერი ამოჩემებულ სკამზე იჯდა, იღლიაში ქმრის ნაქონი დოლი ამოეჩარა, გაუხმარ ხელებს უტყაპუნებდა და დაბნეულ ხალხს გაცისკროვნებული სახით შესცქეროდა.

ჯერ ჭკუიდან გადასული ეგონათ. უცნაურად აეკინკრათ ტანი, გაოგნდნენ, მაგრამ მერე, როცა დოლის ბაგაბუგში, როგორც იქნა, გაარჩიეს ნიკას ბღავილი, იმისი ცოლის წკავწკავი, წრეტნის ჩხავილი და ჯამჭურჭლის ლაკლაკი, მაშინაც მოვიდნენ გონს — ეშმაკურად აუციმციმდათ თვალები და ხეხილა ჭიტტამ, სოფლის ანგალმა და ეროკეიმატმა, დედაბერს ალერსიანი ხმით დაუძახა:

— ეე, თუთქის მიმყრელოფ, შენ რო ალარ ეყოლები, რაღა ეშველებათ მაგ უბედურებსა, ჰაა?

ზოგმა გაიცინა, ზოგმაც სინანულით გადააქნია თავი და დაიშალნენ ნელ-ნელა, თავთავიანთ სახლკარსა და საქმეს მიაშურეს.

მას შემდეგ ზის დედაბერი კარებწინ გამართულ სკამზე — პირღიმილიანი, თვალებკრემლიანი, ზის და უყრავს. დოლის ხმა ხან გაძლიერდება, ფეთიანივით გადაურბენს სოფელს, მინდვრად გაიკრება და ჩამომწვანებულ მთებს შეეხლება, ხანაც მისუსტდება — ძლივსღა ისმის.

გაძლიერდება. და მისუსტდება.

ამ ხმაზე იღვიძებს და იძინებს სოფელი.

დოლის ხმა აგონებს თხლაშაძიანთ კოჭობს, საკუთარ კოჭობსაც აგონებს. იმასაც აგებინებს, რომ ჯერ ისევ ცოცხალია თუთქის მიმყრელი ბებერი, დიდხანს აცოცხლოს ღმერთმა!

ღ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

მშვიდად ეგებება კარგახნის მიტოვებული სახლ-კარი. თოვლში ჩამყუდროვებულა ბებერი სახლიცა და ხეხილის გარინდებული ბაღიც. ირგვლივ ჩამოწოლილ სიჩუმეს ფეხქვეშ ატეხილი თოვლის შრიალი არღვევს. დადგება და შორიდან შესცქერის თოვლის სიძძიმით ჩაზნექილი სახურავს, ნამქერმიყარილ დერეფანსა და ჩაბნელებულ ფანჯრებს. ბოლი არ ამოდის საკვამურიდან, თუნუქის წყალსწრეტზე ყინულს დიდრონი ლოლუები ჰკიდია.

ჩუმად, უხმაუროდ ბარდნის. ღუნღული ფანტელები მსუბუქად მოფრინავენ და პატარა, თეთრი ჩიტებივით სხდებიან თოვლზე. ცივა.

გამხდარი, თმაგადათეთრებული კაცი დგას და მამისეულ სახლს შორიდან შესცქერის. ჩამიჩუმი არსაიდან ისმის, ღილის ძილს თუ აცხობს გრძელი ზამთრისგან გაზანტებული ყოფელი.

აუჩქარებლად შედის დერეფანში, ხელპარგს კარის წრეთხლთან ალაგებს და დაბუხული ხელებით გასაღებს ეძებს. პოულობს. გაიჩხაკუნებს საკეტი და ანჯამებჩაკანგებული კარი ჭრიალით

ილება. შმორის მომქაცო სუნი ეცემა საცეზე. გამურული ბუხარი ჩაშრეტილი თვალივით მიშტერებია პატრონს. კაცი პალტოს იხდის, ფარდაგგადაფარებულ ტახტზე მიაგდებს და დერეფანში ხალათის ამარა გამობრუნდება. საჩეხის ბოლოში ვინ ერთი იღლიას ფრინველი შეშა აწყვია. ერთ იღლიას შეიტანს და ბუხარში უკეთებს. დიდრონ ნახეთქებს უხალისოდ ეკიდება ცეცხლი.

ისევ გამოდის გარეთ, ცოცხს გამოიყოლებს და თოვლით მოფიფქულ დერეფანს ჰგვის. გამხმარ თუთაზე შეხორხლილი ბეღურები ცნობისმოყვარედ ჩამოსცქერიან. საკვამურიდან ნელა ამოდის ბოლი. სადღაც ძაღლი ყეფება. ყივის ყორეზე შემომჯდარი მამალი.

ახლა ნიჩაბს გამოიტანს და ეზოში ბილიკსა ჰკვლავს. გახურდება, აღარა სცივა. გულიანად იქნევს ნიჩაბს და თოვლს ხანდახან ყინვისაგან დაძრული ბალახიან მიწასაც ყოლებს. კარგა ხანს მუშაობს, მერე გაჩერდება და ხმაურით ისუნთქავს გრილ, კამკამა ჰაერს. ოფლით დაცვარულ შუბლზე ჭიღარა თმა ჩამოშლია, კმაყოფილი იყურება გარშემო და ხელავს, ღობის გადაღმა, გზაზე ლეგვივით მოიზაყება შაქრია, ოქროსფერი ბზით თავმოდგმული ლეგერხანა გოდორი ჰკიდია და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებს.

— გამარჯობა, კაცო, შაქრო!

შაქრია მოიხედავს და გაკვირვებული ამოგალიერებს.

— გაგიმარჯოს!... როგორა ხარ, ადამიანო?!

— როგორ ვიქნები, ძლივს გადავურჩი სიკვდილს — იღიმება კაცი, მერე ღობესთან მიდის, ნიჩაბს ჯანჯურის ხეზე მიაყუდებს და მეზობელს მარჯვნას გადაუწვდის.

— რა მოგივიდა, პეტრე, რა დროს შენი ავადმყოფობა?!

— გულმა მიღალატა, ჩემო შაქრო...

— გულმაა?... — ჩაფიქრდება შაქრია, მერე გოდორს გადმოიღებს მხრიდან და ღობის ძირში მისდგამს.

— შენ როგორღა ხარ?

— რა მიჭირს, ღორი დავკალი, ბუმბერაზული ნა!

— ოჯახი ხომ კარგადა გყავს, ცოლი, ბავშვები.

— კარგად, კარგად. როდის ჩამოხვედი?

— ეხლა აი, ჯერ არ მიტრიალ-მოტრიალებულვარ.

— დილის გორს ჩამოჰყვებოდი.

— ჰო.

— წამო, თითო ჭიქა დავლოთთ შენი ჩამოსვლისა!

— რომ აღარა ვსვამ? — უხერხულად იღიმება კაცი.

— როგორ თუ არა სვამ?!

— ამიკრძალეს ექიმებმა.

— ჰე! მაგათ თუ დაუჯერე! — ხელს აიქნევს შაქრია.

— მოდი და ნუ დაუჯერებ...

— საავადმყოფოში იწვებოდი, იქაური ფერი გადევს.

— ჰო, ვიწექი.

— ჯანდაბას, ნუ დალევ ღვინოს, ისე წამოდი.

— აბა ისე რა ვაკეთო...

— ვილაპარაკოთ, კაცო! იგეთი მწვადები ავაშიშხინო, რო!

— რომ აღარც ხორცი მეჭმევა?

— განა მართლა ყველაფერი უნდა დაუჯერო ექიმებს, ძმაო! ეგე, იმიტომაც გაგდის ყურებში ლანდი!

— რას იზამ, ჩემო შაქრო, ტკბილი ყოფილა სული.

— ძაან შეუშინებიხართ?! — გაბაჯგვლულ წვერულვაშში იღიმება შაქრია.

— რო გენახე, რა დღეში ვიყავი, ეგრე აღარ იტყოდი.

— რა ვიცი, კაცო, სულ ქალაქელებს როგორ გემართებათ ეგეები. აგე, ჩემი ბიძაშვილიც, ხო იცნობ, კოლას ბიჭი — წნევა მაქვს მაღალიო, დიდება შენდა ღმერთო?!

— მეტისმეტსა ვსვამთ, ჩემო ძმაო, მეტისმეტს...

ნუგზარ შატაიძე
მოთხრობები

— არა, კაცო! — ხელს აიქნევს შაქრია, — სმაზე რო იყოს, აქამდე ჩემი ბურდღიც არ იქნებოდა ამ არემარეზე.

— ზომიერი ჯამა-სმა და ფიზიკური შრომა მოგარჩენსო.

— შრომაო?!

— ეგრე დამარიგეს.

— იქ კი გაკლია შრომა?!

— საანგარიშოს ჩხაკუნი არ ითვლება.

— ჰოო... იმიტომაც დასძგერებიხარ ნიჩაბს!

— მაშ! — იცინის კაცი.

— მართალია, — თავს იქნევს დაფიქრებული შაქრია, — აგორებულ ქვას ხავსი არ მოედება!...

თოვს. ორივეს — პეტრესაცა და შაქრიასაც — მხრები გასთეთრებიათ. პეტრეს სცივა და აგუზგუზებული ბუხრისკენ მიიწევს გული, მაგრამ აღარც ბავშვობის ძმაკაცი ეთმობა. დგანან და ლაპარაკობენ.

— ჩამოვედი, — იძახის პეტრე, — სახკლარსა და ბაღს მივხედავ, ცოტ-ცოტას კოლექტივშიც მოგეხმარებით. ხო ისევ ბრიგადირადა ხარ?

— ჰო. — მოიღრუბლება შაქრია, ფეხს მოინაცვლებს, გოდრისკენ გაურბის მზერა.

— ოჯახი, ხო იცი, ორმოა — ხახვი და ნიორი მაინც არ მექნება საყიდელი. იქ კიდევ ქალაქში, რა გესწავლება, ცეცხლი უკიდია ყველაფერს.

— **რა ვიცი, კაცო, ქალაქი** გულითვინ თავებს კი იხოცამენ ეხლანდელები და... — შეცვლილი ხმით იძახის შაქრია... — აგე, ჩემი ნაღინტალიც — **ხან** აქედან მომეკლის, ხან იქიდან, ქალაქში უნდა წასვლა. ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო. ემაგაზეა ნათქვამი.

— ჯეელია, რას იზამ... — ფიქრში წავა პეტრე და გადათეთრებულ თმაზე ანგარიშმიუცემლად გადაისვამს ხელს. **სულ** ოდნავ, შეუმჩნევლად უკანკალებს **თითები.**

— ჯეელია. როგორ ეარ ალო ალბ სოვს, მაგის ნახევრებიც არ ვიყავიო, ღამის ხარში რო დავტანტალებდით.

— ეე, როგორ არ მახსოვს, — სევდიანად იღიმება **კაცი, — ომ გაჭირვებას** რა დამავიწყებს...

— მაშ ისიც **გემახსოვრება,**—ეშმაკურად იცინის შაქრია, — ჩვენ გუთნისდედას, თანდილას რომ გამოუთქვი: „გუთნისდედა თუ კარგია, მაშინ მეხრეს უხარიანო“ და ბელტი რო გდრუბა ზუზგში.

ერთმანეთს შესცქერიან, მერე ორივეს სიცილი აუტყდება, კარგა ხანს ხითხითებენ, ცრემლი ადგებათ თვალებზე.

— დაიწვას ის დრო, დაიწვას! — იძახის ბოლოს შაქრია და ცერით ამოიწმენდს ცრემლს.

— დაიწვას! — უდასტურებს პეტრეც.

მოეღრუბლებათ სახეები და გაჩუმდებიან ერთხანს.

— ის შენი ბიჭებიც რო აღარ იხედებიან აქეთ?! — **ჩაილაპარაკებს** ბოლოს შაქრია, — დამავიწყდა კიდეც იმათი სახეები. ეგება ვეღარც კი ვიცნო.

— ვერ იცლიან.... ეს სწავლაო, ოჯახიო, სამსახურიო, რა ვიცი...

— არა, ძმაო, აღარავის უნდა ეს შენი სოფელი და ძალაა?! ეგე ჩემ ნაღინტალსაც ეგრე ჰგონია—ნაზუქის სუნი დამახრჩობს ქალაქშიო. ჩავიდეს იქა!

აღარა თოვს, **გადაუღია. ოდნავლა** ფერფლავს **და** დაფხავებული **ღრუბ**ლებიდან უნიათო მზე იპყიტება. ჩუმადა დგას მამა-პაპეული სახლი, დაღვრემილი, კარმოღნიოშებული. გამქვარტლული საკვამურიდან ზანტად **უხალ**ისად ამოდის ბოლი. გარინდებულა ბაღიც. დაბერებულან ფითრშეხორხლილი მსხლები, ყურები ჩამოუყრიათ ვაშლებსაც. მინგრეულ ყორესთან კი ჩუმადა დგანან კაცები. თავჩაქნდრულები მდუმარედ ჩაშტერებიან თოვლით გადათეთრებულ მიწას და თავთავიანთ **საფიქრალსა** ფიქრობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მწვანე ხეებით დაჩრდილულ ბაღში
დედის ალერსით განებივრებულ
შვლის ნუკრივით დაჩალიჩობს
გაზაფხულის მზიანი დილა.
წევს ეტლში ორი წლის ბავშვი
და გაოცებული მისჩერებია
კრიალა ცის უძირო უფსკრულს,
რომელიც ახლა მის თვალებში ირეკლება.
და, აი, ორი — იდუმალებით სავსე —
უფსკრული
თვალმოუშორებლად უმზერს ერთმანეთს,
მათ შორის კი სამყაროს ქაოტიური
უსასრულობა
ვეება პამაკივით ქანაობს.

●

მიდის მდინარე...
მიდის...
მიდის...
მიდის...
მდინარეს კვალდაკვალ,
ნაპირ-ნაპირ,
ცალად და წყვილად,
წყვილად და ცალად
მიპყვებიან ტირიფები —
თმაჩამოშლილი, ლამაზი, მტირალა
ტირიფები,
რამეთუ კარგა ხანია მათაც ისწავლეს
სიარული, —
თხა თხაზე ნაკლები მართლაც უნდა
შეჭამოს მეელმა! —
და მიდის მდინარე...
მიდის...
მიდის...
მიდის...
ამიტომ მიდიან ტირიფებიც...
მიდიან...
მიდიან...
მიდიან...
მიდიან, ვიდრე ერთსაც და მეორესაც
ზღვა არ გადაუღობავს გზას. —
რა ბორტია ხანდახან ზღვა:
რას უშლიდა —
ევლოთ,
ევლოთ,
ევლოთ,
უსასრულოდ ევლოთ მდინარესაც და
ტირიფებსაც!

●

ნელა მივაბიჯებ შუაღამის უკაცრიელ
ქუჩაში
და ჩემივე ფეხის ხმა მესმის ოდენ.
ფეხის ხმას გაქვავებული გზა სარკესავით
ირეკლავს
და მძინარე სახლების სარკმლებს აწყდება
მოზუზუნე ბზრიალასავით,
მაგრამ უკანვე მიბრუნდება სწრაფად
მირიად წვრილ-წვრილ ბგერად ქცეული
და მე სავსებით მჯერა ახლა
რომელიღაც მაღრიბელი თუ მაშრიყელი
ბრძენისა:
კაცს მუდამ ძალუძსო გაექცეს
მარტოობას.

●

თეთრბაბთიანი გოგონები კრეფენ ყაყაჩოს,
კრეფენ, ინთებენ გულისფანცქალით
თმებში პაწია ჭიაკოკონებს
და ასჯერ ასი მოციმციმე სანთელი ერთად
ხელს აფათურებს
ჩემი ჩამქრალი ეკლესიის
ბნელ კუნჭულებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი წლის წინათ მიიცვალა ბექერ ბექეა,
ხანგრძლივ იმგზავრა მზისქვეშეთში და
მიიცვალა.
ბევრი დაეფრქვა შარშან ამ დროს
მის კუბოს ცრემლი,
ვიღაც ფასტირის, აი, ახლაც საყვარელ
საფლავს, —
ეწვეთებიან ლურჯ ბალახებს ცხელი
კურცლები,
რომლებიც ერთხანს ცვართან ერთად
თრთიან და კრთიან,
ან ცახცახებენ, ცახცახებენ... ქრებიან
შემდეგ —
იმავე ცვარში მოკიანთე მზეების გამო.

●

თუმც არ მივლია ბილიკებზე ღიღინ-ღიღინით,
ეს სიჭაბუკე მერცხალივით მაინც გაფრინდა,
იქნებ არ გინდა გახსენება ძველი ღიმილის,
ძველი ტკივილის გაგრძელება იქნებ არ გინდა!

მაგრამ ფუთფუთობს ღამე ისევ. როგორც ბაზარი —
სავსე ჩრდილებით, ციცინათლით, მწუხრით და შიშით
და იქმქება, იქმქება ფიქრის კრაზანა
შენი აპრილის — აწ წარსულის — პატარა სკივრში.

იმ სკივრში ისევ სიჩუმეა, ცხელა და ცივა,
შენ ხარ სანთელი ხან მბჟუტავი, ხან მოკიაფე,
ანდა—უსტარი, დაწერილი დიდი ხნის წინათ,
მე ქარი ვარ და გაფორიაქებ.

●

ყოველდღე გვესმის (სიბრძნე ესე ძველთაძველია),
რომ ზოგი ჭირი მარგებელია...
ტახტზე კვერცხივით ჩვენი ნატვრა ვერ გაგორდება,
გვაწუხებს კიდევ ბევრი რამე სურვილის გარდა,
გაჭირდებოდა ალბათ ძალზე ქვეყნად ცხოვრება,
ჩვენ რომ ერთმანეთს ვხედავდეთ კარგად,
რამეთუ გზებზე იქროლებდა ცივი სიშიშვლის
ქარი, რომელსაც ორიოდე მწვანე კოპიტი,
ან მწვანე მუხა, იმ სიშიშვლით გულდაკოდილი,
ვერ დაამხობდა, ვერ მოსთვლიდა ვენახს ღიმილში,
სოფლის სიჭრელე გაწვებოდა ძაღლივით კართან,
ჩვენ რომ ყველაფერს ვხედავდეთ კარგად. —
ამიტომ ვამბობთ (სიბრძნე ესე ძველთაძველია),
რომ ზოგი ჭირი მარგებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდამ ჩაჩანიძე

ბოშური სტრიპტიზი

მოთხრობები

დრიგამ აიტეხა, თორემ ჩერნოგორიიდან პუერის გასაცლელად ხორვატიაში რომელი ქუთაისელი წამორწიალდებოდა. თანაც, როცა მარცხენა მხარე რადიკულიტისაგან გაკეებული დაგვიწყებს და ფეხსაც ძლივსძლივობით ადგამ.

ჯოკა დრიგა ჩვენი გემის სარემონტო საქმეებს ხელმძღვანელობდა. იმ საქმის საღერღელი ხორვატიაში რომ ვიპირებდით, უფრენია აეშალა. ჯერ კიდევ მაშინ, სამანქანო შემოწმებიდან მობრუნებულები ალბანეთის გასწვრივ რომ მოვცურავდით და მონტე ნეგროს ნაცრისფერი მთები შორს, ბურუსში ისახებოდა, ჩემს კაიუტაში იყო, ხელში პარკერის ფირმის ფლომასტერი ეკავა და ისე იწერდა, თითქოს საღრიჟორო პუფტთან მდგარიყოს:

— შენ გეუბნები, ძმობილო! ბიელაში ღუზას ჩავაგდებთ თუ არა, მაშინვე შენ გაგქანდები, ჩემს ფორდს გამოვაკორკან და ოჭროს ჩანჩქერთან მივდივართ. მორჩა და გათავდა!

ხაქე. ზელიმხანი ორმოციოდე წლის, საშუალოზე ოდნავ მაღალი, მსხვილკისერა მამაკაცი გახლდათ. სიარულის დროს ქუსლებს ისე მაგრად ურტყამდა კიბეს, გეგონებოდათ, მარმარილოს სიმაგრეს ამოწმებსო. ახალი პალტო ეცვა და გარდერობში დაკოვება დაენანა, დამნანახოს ამ ახალ პალტოში მტერ-მოყვარეში. ახალი პალტო ეცვა, მაგრამ რად გინდა, ისიც ძველივით ჰქონდა კისრის ქვეშით გადაგდებული. ჩაცმის ამ მეთოდს ისე დაეუშნოვებინა ეს ახალი პალტო, შემკერავს რომ დაენახა, შეიძლება ფანჯრიდან გადამბრალიყო. ისე მილაკუუნობდა კიბეზე ზელიმხანი, რომ ცუდად აწყობილი რობოტი გეგონებოდათ. ხანდახან თუ კისერზე პალტოს საყელო შემთხვევით მოედებოდა, დამდულრებულივით გაახასავებდა ხელებს და კისერს, რაც შეეძლო, წინ წაოგდებდა. კისერზე ვერაფერს მიკრიბას ვერ იტანდა. ამის გამო ბალსტუხი მის ცხოვრებაში არ უხმარია, გარეულ ძალს ხერხემლის გასწვრივ რომა აქვს, დაახლოებით ისეთი თმა ჰქონდა. მართალია, თმის სიხშირით ვერ დაიკვეხნოდა, მაგრამ, რაც ჰქონდა, სიმეცდიდ ჰქონდა და გაცვენის საშიშროება არ ემუქრებოდა. ხომ ასეთი თმის პატრონი იყო, ფერმრთალ სახეს რბილი, ფაფუკი წარბები და ასეთივე რბილი ულნაოფერი ულაბინი უმშვენებდა. ულაბს წლის განმავლობაში ზზრინაე უცვლიდა ფორმას, ხან ნიკაპამდე ჩამოიგრძელებდა (რის შემდეგაც მეცივიოვნე ყიზიღანშს დაემსგავსებოდა), ხან კი ისე შეამოკლებდა, რომ ტუჩების სიგრძეზეც ვერ წვდებოდა! სქელი ულაბი რომ მობეზრდებოდა, გაათხელებდა. ერთი სიტყვით, თავის ულაბს როგორც უნდოდა, ისე ექცეოდა. გაპარსვით კი მთლიანად არასოდეს იპარსავდა, ვერ ელეოდა. ღმერთმა კარგად მოაბრალოს და იმოდენა ულაბი ჰქონდა, რომ ჭარხანაში ხუმრობდნენ, ბაუშეობაში დედამისი რომ დაბანდა, ულაბს გასაშრობად თავს ზემოთ სარეცხის სამაგრით უბნევდაო. სიარულის დროს ხანდახან თავის თავს წაელაპარაკებოდა და მაშინ შუბლით რომ დაჯახებოდა, ვერ დაგინახავდა. ამიტომაც ზოგს უცხეირპირო ეგონა, მაგრამ მართალია უცხეირპირო კი არ იყო. საწყალი გული ჰქონდა, შენი გულისთვის წყალში ჩადგებოდა, თან გადაგეგებოდა, მაგრამ თუ რამეს აწყენინებდი, მტრისას, მუნჯის გბრაზება იცოდა. მერე ალარ უნდოდა შენი არაფერი. ოქროს კეფრცხი რომ გეგრიენინა გულზე, შენკენ ალარ მოიხედავდა, საწყობს რომ სჩირდება ისეთი კაცი იყო, სამსახურის საქმეში ბეთრი-მეორი არ იცოდა. ჯიშზე რომ გამსცდარიყავი, რაც არ გეკუთვნოდა, ვერ მიიღებდი, ამიტომაც ღვთის წინაშე, ბეერს არ უყვარდა.

რეა საათი კარგა ხანია შესრულდა. დარბაზი სავსე იყო. ერთი პირობა მესამე ზარი გაიმმა და ჯალიც ჩაკეკრა. მაგრამ ისევ აანთეს სინათლეები. პრემიერის მოლოდინში ხალხი ღელავდა. ფარდის ხან ერთ კუთხეში გამოჩნდებოდა გრიმწყობანაინი სახე და ... მეორეში. რა უნდოდათ, ვის დაეძებდნენ სცენისმოყვარეთა დასის წევრები მაყურებელთა შორის, ეშმაკიც ვერ მიხვდებოდა. ოდნავ რომ შეორხეოდა ფარდა, ყველამ იცოდა; რომ ცნობილმოყვარე არტისტი გამოიკუეტდა, სახის იმ ნაწილით, რაც მოჩანდა (დანარჩენს ფარდის ნაოჭით გულმოდგინედ იფარავდა). ძნელი იყო მუშა-მსახოობის ცნობა, მაგრამ რამდენიმე მაყურებელი ამითაც კარგად ერთობოდა.

— დაიწყოს ახლა თუ იწყვებენ. თუ არადა, გაგვიშვან სახლში! — დაიძახა ვიღაცამ.

— მოკარნახე დაეკარგათ და ეძებენ. — გამოეპასუხა ახალგაზრდელთ, თამამი ხმა.

— საკარნახოდ თუ აქვთ საქმე, წინ ყოფილან ალბ. — შემთხვევა არ გაუშვა მესამემ.

— სად ყოფილა, აწი, მოკარნახე? — გულწრფელად აკითხა ინტელიგენტურმა ხმამ.

— გათხოვდა, — უპასუხეს მას.

ვიღაცამ ტაში დაიწყო მაგრამ სხვები ვერ აიყოლია და ჩაჩუმდა.

ზელიმხანი შემოსასვლელში სალებავგაცილილ ხვეტს (ერთ ორკერტ მაინც გაუსვა ხელი, ხომ არ გადადასო) მიყრდნობოდა და დარბაზს ათვალიერებდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ცარიელ სკამებს უთვალთვალებდა — რიგ დაიწყებენ, თუ რიიმე ხერეიანი შევაატეე, შეალ და დავკდებენ, თუ არადა, წავალ სახლშეიო, ამგვარად ჰქონდა გადაწყვეტილი და როგორც შეასრულებს თავის ამ ჩანაფიქრს, აგერ ვიქნებით, ძვირფასო მეოხველო, ჩვენც და დავინახავთ.

— პატივცემულო.

ზელიმხანი მოტრიალდა, მის წინ თვით რეჟისორი სოფრომაძე იდგა. საწყობის გამგე შორიდან ინახავდა ლითოფონის ქარხნის დრამწრის ხელმძღვანელს და ცოდვა გამხელილი ხკობს, მაინცდამაინც არ ეხატებოდა გულზე, უსაქმო ეგონა. სინამდვილეში ამ ახალგაზრდა ხელოვანს საქმე თავზე საერელად ჰქონდა. ტანი ღიდი არ მიეცა გამჩენს, მაგრამ ბაკი მიეცა—კოტაკი და ჩასხმეული. მოდაზე ეცვა. ფართო შარვალს ისე ჩაეყლაპა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, სიარულის დროსაც თუ შეაკუნდები, რომ ფეხზე ეცვა. ქამარს თავისთავად ფართოს ატარებდა, მაგრამ იმოდენა ბალთა ეკეთა, რომ ქამარი ორი ინ სიფართეე რომ ეოფილიყო, დიტეედა. ვიწრობეეებინა პიჯაკი ეცვა და მარჯვენა გულის ჯიბესთან რატომდაც ნიკოზიის ფორთოხლის წვენის ქარხნის ლერჯად მოკიბული ნაბი ეკეთა. ვაიჩნია ხაქმეს რას დავარქვეთ, თორემ თავისი გაგებით სოფრომაძეს მოსვენება არ ეწერა. დღედაღამ ზეშთაგონების ცხელ ტაფაზე იწვოდა. ახალგაზრდა რეჟისორი იყო.

და, მართალია, სადიპლომო სპექტაკლი ინსტიტუტი ვერ გაიოცა, მაგრამ თუ რაიმე მოვპოვებოდა შესახარებელი, ეს იყო ტიტანური ენერგია. სოფრომაძემ დაღლა არ იცოდა. პიესებს კითხულობდა, თეატრალურ პრესას ხომ არ. გამოტოვებდა, ცოტას ხატავდა კიდევ. თვითონვე ადგენდა ჩანახატებს მომავალი სპექტაკლისთვის. მართალია, დრამწრის ეკონომიური შეზღუდულობის გამო ის სქემებს და ჩანახატებს ძმოლოდ ნაწილობრივ ახსნდა ხორცს სცენაზე, მაგრამ გული არ იტეხდა და, ორგრაც ადგილობრივი რეცეპტიანტები აღნიშნავენ, სპექტაკლიდან სპექტაკლამდე იზრდებოდა.

— რაშია საქმე? — უაღლიდ ჰკითხა ზელიმხანმა. იფიქრა ეს ლაწირაკი ახლა, ალბათ შენიშვნის მოცემას მიპირებს, კარებში რაღაც დგახარო და დარბაზში რაღაც არ შებრძანდებითო.

— დიდ ბოდიშს ვიხდით, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა გვაქვს და უნდა გვიშველეთ.

— რა გაქვთ?

— მდგომარეობა.

— ნერე მე, რა ვქნა? — შემოტრიალდა ზელიმხანი, რათა ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებულიყო, მართლა გონებასუსტი იყო ეს კოკაწია რეჟისორი თუ არა.

— რა მოხდა, ახლა, ისეთს კი არაფერს ვიხილავთ. — გაწყინდა რეჟისორი.

— ხალხი არ გყოფნით? — ზელიმხანს უნდოდა დაეკითხა დრამწრის ხელმძღვანელისთვის. „ახლა ამან თუ გამიბედა, მასა არა გვეკვეს და გაიკეკე-გამოიკეკეი ერთი სცენაზეო, მე ვიცი, რას ვეტყვი. ეგები კოლისებშიც ვერ შემასწრის,“ გაუღლვა ზელიმხანს.

— პალტო დაგვჭირდება ცოტა ხანს, — როგორც იქნა ამოღერღა სოფრომაძემ.

ზელიმხანს ჯერ ხუმრობა ეგონა და თვითონაც ხუმრობის ხასიათზე დადგა.

— ცივა ვინმეს?

— არა, კი არ ცივა. როგორ გითხრათ. როლში პალტო უნდა ეცვას.

— არა უშავს, იყოს უპალტოდ. ითამაშოს კარგად და ნახეგარი დარბაზიც ვერ გიგიგებს, პალტო რომ უნდა ცმოდა — გაიცინა ზელიმხანმა.

— სადღაცდიდ მაქვს მე საქმე? — ტირილი გაერია რეჟისორის ხმაში და ის იყო სხვა პალტოიანს დაეწყო თვალით ძებნა, რომ ზელიმხანმა პალტო გიიხადა და ხელში შეაჩერა.

— ვინ გითხრა მერე ვარი, ბიძია, მა, პატონო, თუ ეს პალტო უშველის საქმეს, დაიწყეთ ოღონდ ფრაზე.

— კი, ა, ამ წუთში ვიწყებთ — გახარებული სოფრომაძე კულისებში გაეშურნარდა.

ზელიმხან ხერხაძე იქვე. გასახვლელთან, თავისუფალი სკამი იპოვა და დაჯდა. ახლა იგი ძმოლებული ხდებოდა, მოეწონებოდა თუ არა სპექტაკლი, ბოლომდე დარჩენილიყო. ცოტა ნაწყენი კი იყო სოფრომაძის სრულმენელ, ეს ნომ კაცს ალბეთ ამაალლტაო. მაგრამ ფერე ფერ ასკვნა, რომ მისი საქციელი ნეფრაგენტიოსთან ნერეე სამსახურის გაწევის ნიშნავდა და ღამ. შეიდდა.

სპექტაკლი დაიწყო.

ფარდის გახსნისთანავე გამოვიდა შავ რეტუშში გამოფაქცენილი შეშა-მსახლობა გუბელაძე და სცენის შუაში თოკით დაშვებულ ზარს შეეშმაკა. ზარის ხმაზე ფოლი ამბავდნდა და მკრთალად განათებულ სცენაზე შემოცვივდნენ ცხენრაბარზე რიდეჩამოფარებული ფეგურები. კუდები არ ჰქონდათ, ოორემ ნამდვილ უშმაკებს ჰგავდნენ. ოოკოხეთური ცეკვა გეიმართა. მაკრატელას წესით ხტებოდნენ მალლა. ეატაკს თავით ეხეკებოდნენ. გიფარხლეთ ოოთებს ერთმანეთს ცხენრნი სცემდნენ. „ჯრეელი ვარრის“ მსგავსად ზურგზე ატბეზოდნენ. ერთი სატკეეთ, პრეშიერა დიდი ორორმტრიალი დაიწყო. რატომდაც არც ამ ორორმტრიალს აუღლვენია ხალხი. რადგანაც რეჟისორ სოფრომაძის შემოქმედებაში დიდ სიახლეად არ მიიჩნიეს. უკვე მესამე სპექტაკლს ეწუებდა სოფრომაძე დაახლოებით ამგვარ მალაკ-ბატენეთია და ავეოტეთი. ლეთოფონის ქარხნის მაყურებლებში ეს ესთეტიკურ ასოციაციებს იწვევდა ეს წარლენინანა. ცეკვა, ბნელი ხალმეელი, მაგრამ მაყურებელს რომ აზუმებდა და მის ყურადღებას სცენისკენ წარმართავდა, ეს ნაღდი იყო.

შეშა-მსახლობმა გუბელაძემ მეორედ შემოკა ზარს და ეშმაკეული ლანდები გაჰქრნენ სცენიდან. დაიწყო უშველოდ წარმოდგენა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სცენა ანათდა და უდეკორაციო (სადღაც ახლა დეკორაცია), არენაზე მორიგეობით შემოვიდნენ ფრაზნრის წევრები და პიესის ტექსტს ზეპირად წარმოსთქვამდნენ. თეატრალური საცოდაობა. უფრო ფორს ვერ წავიდოდა. ხასელის განთქმის მოსურნე თავის სიტყვას რომ ჩაამთავრებდა, შემორიგეზებდა და დარბაზს „თავლეურებდა. თითქოს უკვე ალარ ინტეტრესებდა, რას ეტყოდა მოპასუხე. მან თავისი ტექსტი თქვა და გაათავა. ახლა სხვამ ატანის თავი. ამ პიესაში მოკმედება ვასულ ხალეუნეში კორდილიერებში ხდებოდა, მაგრამ მაძიეტენ რეჟისორს ტანსაცმლით ალეკოლიერის შექმნის ძალლთაძელ ჯერზე უარი ეთქვა და მუშა მსახლობები თითქმის ინ ტანსაცმლოთვე თამაშობდნენ, როგორც მოვიდნენ შინდან. გამონაკლის მხოლოდ ხალებავების წუნდებელი ზარ ფოფხაძე წარმოადგენდა. ზარი ფილლოგიის დიპლომით მოვიდა წარმოდგენაში და მოკლე ფრაზა მოიხსენეა ის ავტორიტეტი, წუნდებელ უსაფუძვლ რომ უნდა გაანმდეს. სწორედ ზარს ეცვა ზელიმხან ხერხაძის პალტო. ზარი ინკვინიციის აგენტის როლს თამაშობდა და, რასაკვირველია, პალტო უნდა სცმოდა, ხერხაძის პალტო მის-

თვის სრული და კრძალი იყო (ნაბადივით ჰქონდა მხრებზე მოდებული), მაგრამ ფეხი ვალარ-ით, რომ ეს პალტო როლს ძალიან მოუხდა. ზელიმხან ხერხაძის ახალ პალტოში ინკვიზიციის აგენტი უფრო სახიფათო და ილუმალი ჩანდა. პირველ მოქმედებაში აგენტი — ზაურ ფოფხაძე ორჯერ გამოჩნდა სცენაზე (მეორე და მესამე სურათში), მაგრამ თავისი გამოჩენა ფასად დაუსვა პიესის სხვა მშვიდობიან პერსონაჟებს. ერთს ცხელი ტაფა დააფშვნა თავზე, ხოლო მეორეს ზურმუხტარი ღელი ჩამოახია. სხვა მხრივ კი, ინკვიზიციის აგენტის პირობაზე საკმაოდ წუნარად ილ ჯკვანდა იქცეოდა.

პირველი მოქმედება რის ვიი-ვაკლახი ჩაოვდა. ჯერ თვითონ პიესის ავტორიც ეშმაკ ბაიკეთ მინიშნებებით და ქვეტექსტებით ნაწარმოები, მერე რეჟისორს თავისი ახირებით სულ დაებნელებინა წარმოდგენის ეზოობრივი მხარე, დაუშვაკეთ ამას მუშა-მსახიობების უბადრუკი, უღიმღამო თამაში და თქვენთვის გასაგები გახდება, რას გიგვიბლეს მაყურებლები ლითონის ჭარხლის ღრაფრრის ამ მრავალსახმოქმედი პრემიერიდან.

უკმაყოფილო მაყურებელი აღშფოთებას ვერ მალავდა. აკაიკ დამამცირებელი შეძახილებიც გაისმა:

— მიხეელრაზეა!

— მიხეელრაზე კი არა, გაძლებაზეა!

— დაგვიიგინ ეს პიესა, ეს უპატრონო, და წეეკითხეთ ხასლში!

— თამაშს თავი დაანებე, გრიმიც რომ არ იცავ?

— შენ ეგა თქვი. ყველას სწორი წარმები. რაკა აქვს-იმ ქვეკანაში (ამ უკანასკნელ შენიშვნაში მაყურებელი მართალი იყო. რატომღაც ყველა მუშა-მსახიობს სურვილი გასჩენოდა, რომ მაინცდამაინც სცენაზე ყოფილიყო ლამაზი და სწორედროდა თუ არა პიესის ეერსახეს, ყველას სწორეთ სწორი წარმი დაეხაა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, სპექტაკლის სრულფასოვან აღქმას ფიდად უშლიდა ხელს).

— დასახურავია ეს ღრაფრრი!

— აფაზ უნდა მოეპარო და დაკეიდო სასლში!

— გუბეულაძეს უნდა დავხვდე თავის ჭიშკართან ამეღამ!

— რას ერჩინ?!

— ეურჩე უნდა ეკოცეო.

პირველი მოქმედების მერე დარბაზი განაგრძერდა. სოფრომაძე ამ ფაქტს თეატრისადმი მაყურებლის გაუცხოებით ხსნიდა, მუშა-მოსახსახურეები კი მაყურებელთა ფართო მასის დაბალი გემოვნებით. ვინ იყო მათ შორის მარცხალი, მაგრ განსაკუთრებ ნუ შეეკალ. ჩვენ ჩვენი საზრუნავი გვაქვაფონს.

დაიწყო მეორე მოქმედება. ზელიმხანი გულზე იყო გამსკდარი, სოფრომაძეს პალტო რომ არ წაერთმია, ახლა ხასლში ეიქნებოდიო. მოელი პასუხისმგებლობით დავარწმუნებინ მეკეხველს, რომ ზელიმხანი გაანაურეს, ოიგების დაამშვენებდა და სცენაზე რომ მისი ალტაკი არ ფიგურირებდეს, არავითარ შემოხვევაში არ ღარბებდიან მსოფლიო თეატრალური ხელოვნების დამამცირებელი ამ წარმოდგენის ხანაბავად.

ინკვიზიციის აგენტი შემოვიდა და პირობითი დეკორაციით მორთულ-მოკაზმული ოთახის შუაგულში გაჩერდა. პალეკო, რასაკვირველია, არ გაუხდია, პირობითი მაგიდასთან მისი ცოლი იჯდა და ნამდვილი ჭიქიდან ჩაის სვამდა. ცოლ-ქმაბმა რამდენიმე ბუნებრივი ფრაზა ეცოლეს ერთმანეთს. კულუსებიდან ბაკენბარდებიანმა ეკიადმა გამოაკო თავი და ინკვიზიციის აგენტის ცოლს დაუძახა: „მოწამლე, მე შენ გელაპარაკებინ!" ეს სიტყვები ისე ხმამაღლა იყო ნათქვამი, რომ ზელიმხანის შეტაობით, აგენტსაც უნდა გაეგონა, მაგრამ როგორც მოკმედების შემდეგმმა განვითარებამ დაადასტურა, მოსაწამლავ არსებას ეს სიტყვები არ გაუგონია და ბეერიც წაადო. „ახლავე!" — დაუძახა ცოლმა ბაკენბარდებიან ეკიადს, მაყურებლისაკენ შემოტრიალდა, უბიდან ხაწამლავი ამოიღო, ჭიქაში ჩასცალა და ქმარს გაუწოდა.

— ეს რა არის? იკითხა აგენტმა — ზაურ ფოფხაძემ.

— ღვინო. — უპასუხა ცოლმა.

მაყურებლებში სიცილი გაისმა, აშკარა იყო, რომ მეუღლეს სიჩქარეზე ღვინით ავსება დაეიფიწყდა და თვის აგენტ-მეუღლეს ხაწამლავს ნატურალური ხახით აწვდიდა.

— დაბინაა ღვინო! — დაიძახა აგენტმა და ზურაბ ფოფხაძე უალრესად ემაყოფილი დარჩა თავისი მიზეზრლობით. იგი ყველას სიამოვნებით უამბობდა მოგვიანებით, რე ოოგორ იხსნა ღრაფრრი შერცხვენისაგან.

მეუღლეს ისევ დარჩენოდა, ძველებური ლატრიანიდან ქარვისფერი, ბუფბუფა ლიმონათით შეევსო ხაწამლავიანი ჭიქა და თანამეცხედრისადვის მიეწოდებინა.

აგენტმა ცოლს ჭიქა გამოართვა და ავანსცენისაკენ წამოვიდა.

— არ ღალიო! — წამოცდა ზელიმხან ხერხაძეს, მაგრამ ინკვიზიციის აგენტმა არა თუ ღალია ხაწამლავი, არამედ შუბლზე ხელიც მიიდო, ერთი-ორჯერ წამარბაცდა კიდეც და მერე მოწყვეტილივით დაეცა იატაკზე. მაკრის ბიღი ავარდა, მოწამლულის თავზე მუშტივით შეეკრა და მერე მაყურებელში გაიშალა. ამ უსიამოვნო მხილოლ ის იყო, რომ ზაურ ფოფხაძე ზელიმხანის ახალთანაბი ღრაფის პალტოი ეგდო მტვერში, თორემ წაქცევით ბუნებრივად ნაიქცა.

ცოლი მივარდა და სულთმობრძავ მეუღლეს

რევაზ მიშველაძე
ნოდელები

ჯიბიდან ბორკილები. ამოიცალა. ბორკილები იატაკზე დაეცა და ფეხებში გვთელა. თანაც ამას ისეთი ხიხარუული აეკეთებდა, რომ კუნლისებში ზეოდნა ბაკენბარდებისაგან ეაჩაღნა ვერ მოითმინა, სცენაზე შემოვარდა და ახლად-მოწამებულს ერთი-ორჯერ იღლიებში ჩექმინი ფეხი ამოჰკრა, ფეხი, რასაკვირველია, ბაკენბარდებისაგან ზელიმხანის პალტოს ამოჰკრა. მერე შემოტრიალდა და ქმრის მკვლელს გადაეზვა. ხვევნა-კოცნა, თუმცა დრამაწერისთვის ასაკი დონეზე მიდიოდა, მაგრამ ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რომელსაც არათუ სოფრომაძე, სოფრომაძეზე ბევრად გამოცდილი რეჟისორიც კი ვერ გაითვალისწინებდა, სცენაზე თორმეტიოდე წლის ლურჯსვეტრიანი ბიჭი შევიდა, ალერსმა. გართულთათვის არც შეუხედავს პირდაპირ მკვლარ აგენტ ზაურ ფოფოხაძეს დაადგა თავზე და საკმაოდ გარკვეული უთხრა:

— პალტოვო!

დარბაზი გაისუსა.

ბაკენბარდებისმა და აგენტის ეოჩაღმა მეოლლემ ხვევნა-კოცნის წუთით თავი გაანებეს და ბიჭს მოუბრუნდნენ.

— პალტოვო! — გაიმეორა ბიჭმა.

სცენა გაცივდა, მაყურებლებში აჭა-იქ თავშეკავებული ფხუკუნი გაისმა. ბიჭი ისე ჯიუტად და სერიოზულად დაჰყურებდა იატაკზე გაშხლართულ აგენტს, რომ ცხადად ჩანდა, იგი არ ხუმრობდა. ზაურ ფოფოხაძემ ჯერ ცალი თვალი გაახელა, მერე მეორე და როცა ბიჭმა მესამეჯერ გაუმეორა, რაზედაც იყო მოსული, მოწამლული აგენტი, ავტორისა და რეჟისორის ჩანაფიქრის სრულიად საწინააღმდეგოდ, წამოჯდა და ლურჯსვეტრიანს გაბოროტებით ჰკითხა.

— რა პალტო?

— რა პალტო და, რომელიცხა გაცვია მაჭანა გაიხადე და გამოატანე მაგ ბაშვს. თქვენ ბაგის ღირსი არ ხართ! — ეს უკვე ზელიმხანे ხერხაძის ხმა იყო. ყველამ მისკენ მიიხედა. ზელიმხანი გასასვლელთან სალებავგაცილილ ხის სვეტს მიყრდნობოდა და პაპიროსს ნერვიულად აბოლებდა.

ზაურ ფოფოხაძე დარცხვენილი წამოდგა, პალტო გაიხადა და ბიჭს ლამის თავზე გადაფინა, მერე ხელი ჩაიქნია და სცენიდან გავიდა.

დარბაზში გამაყრუებელი ხარხარი გაისმა. ლითონის ჭარხნის კლუბი ომხსენი სიცილისაგან ისე ძიძიგიებდა, რომ ჭეშმარიტ გამკლელნი ჩერდებოდნენ, სიცილგარეულ კიოალს მიაყურებდნენ და ჩქარი ნაბიჯით შორდებოდნენ იქაურობას.

მართალია, სპექტაკლის გაგრძელებას, აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ სოფრომაძის ჯიუტი ნებით მუშა-მსახიობებმა მაინც ითამაშეს წარმოდგენა. თუმცა მაყურებელთა ხარხარში თავიანთი ლაპარაკი თვითონვე ძლივს ესმოდათ.

რეჟაზ სურმავა პროექტს წერდა. „გიორგობის“ ამოის მდგენი იყო და ოქმებისა და პროექტების შედგენაში ხელი საკმაოდ გაეფუფლი ჰქონდა. მესამე გრძელი წერა მიეღოდა, რაც რეჟაზს დაპპირდნენ, ცოტა ხანს მდგნად ეაინუშავე და თავმჯდომარედ გადაგიყვანთო, მაგრამ მის იქ ყოფნაში უკვე ორჯერ ჩატარდა ადგილკომის არჩევნები, ორჯერ ახალი თავმჯდომარე აირჩიეს, რეჟაზს კი ოქმების წერაზე მოსაუწყენი საქმე შეატოვეს, ერთ არჩევნებს მოვუცდი და, თუ არაფერი გამოვიდა, წავალ აქედანო, ფიქრობდა მდგანი. ეტყობოდა ცოტა უცნაური პროექტს წერდა, რადგანაც ხანდახან ჩაიცინებდა, ჩაჰკიოთხავდა დაწერილს, არ მოეწონებოდა, დახეოდა და თავიდან იწყებდა. მე პირველად ვნახე კაცი, რომ იცინოდეს ისეთი სერიოზული საქმის კეთების დროს, როგორიც ოქმის წერა გახლავთ.

რეჟაზ სურმავამ ქაღალდები ამოიღლიავა და თავმჯდომარესთან შეეიდა. თავმჯდომარემ ხახეგაბაღარული მდგანი რომ დანახა, ხასიათმოვნო ამბის შესატყობად მოემზადა, მაგრამ როცა რეჟაზ სურმავამ აუწყა: ზელიმხანს ხერხაძის პროექტს ვწერ და დაზმაულის ფორმულირება გამიჭირდაო, ადგილკომის თავი მოიღუშა.

— რა ჩავწერო, სპექტაკლის მცდელობას დრო საკუთარი პალტოს წყალობასთვის დაიხარჯა-მეთქი? — ღიმილით მკითხა მდგანმა.

— არ ივარგებს, მოკვდეს და წაიკითხავს, თავისი პალტო ოფ წაიღო, რას ეერმდგომ, საკეთდრის რაზე აძლევდით ამ კაცსო.

— „მუშა-მსახიობისთვის პალტოს თხოვებაზე უარის თქმისთვის?“

— არც ეგ ვარგა. მაგაზე ჩვენ მოგვეხდება. თუ ტანსაცმელი და რეკვიზიტი არა გაქვთ, დაანებეთ ამ სპექტაკლებს თავი.

„სპექტაკლის მცდელობის დროს დრამაწერის თავავინ რეჟისორთან წინასწარი შეთანხმების დარღვევისათვის და პალტოს უკან დაბრუნების მცდელობისთვის“?

— ხომ გეუბნები, არ ვარგა. ჩვენ თვითონ გავიგებთ სასაცილოდ თავს. ახე უბრალოდ ჩაწერე: „დადგინეს: გამოეცხადოს საყვედური საწუთობის გამგეს ზელიმხან ხერხაძეს 197.. წლის 15 ოქტომბერს დრამაწერის პრემიერის ნორმალური მცდელობისათვის წინასწარმოუმზადებლად ხელის შეშლიისათვის“. თუ გკვირვებენ, მერე აკუსტნით კონკრეტულად, ჩემი ბატონო, რაში იყო საქმე.

ეს აზრი რეჟაზსაც მოეწონა.

ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ადგილკომის სხდომა, მაგრამ რეჟაზ სურმავა ღრმად იყო დარწმენილი, რომ დაბნეზავეს თავის გასამართლებლად რა არგუმენტებიც არ უნდა წარმოედგინა, პროექტი მაინც შეიცვლებოდა,

ალუდა არაბული
ბიბლიოთეკა

გურანდუხტი

მერცხლის ენით და კარგი თვალებით,
ხარ დედოფალი ყველა ქალების.

მე რომ მივდივარ, მე რომ ვბერდები,
შენ გაიზრდები და ამღერდები.

და როს აისის ვარსკვლავს ედრები, —
და მე რომ წავალ, — ერთს გვევდრები:

ყველაზე ვნებით და სიყვარულით
შენი გიყვარდეს მიწა მამულის!..

ყველას თავისი თუ ჰყავს უფალი, —
მე გურანდუხტი მყავს დედოფალი.

და დედოფალი ყველა ქალების, —
მერცხლის ენით და კარგი თვალებით.

ჟინვალი

ეს ახალია უბანი,
აღმშენებლობის დიადის...
დადგება, დაუგუბარის,
ზღვა მდინარისა ფრიადის...
წინ, მხოლოდ! უნდა იარო! —
ამიბრიალო ღამენი!
უნდა იდინო, იალო,
მარადი შუქის ღვარებით!

●

როგორ აწყდება რტოები რტოებს,
მარტის მიმოდის სიო...
გულო დაღლილო, მივდივარ, გტოვებ,
გტოვებთ ვნებებო, ცივო...

ან კვლავ სამოსი ტანზე აბრაგის, —
ქარი — ტყისა და ველის; —
სხვაგვარი ვნება და ლაპარაკი,
სხვა გზით, სხვაგვარად მსვლელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან მაწანწალის არგანი ხელში,
ტანზე ჯვალო და ხამლი; —
არც ლამაზმანის დამწველი ეშხი,
არც საყვარელი ქალი.

ნეშოს ლოგინი და საგებელი,
ნელი ფოთლების სიო...
მე ჩემი თავის ვარ გამგებელი, —
ეტოვებთ ვნებებო, ცივო...

მარტის ცვიოდა ფიფქი შენს თმაში
და მე ამგვარი მსურდა თამაში...

შ უ ა ლ ღ ე

ცაო, სიმაღლის შენის,
შენი სინათლის მზეო, —
დღეებს მშვენება შვენის,
შენი მშვენებით, დღეო!
შენი მშვენებით ათოვს
შუქის უებრო ბროლი...
და სილამაზე ათრობს
ამ უნაზესი თოვლის,
ვნებებს, — რომელთაც ვნებით
ფიფქი ედება ნუშის, —
შენი პეპელას ფრთები, —
გულს ეცინება გულში...

ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲬᲘᲒᲜᲖᲔ: „ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲕᲔᲠᲐᲠ ᲨᲘᲚᲘᲐᲜᲘ“.

ისევ ჯერ არის სურნელი ვარდის,
ისევ ჯერ აღი ცეცხლის ბრიალებს, —
უსაყვარლესი ზეცის ლაჟვარდი,
ქართა თარეში, მზეთა სიალე.

ისევ ჯერ არი, ისევ ჯერ არი,
სიცოცხლის მარად დღე მშვენიერი...
და საბოლოო როლი ქერარის; —
ამღერებული გედის იერი...

ტიციანის ღუელი

მოთხრობა

1914-15 სამოსწავლო წელს მოსკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ბინის საკითხი მოსაგვარებელი მქონდა. ქართველ სტუდენტებს ვეძებდი დახმარებისათვის. მოულოდნელად ტიციან ტაბიძეს შემოვხვდი. როცა გაიგო ჩემი გაჭირვებული მდგომარეობა, შემომთავაზა: —წამოდი, ჩვენთან იცხოვრე, ოთახი ორ სტუდენტს გვიკავია, შენც თავისუფლად მოთავსდები. იმედი მაქვს, სახლის პატრონს დავთანხმებმენ.

დიდად სასიხარულო იყო ჩემი საქმის ასე იოლად მოგვარება, მაგრამ ეჭვი მაწუხებდა, ვაითუ, სახლის პატრონს უარი ეთქვა.

საქმეზე მიმავალი ტიციანი გზიდან დაბრუნდა. იქიდანავე წამიყვანა. მივედით ნიკიტის ქუჩაზე. წარმადგინა დიასახლისთან და რეკომენდაცია გამიწია მათ ოთახში საცხოვრებლად.

დიასახლისმა პირობები გამაცნო, ადვილად დათანხმდა — თუ ამათ ხელი არ შეეშლებათ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო, — მხოლოდ კვების საკითხი სულ აიცილა.

დასახლოებით 15-16 კვადრატულ მეტრ ოთახში, ორი საწოლი, ორი სკამი და ერთი მაგიდა იდგა. ბაშინვე შემოიტანეს მესამე საწოლი და ერთი სკამი.

ოთახი უბრალოდ, მაგრამ სუფთად იყო მოწყობილი, საწოლებთან კედელზე ტელეფონები ეკიდა.

დიასახლისმა თითქოს ბოდიში მოიხადა, რომ ჩემს საწოლთან ტელეფონი არ იქნებოდა და ამხანაგების ტელეფონით უნდა მესარგებლა. ეს ამბავი სულაც არ მაწუხებდა. სხვა მაღელვებდა, მეორე პირი ვინ იყო და როგორ შეხვდებოდა ჩემს აქ შემოსახლებას?

ტიციანმა რომ გაიგო ჩემი წუხილი, სიცილით მითხრა:

— მაგი არ მაქვს საჯავრელი. ისიც იმერელია, იქნებ გიცნობდეს კიდეც, კოწიაა წარეთელი, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს, მე ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსზე ვარ, რაში შევეშლები ხელს ერთმანეთს?

შვებით ამოვისუნთქე.

თავიდანვე კარგად შეეფწყეთ ერთმანეთს! ტიციანი ხშირად ამბობდა: მე — ისტორიკოსი და ლიტერატორი ვიქნები, წარეთელი — სამართლის მსახური, მაღლაკელი — ექიმი, დავუბრუნდებით სამშობლოს და ბევრ რაშეში დავეხმარებითო.

საერთოდ, პატარაობიდან ქართული პოეზიის დიდი მოყვარული ვიყავ. ტიციანის ლექსებს რომ გავეცანი, გამიხარდა. ბუნებრივია როგორც პოეტისადმი ჩემი ყურადღება და პატივისცემა ერთი ათად გაიზარდა. ინტერესით ვადევნებდი თვალყურს მის ყოველ ნაბიჯს, კარგი ძმებივით შეგვიყვარდა ერთმანეთი.

ტიციანი მეტისმეტად სათნო ხასიათის ახალგაზრდა იყო, ადვილად იცოდა სხვისი მინდობა. თუ გაჭირვებულ კაცს ნახავდა, თვითონ მოიკლებდა და მას დაეხმარებოდა. საერთოდ უყვარდა უსამართლოდ დაჩაგრულის ქომა-

გობა — ახასიათებდა ბავშვური გულწრფელობა. მის მოქმედებაში უხეშობის ნატამალიც არ იგრძნობოდა.

ტიციანს გვარით მხოლოდ ამოკითხვის დროს თუ მოიხსენიებდნენ. ყველასათვის ახლობელი იყო და სახელით მიმართავდით.

შრომისმოყვარეობასა და მრავალ კეთილ თვისებათა გარდა, ქალიშვილებისა და საერთოდ ქალების განსაკუთრებული პატივისცემა ახასიათებდა.

ყველა დროის სტუდენტ ახალგაზრდობას თავისი თავისებურებები ახასიათებს და, რასაკვირველია, ჩვენი დროის სტუდენტებსაც ჩვენი თავისებურებები გაგვაჩნდა. მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო მრავალ თავისებურებებთაგან მხოლოდ ერთზე, ეს გახლავთ, გართობა-მასხრობისაკენ მიდრეკილება.

ტიციანის მეშვეობით მალე ყველა ქართველი სტუდენტი გავიცანი, და ეფიქრობ, მისივე ხელი ერია, რომ იმავე წელს მე ამირჩიეს „ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს“ მდივნად. სათვისტომოს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ლადო რამიშვილი თავმჯდომარეობდა.

მაშინდელ ტვერის ქუჩაზე მდებარეობდა ერთი რესტორანი, რომლის პატრონი იყო ვინმე ქართველი მენაბდე. იმ დროს მომდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი, გამოიცა კანონი რესტორნებში სპირტიანი სასმელების გაყიდვის აკრძალვაზე. ამის გამო მენაბდის რესტორანი სასადილოდ გადაკეთდა. მენაბდეს სასადილოში, როგორც წესი, მხოლოდ ქართული პური ჭმნდა და ქართველი სტუდენტობა უფრო მას ეტანებოდა. მენაბდის სასადილო, შეიძლება ითქვას, ქართველთა საკრებულოდ გადაიქცა.

იმ დროს ტიციანს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოხვეჭილი საყოველთაო პოეტის სახელი, მაგრამ სტუდენტთა წრე იცნობდა როგორც პოეტს და ზრდილობიან ახალგაზრდას, რომელსაც გინება რა საკადრისია, უწმაწური მრუდი სიტყვაც კი არ წამოსცდენოდა. ამიტომაც ხუმრობასაც ვეწევით უბადავდა.

ტიციანთან ერთად იმავ კურსზე სწავლობდა პავლე აბულაძე, მას შინაურულად პავლუშას ვეძახდით. პავლუშამ გადაჯარბებული ხუმრობა იცოდა, სადაც ის იქნებოდა, ყვიმატ სიტყვაზე ატეხილი სიცილ-ხარხარი შეიქმნებოდა ხოლმე. მისი ხუმრობა არც არავის სწყინდა.

პავლუშა თვითეულს რაღაცას გამოუნახავდა და ისე კომიკურად გადაიღებდა მის ნამოქმედარს, თუ ნათქვამს, რომ გაკვირვებულნი ვიყავით, როგორ ახერხებდა.

ერთ დღეს ტიციანს ტელეფონით ვიღაც ელაპარაკა. ტიციანმა გამანდო: — ქალი მელაპარაკა და შეხვედრა დამინიშნაო. — გამოეწყო და წავიდა. საღამოს უხასიათოდ დაბრუნდა. ჯავრობდა — ალბათ კარგად ვერ გავიგე შეხვედრის დგილი, იქნებ სხვა ადგილზე დამიბარა, სირცხვილია, ქალი მელოდებოდა, მე კი არ მივედიო.

— საჯავრელი არაფერი გაქვს. თუ შენი სიყვარულის ბრჭყალი აქვს გაკრული, მოგნახავს, — ვანუგეშე.

ტიციანს ესიამოვნა თანაგრძნობა.

— მომაჯადოვებელი, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა, მისი პატრონი არ შეიძლება ულამაზესი და საოხო ქალი არ იყოს, — აღტაცებით ამბობდა იგი.

მეორე დღეს ტელეფონმა კიდევ დარეკა; მე შევეცქეროდი ტიციანის გაბადრულ სახეს. ყურმილშ მოსაუბრეს ბოდიშს უხდიდა. კვლავ გაუგეშრობა რომ არ მოხდარიყო, შეხვედრის ადგილი რამდენჯერმე გაუმეორა.

ტიციანი აღტაცებული წავიდა, მაგრამ კვლავ დაღონებული დაბრუნდა შინ.

სიტყვა შევაპარე. გამომესაუბრა. ვიმსჯელეთ.

— ან შეემთხვა რამე და ვერ მოვიდა, ან პირდაპირ გამოჩენა ერიდება და შემთხვევას ელის. — ასე განსაზ-

ღვრა ტიციანმა. ამავე დროს დარწმუნებული იყო, ტკბილი ხმის პატრონი ქალი, ნესტანზე ულამაზესი იქნებოდა.

იმ საღამოს ეს განცდები ლექსით გამოხატა.

გადიოდა დღეები. ჩემს ყურამდე მოაღწია: პავლუშას ბიჭები უცინებია — ტიციანს ტელეფონით ქალურად ველაპარაკები, შეხვედრას ვუნიშნავ. ის გამოპრანჭული ცხადდება და დიდხანს წრიალებს ქალის მოლოდინში. მე კი ჩასაფრებული ვუცქერიო. თან გაუფრთხილებია ყველა, ტიციანისათვის არაფერი ეთქვათ, დიდი ამბავი ახლა უნდა მოვახდინო და ჩამეშლებაო.

დავბრუნდი შინ. გზაში გეგმებს ვაწყობდი. როგორ რა მეთქვა, რომ ტიციანი გაფრთხილებულიყო.

ოთახში შევედი. ტიციანი მარტო იყო და ტელეფონზე ლაპარაკობდა. მან უცებ არაადამიანურად დაიღრიალა:

— თუ გავიგე ვინ ხარ, დედას გიტირებ! — და ყურმილი დდო.

ტიციანი მეც მივახვედრე, რომ ვიღაც ამასხარავებდა, მაგრამ პავლუშა არ გამიცია.

გაიარა კარგა ხანმა. ჩვენი სტუდენტური ცხოვრება თავის გზას მიჰყვებოდა. ერთ დღეს, ჩვეულებრივ, მე და ტიციანი მენაბდის სასადილოში წავედით. დაგვიხვდნენ ქართველი სტუდენტები. მათ რიცხვში იყო პავლუშა აბულაძე. ჩამოვართვით მოკითხვით ერთმანეთს ხელი.

პავლუშამ ტიციანს ხელის მაგიერ ფეხი გაუშვირა.

ყველა ახარხარდა.

ტიციანი ხმაამოუღებლივ იდგა — ალბათ პასუხს დაუბრუნებდა, მაგრამ ვინ დაიცალა.

— რას ჰგავს ეს, რა ზრდილობაა, ამას კაცი ვერ მოითმენს! — თქვა ერთმა.

— პავლუშა, შენ დაუკრეფავში შეტოპე, კაცი პოეტია, მაგას შეგარჩენს! — უთხრა მეორემ.

— ასეთი რამ ჩემთვის გაებედა ვინმეს, ვერ მოვითმენდი, დასძინა მესამემ.

ყველა შეეცადა ტიციანი ... ...

ჩვენს მეზობლად ერთი რკინისგზელი, ვაგონის გამცილებელი ცხოვრობდა. ვიცოდით მას სმიტ-ვენსონის სისტემის რევოლვერი ჰქონდა. ვთხოვეთ. ვვათხოვა. აღმოჩნდა, რომ ტიციანმა რევოლვერის ხმარება არ იცოდა.

— სად გაგონილა რევოლვერის ხმარება არ იცოდე და დუელს ნიშნავდე, როგორ შეიძლება, ჯერ სროლა ისწავლე! — ვეჩჩინებოდი ტიციანს.

ტიციანი დამეთანხმა.

ქალქგარეთ სოკოლნიკის უბანში, ტყიან ადგილას წავედით, ხეზე გაზეთი მივაკარით. ტიციანმა სამჯერ ესროლა ჩემი კოსსულტაციის მიხედვით, იმ სიშორიდან როგორც დუელის წესდებაში ეწერა.

პირველი სულ დააცილა. მეორე და მესამე გაზეთის ნაპირში მოარტყა.

როცა გაზეთი ჩამოვხსენით, ტიციანმა ნატყვიარში წერი შეყო და გაზომა. ინტერესებდა ტყვია რა მანძილზე იყო შესული.

— კიდევ კარგი, პირველი ვერ მოვარტყი, ამ სიღრმეზე შესული სამი ტყვია ლამაზ არყის ხეს გაახმობდა! — თქვა ტიციანმა.

პავლუშა აბულაძე თავის მხრივ გრძნობდა, რომ მის გაუთავებელ ხუმრობას კარგი ამბავი არ მოჰყვა. ცდილობდა ტიციანისათვის გადაეთქმევინებინა დუელი, მაგრამ რადგან ტიციანის ნებისყოფა, ამ გზით ვერ გატეხა, სხვა გზა მონახა, იქნება შეეშინოთ:

— მე იმ კაცის შთამომავალი ვარ, რომელიც მეფე სოლომონ მეორეს იცავდა და ზეკარის გადასასვლელით თურქეთში გადაიყვანა. მომდგომს ვაკაცობა, ტყვიას ნატყვიარში ვესვრი და ვსვამ. რით ამაყობს ეგ დიაკვნის შვილი, ტიბიკონს ხომ ვერ მესვრისო, — ამბობდა ამხანაგებში.

ტიციანს პავლუს ასეთი ქცევა უფრო ახელებდა და მეტი პრინციპულობით მოითხოვდა დუელის დაჩქარებას.

— დუელი ჯერ ვერ შედგება, რადგან მეორე სმიტ-ვენსსონი ვერსადგვიშოვია. — ეუთხარით ტიციანს.

ტიციანი აღელდა.

— თუ ასეა, ხმალში გამოვიწვევ. ხმალიც ხომ ძნელი საშოვარი არ არის?

ფორმალურად ახლა ხმლების ძებნა დავიწყეთ. ეუთხარით ტიციანს, ხმლების შოვნა მეზობელმა შეიძლება. მაგრამ მათ გამოსატანად ნაცნობის მონახვაა საჭიროო.

ტიციანმა თვითონ მონახა ასეთი კაცი.

ახლა აბულაძემ „იშოვა“ მეზობელი.

— მე, სოლომონ მეორის პირადი მცველის შთამომავალი, არავითარ შემთხვევაში არ ვარ თანახმა, აღლვიეთ სწორი, ხანჯალივით ორპირი ხმალი დავიჭირო ხელში, ან მიშოვეთ ქართული ხმალი, ან რევოლვერი! — ამბობდა პავლუშა.

ტიციანი ჯიუტად და პრინციპულად მოითხოვდა, მალე შემდგარიყო დუელი.

აღარ ვიცოდით, რა მოვკუხერხებინა. ბოლოს ჩემი მოსაზრება ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარეს გავუზიარე, საკითხი სათვისტომოს სხდომაზე გაგვეხილა. მიგვეღო ისეთი ზომა, ეს ამბავი თავიდან აგვეცილებინა. ვიმედოვნებდით, ტიციანის სიჯიუტეს სათვისტომოს სხდომაზე გავტეხდით. დავნიშნე დრო და ადგილი.

ქართველ საზოგადოების დარბაზში, პოვარსკაიას ქუჩაზე, ყველა სტუდენტი მოვიდა. დაგმობილ იქნა პავლე აბულაძის მოქმედება. ზაზი გაეცვა ტიციანის აღიარებულ კულტურულ ყოფა-ქცევას და პოეტობას.

— მე მოვიფიხოვე დუელს, იმ ცხოველთან, რომელმაც თავისი ბილწი ფეხით შელახა ჩემი თავმოყვარეობა! — არ წაიღო უკან თავისი სიტყვა ტიციანმა.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ სათვისტომოს სხდომამ დადგენილება გამოიტანა:

ახლა, როცა სახელმწიფოში ომია, ყოველად სასღრეცხვილო და ლაჩრული მოქმედება იქნება, ახალგაზრდები დედაქალაქში დუელით ხოცავდნენ ერთმანეთს. ისიც გმირულ ომების მწარმოებელი ქართველთა შთამომავლები. თუ ტიციან ტაბიძე და პავლე აბულაძე არ. გადათქვამენ თავიანთ განზრახვას, მაშინ სათვისტომო მათ მიუთითებს — წავიდნენ ფრონტზე და იქ ომობნ.

სათვისტომო აგრეთვე აღნიშნავს რომ, პავლე აბულაძის უადგილო და უაზრო ხუმრობამ წარმოშვა ეს უკმაყოფილება და მან უნდა შეიგნოს თავისი დანაშაული, ბოდიში მოუთხოვოს ტიციანს და შეურიგდეს, თუ არც ეს იქნება მიღწეული, სათვისტომო გადაჭრით მოითხოვს, დუელი გადადებულ იქნას და. მერე მოხდეს, როცა დამთავრდება ომი. საქართველოში, ქართული ხმლებით.

სიტყვა პავლე აბულაძემ მოითხოვა. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველანი მას მივაჩერდით, რას იტყვის ისეთსო.

— ტიციანის წინაშე მე ბოდიშს ვიხდი, ის შეგნებული ქართველია, პოეტია და, მით უმეტეს, უნდა გამიგოს. მინდა, მანაც შეიგნოს ერთი რამ, მე ბუნებით ვარ ასეთი. ხუმრობა და მასხრობა ჩემი ხასიათია. საქართველოს რომ ახლაც ყავდეს მეფე, აქ. ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტი არ ვიქნებოდი. მეფე თავის კარზე მასხარად ამიყვანდა.

პოეტი ადამიანის სულიერი ცხოვრების შესაიდუმლეა. ტიციანი რად არ მიხვდა ამას, რატომ შეაფასა ასე ჩემი ხუმრობა?

კვლავ გიხდი ბოდიშს, ძმაო ტიციან!

დასასრული. პავლემ და ტიციანისაკენ წავიდა. უცბად მისწვდა, მოეხვია და მხურვალედ გადაკოცნა.

ტიციანს ხელი არ გაუნძრევია, მხოლოდ თავი გადასწია მოსარიდებლად.

ყველას გაგიხარდა საქმე კარგად რომ მთავრდებოდა, ვიღაცამ წამოიძახა — პავლესათვის ტიციანსაც ეკოცნა. ამ მოთხოვნას ყველა შეეურიგდა.

ტიციანმა საზოგადო მოთხოვნას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. ეკოცა პავლეს. მაგრამ ისე უწადინოდ. მისი ტუჩები პავლეს ლოყას არც კი შეხებია.

იგრძალა ტაშმა. განმეორებით მოეთხოვა ტიციანს, ნაშდვილად ეკოცნა.

ტიციანმა შეასრულა ჩვენი თხოვნა. შემდეგ ხელი ასწია. შეაჩერა ხალხი და თქვა:

— ხუმრობა კარგია. იუმორის გარეშე ჩვენი ცხოვრება რა იქნებოდა! მაგრამ პავლემ არ იცის, რომ კაცმა თავისი უნარი, ყველა შესაფერ დროს, შესაფერ ადგილზე უნდა გამოიყენოს. მე თანახმა ვარ დუელი უარვყო ომის დამთავრებამდე!

ტაშმა და შეძახილებმა დაფარა ტიციანის ბოლო სიტყვები.

ვულეთ გავიხარეთ. მთავარი იყო, დუელი ახლა არ შემდგარიყო, შემდეგ ვინ იცის, რა მოხდებოდა.

ტიციან ტაბიძე და პავლე აბულაძე შემდგომს ერთმანეთის დიდი პატივისმცემლები გახდნენ.

მეორე კურსიდან მე სამხედრო სასახურში გამიწვიეს კავკასიაში. თბილისში გამომგზავნეს სამხედრო სასწავლებელში.

პავლე აბულაძე 1917 წლის სამოქალაქო ომში დაღუპულიყო. ტიციანი კი რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

თბილისში ტიციანი ხშირად მხვდებოდა. არაერთხელ გავიხსენეთ დუელის ამბავი.

— ალარ არის ჩემი მოაზნაურე პავლუშა. — მწუხარებით იტყოდა ხოლმე ტიციანი და თვალზე ცრემლი მოადგებოდა.

— კაცს, რომელსაც მოსაკლავად იმეტებდი, ასე გლოვობ? — შეეკითხე მე.

— განა თვითონ არ მატყობდი, როცა რევოლვერის სროლას მასწავლიდი, რომ კაცის მკვლელად ვერ გამოვდგებოდი? — კითხვითვე მიპასუხა ტიციანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსივის ვოლოდინი

მე დავიღალე. ვიძინებ. დაგრჩეს
ტკივილი ჩემი, ვით სასთუმალი
მოგონებისთვის... სხივი გაარჩევს,
ვინ არს მესამე და ვინ სტუმარი.

იქ, უსაშველოდ შიშველ რტოებთან,
როგორც მდინარის ლურჯი სხეული,
ცახცახებს შენი განმარტოება —
მზე ეშაფოტზე და ნისლეული

ბაგეთა მძივად. მერე ხივილი,
ბგერათა ღანდი, ვით დაშინება
ჟამით, რომელიც არის კვივილი
და მაინც მდორედ მიედინება.

სიმარტოვის ბროწეულები

ირაკლი ბაზაძეს.

ჩემს ღამეებში შემოცურდა მატარებელი
(უფრო სწორად, მისი ხრიგინი):
იქნებ მიდის ქუთაისისკენ?

რამ გამახსენა, ირაკლი ჩემო,
სათაფლიის სტალაქტიდები —
მოლოდინის ლაბირინთები
და იმერეთი — ატყორცნილი
ბროწეულები,
ტიციანის „ლექსი — მეწყერი“...

რამ გამახსენა
წყარო, ჩრდილები,
ავტობუსის უეცარი ჩამოდგომით
გარდაცვლილები?

* * * * * * *
* * * * * * *

თ. ვულფი ამბობს, რომ
„სიკვდილი ამაყი დაა“,
იგი არ ჩქარობს. მოდის დინჯად.
ჩუმად. ნელი-ნელ,
ვით თავმჯდომარე,
ვით უფროსი
და ა. შ.

ახლა შემოვა ჩემთან ვაგნერი,
ღმერთებს დაღუპავს, როგორც სიზმრის
ფერმკრთალ გვირილებს...
და უშენოდ მომეწყინება.

ნეტავ შემეძლოს,
შენი დიდი გულის იმედით
შელამებათა პოეზიის ვიყო მზირალი —
უდასასრულოდ...
და სული ჩემი — სიმარტოვის
ბროწეულები
ცეცხლივით არ ამოვანთხიო!!!

თეთრი ლექსის ფუადღე

თამშაქოს ბოლი. ნესტიანი ოთახის სევდა
წიგნებზე გაწვა. დაიღალა უკვე
სურვილიც
და უსასრულო ეჭვის დაფნით
ათვალიერებ
ძგლების ანსამბლს — ადაჯიოს ქარცი
დღეების.
სასადილოსკენ, ჰერი-ჰერი!
უნდა წახვიდე,
ქრესტომათია უკან დაგდევს,
როგორც გადია:
„არ შეიძლება!“ „მაღალია!“
„პლატონურია!“
„ორჯერ ორი...“ და ა. შ. ხელთშეუხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგიმთავრდება შესვენება ლექსიკონებით,
ჩანტლაძის „პრიმა“, სულის სარკე, —
ხმის ნამსხვრევები
აგაწრიალებს. ჩამოისვამ ნიკაპზე
ხელს, დაკაბულ
მაგიდა. ძეგლი — პუშკინი და ...

ჟამი ჟამუნვისა და ვაინც, ვაინც.

„ეხიოდ გაუდგნენ მრავალხმიან ზღვის
სანაპიროს“... ალეკროლი

ხმაურიანი ზღვისა არ იყოს,
მწარე დუმილის ხსნისა არ იყოს,
აწ გარდაცვლილთა ხმისა არ იყოს, —
არ გაგვრიყავდნენ...

სიზმრის ქვეყანას შავეთი ჰქვია,
საშინელია, ვით ცხელი ტყვია,
იქ ვერ შეაკრთობს გაზაფხულს ია, —
ზუზენაესი...

იდუმალება ფერებს გაიღებს,
ფერადოვნება — ძვირფას თარიღებს,
ღამე სიმშვიდის ბალიშს წაიღებს, —
და წაგვიყვანენ...

ჩვენც მოვიცადოთ, რა გვეჩქარება?
დაე, იქროლონ ხსოვნის ქარებმა,
გადაგვავიწყონ ცისკრის ზარებმა, —
ლანდი კადესის...

25 ივნისი

— რაღას გერჩოდა ნეტავი ის დღე?

ამოაღამა თვალთა ცისკარი
სევდის ფრინველმა
და ფრთებწაკვნეტილ სივრცეებში
მიცურავს უკვე
შენი სილურჯე — მხრებში ოდნავ
მოხრილი ტანი.

— ეს გაუმარჯოს დროის ტომარას
68 კილოგრამი „ძვირფასი“ ტვირთით!

მაგიდა, სკამი,
და თვით პიჯაკზე აწყვეტილი ღილის
დუმილი

უერთდება მოლოდინის ცას —
ოკეანეს მოგონებათა.

— რაღას გერჩოდნენ დედა და მამა?!

დ ა ძ ა ხ ი ლ ი

აკადემია, მხატვრები და გუმბათი,
შპილი, —
ბრწყინვალე სახლი!
აქვე ჰიპები. რადიოლა მუსიკოფილის —
ჰიბრიდი ახლის.

ვკითხულობ ვერლენს. ღრუბლებია.
წვიმა წამოვა —
ხეთა რტებით.
„გავიწუწები...“ რაზე ვფიქრობ?
ეჰ, არ გამოვა
ჩემგან პოეტი.

5. „ცისკარი“ № 6

გადავიღალე რამდენიმე
გარდაცვალებით —
ფოთლები ცვივა...
იქ, სამშობლოში, იდუმალი შენი თვალები
მხედავენ. მცივა!

აკადემია, მხატვრები და გუმბათი,
შპილი, —
ბრწყინვალე სახლი!
ჰიპნი წასულან. რადიოლამ დატოვა
ჩრდილი —
მე ვუსმენ ძახილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

განშორების ატრიბუტები

მე მეზიზღებით! არა, ალბათ კვლავ
მეცოდებით...
არსებობს წიგნი „ესთეტიკა“ და ა. შ.
დე, ღმერთი იყოს თქვენი შემწე,
ჩემი ცოდვები
იწრიალებენ, დაუცდიან მომავალს —
შედეგს...

თურმე იყავით. არსებობდით,
როგორც ოდესღაც
არსებობდა ის ერთადერთი,
უძვირფასესი...

და უნებლიე გახსენებამ
რომელსაც
მართებდა ჩემი, ამიტირა შიშველი
ლექსიც...

თქვენ მას შემოსავთ. იმედია, დამრჩება
თაღი,
ბაროკოს სევდა — ბატონ რილკეს
ბარელიეფი,
მე მეძინება, მეძინება საშინლად
დაღლილს,
მადლობელი ვარ! დაგტოვეთ ანდერძიც,
ფრთებიც...

ეკითხულობ ტაკუბოკოს

სულის კუნძულზე
სილა სტირის — ბინდის გვირილა
და დედაჩემი — ივნისის მთვარე
ვხედავ, უსმენს უკანასკნელად
კიბორჩხალა — მევიოლინეს.

მ ე ლ ო დ ი ა

ბოლი. ბოლი. რესტორანი,
მაგიდაზე — სანთელი.
მომაგონდა სევდიანი
შორეული ნათელი.

ვიოლინოს ატირებდა
ქარცი მელანქოლია,
აქ არ იყო არც „ჩეხონტა“,
არც სპექტაკლი „თოლია“.

იყო ღამე — ფიქრის ფიქრი,
ნისლი გაურკვეველობის.
შენი ტვირთი, ჩემი ტვირთი,
სენტ. რომანი: „მკვლელობა“.

უსასრულო შეღამება:
მთვარე, ზღვა და გემები,
მთავრდებოდა ლტოლვა — ვნება
ლურჯი დაიმედებით...

ხეზონის დასურვა

იმ რესტორანში
ააკვნესა ვიოლინოს ცისფერი სევდა
უკრაინიდან ჩამოსულმა მუსიკოსმა და
შავ ბუდეში, როგორც გადიამ
დიდი სიფრთხილით, სინანულით
ჩააწვინა ბავშვივით ჩუმი,
ნაზი აკორდი — საღამოს ლანდი.

მე ვიდექი გზაჯვარედინთან
და ხელისგულზე მთვარის ბილიკის
ლურჯი ნამსხვრევი მიწკრიალებდა,
როგორც ბგერა უკანასკნელი...

მე ვიდექი გზაჯვარედინზე —
განშორების ჯვარზე გაკრული —
ზაფხულის სურნელს მივაცილებდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმინდა

რა სიჩუმეა, რა წვა, რა დაგვა,
წამიერება დამდგარა მშვიდი,
ობოლი ცრემლი ფოთლის ღარს ჩაჰყვა,
ბუჩქებზე შეფრთხა პატარა ჩიტი —

მომავლის დღეთა მზერა ნაგმანი,
ღრუბლის ერდოზე მეხად გავარდა,
შეიძრა მთვარე, ღამის ფლაგმანი,
მზისკენ დაიძრა ვარსკვლავთ არმადა.

მთაწმინდის ლოდებს წვეთების სახით
გამოეყონათ ქვითინი მწარე...
ცის მაყრიონი გაშეშდა წამით,
არა ჩანს მზე და გამქრალა მთვარეც?!

თქვენით და მთებით დღეს მე ვარ მთვრალი

ცა გადიღება ნაცრემლარ ფუნჯით,
ელვამ იელვა წასულ ფიქრებში,
მთებს შემოიჭრა ზღაპრის ფასკუნჯი,
და განიბანა „ზან"-ის ნისლებში.

ჩემგნით ვედრება თვთნულდის ბინტვებს,
სთქვით სად ვეძებო ჩემი სეხნია?
გათოკეთ ზეცა, ნუ დაიბინდებს,
დღეს მირანგულას მთებიც სძებნიან.

ზვიადო მთებო, კარი გააღეთ,
დავეხეტები ობოლი ბავშვი,
გამაგრდი შვილო, მოხვევ ჟაღე,
დამძახის უშბა, სვანეთის მახვში.

ჩემო მუხბადლგნე, ეს გზა ჩვენია,
როს ჩაუხერგავთ შავღელის შლამებს,
აქ შეჩერება როდი მწყენია,
თუმც დავეშფოთე ჩასოლილ ხრამებს.

რა დამავიწყებს, ღვთისგან დალოცვილ
საბედნიერო სამხუბის კარავს,
გვი გუჯეკიანს.

ყანწების ჭიდილს ფრჩხილზე ჩამოცლილ
ნაღდ ლუშნუ ხარაყს, სიფხიზლის მპარავს

მე მანდ სხვა სიტყვა არა მსმენია,
მხოლოდ მესმოდა მიშგუ ლადეღ სი,
აი ასეთი ძმობა მწადია
ხოჩა ლი მაჩ ხარ გულს რომ გადიხსნის

ალბათ დრო უფრო თავისას იტყვის,
ფიქრთ საღერღელი თქვენად ამშლია,
არ მოგვრიდოთ სტუმრობის სიტყვის,
სთქვით, ძმობის წესში თუ რამ შემშლია.

ენგური მბდღვნის და მაინც მშრალი ვარ,
გაფიცებთ ძმობას ნუ ამომიყვანთ,
თქვენნით და მთებით დღესაც მთვრალი ვარ
ამ სიმთვრალიდან რა გამომიყვანს.

შორით ვტკბებოდი ხილვით დიადით,
დღეის სახეში სხვა სახეც ვცანი,
მე ახლა ვხვდები მაგ სიზვიადეს,
თუ რატომაა ამაყი სვანი.

ს ა ი ბ ე ე დ ო

ნატანჯი გული დაუფლეთიათ
გაველურებულ ფრინველთა ჭანგებს
და ყურთასმენა იპყრობს ერთიან
რაღაც შეუცნობ, არსმენილ ჰანგებს.

ცრემლები მოსჩქეფს მთის ნიაღვარად,
გზას არ სცილდება არც ერთი წვეთი,
რაღაც შლეგური მაჩერებს ზღვარად,
წინ აღმართულა ყინულის სვეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულს ეფინება ფიქრთა ნამქერი
და გრძნობას სძარცვავს, ვითარც ყაჩაღი,
სურს შემიცვალოს ქანგი სამდერი,
სურს ჩააკვამლოს ცეცხლი ნაჩაღი.

ბედი კი ჩუმად, განზე განმდგარი,
კვლავ ეძალება ლოთივით ღვინოს,

სული ჭიხვინებს ყალყზე შემდგარი,
გამოფხიზლდიო, არ დაგეძინოს!

დაოთხებული მიზნისკენ მიჰქრის,
კეცავს და კვეცავს მომავლის რწმენას,
პირჩვილ ცხენივით მიმარბენს ფიქრი,
დაუჭარეო, — ჩასძახის სმენას!..

ბ ა ლ ა ვ ა

იუზა ყაჭეიშვილს — „ცისკარში“ გამოქვეყნებულ მოთხრობა „გაქცევის“ გამო.

ივლისის თვეებს დაჰყეფდა ქარი,
იფხრიწებოდა არსობის საშვი,
უმამო ლუკმას ეძებდა ქალი,
შიმშილის გვერდით ტიროდა ბავშვი.

დრო, ჟამი, ყოფა, წამიერება
მიდის პირქუშად, გაუდის ყავლი,
უბედურებავ! ბედნიერებას
ხანდახან მაინც ახსენი მსჯავრი.

ანგარიშგების საღვთო ფაბულა
მარყუჟად აწვეს სამადლო სუნთქვას,
უღმერთობა რა შორს წასულა,
ნუთუ ღმერთებსაც ნილბი უნდათ?

როდინდელობის მითი ცხადდება,
თვალახელილი დგას ტირეზია,
დღეს თუ ბრმაც ხედავს, მაშინ რა ხდება,
მაშ ბრმობილობა რა მიზეზია?

„სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს“ —
მართლაც? —
ხომ არ მიაგავს წასვლა დაქცევას?
ასეა, ასე... მაშინაც, ახლაც...
დაე, ამ გაცლას ერქვას გაქცევა.

გზა დაბრუნების, არ დაბრუნების,
ეჭვის, ზმანების... ვედრება ღმერთებს!..
გადატრიალდა ძველი ურემი —
გზა თუ გამოჩნდა — რას დგეხარ მერე?!

გორის ანდრონიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკიუპაჟი ტანტიალიტს

მოთხრობა

გაცხარებით ვეძებდი ტაქსს, ნოდარმა რომ დამინაა.

— საით გაგიწევია!

— სადგურში.

— რატომ?

— ნოდარ, მეჩქარება, თქვი, რა გინდა?

— ამიღე ბილეთი ბაკურიანაღე.

— კარგი.

ნოდარმა მთელი თავისი ბავშვობა ბიბლიოთეკებსა, სამკითხველოებში ღა კომუნარების ბაღში გაატარა, სადაც ფილატელისტები იკრიბებიან. იგი პირდაპირ დატენილი იყო მეტწილად სტატისტიკური ხასიათის ყოველგვარი ცნობით. იცოდა, მაგალითად, რამდენი თეორი დათვი იყო ვრანგელისა და ჰერალდის კუნძულებზე, იცოდა აფრიკელი მაუგლის აღმზრდელ მაიმუნთა რაოდენობა, და მისი ცხოვრების ყოველგვარი ახალ-ახალი ცნობები. რკინის ნიღაბის საიდუმლოებაც კი იცოდა.

და, საერთოდ, ყველა კითხვაზე შეეძლო პასუხის გაცემა, რომლის შესახებაც ოდესმე თუ დაწერილა პრესაში. მაგალითად, რომ ეეკითხათ, „წაგიკითხავს სიამის ტყუპების მოთხრობები?“ იგი ერთი წამითაც კი არ დაფიქრდე-

ბოდა, ინუ გიპასუხებდათ: „სიამის ტყუპებს არასოდეს დაუწერიათ თხზრობები. ეს იყო ერთმანეთს შეზრდილი ჩვილები“. თუკი კითხვადი, როდის დაიწყო ქრისტიანული ერა, ანდა ვინაა სინგაპურის პრემიერ-მინისტრიო, იმწამსვე გიპასუხებდათ, თან ნაღვლიანად შემოგხედავდათ, ასეთი უვიცი რომ იყავი.

ამიტომაც ძალიან გამიკვირდა, რომ ასეთმა მწიგნობარმა კაცმა გადაწყვიტა ჩვენს საზამთრო აგარაკზე, ბაკურიანში გამგზავრება.

შინ დაბრუნებულს ნათესავები დამხვდნენ, რომ გაეგოთ, როგორ ჩავბარე გამოცდები, შემდეგ დაიწყეს დავა ჩემი სიბეჯითის თაობაზე. დათოც მოვდა. როგორც კი იგი გამოჩნდა კარში, ყველანი გაჩუმდნენ და დათოს დაუწყეს ყურება: ზორბა ტანის, მშვიდი, ზომიერად აგრესული, განსაზღვრულად ზრდილობიანი. ბოდიში მოიხადა უცაბედი შემოჭრისათვის და მთხოვა, რამდენიმე წუთი მისთვის დამეთმო. აივანზე გავედით და მოკრძალებით მითხრა:

— ბაკურიანში მივდივარ, იქნებ მათხოვო შენი ორმხრივი ქურთუკი.

მე ჭმონდა ასეთი სპორტული ქურთუკი. ერთ მხარეზე მწვანე იყო, მეორეზე კი — ჩალისფერი.

— სიამოვნებით, — დავეთანხმე მე.

... ბორჯომის მატარებლის პოვნა ადვილი იყო, რადგან მის ირგვლივ შეჯგუფულიყვნენ სპორტულ კოსტუმებში გამოწყობილი მხიარული ქაბუკები და ქალიშვილები. ამ ხალხმრავალ ტალღაში მკაფიოდ გამოირჩეოდა დათოს ახოვანი ღონაგობა. იგი იდგა ჩემს ქურთუკში გამოწყობილი და დამცინავად გაჰკურებდა მის ირგვლივ მოფუსფუსე ხალხს.

— შენ აქ რა გინდა? — შემეკითხა იგი.

— მეც მოვდივარ! — ვუპასუხე. დათომ დაკვირვებით აიჩეჩა მხრები.

— მერე რატომ არაფერი მითხარი?

— კი მაგრამ, რატომ უნდა მეთქვა?

— იმიტომ, რომ, აღარ გამოგიცრთმევდი შენს ქურთუკს.

— ნუ შეწუხდები. დათო, არ მჭირდებოდა.

— რატომ, წაიღე, — დამიჟინა.

— არ მჭირდება-მეთქი, — გავუმეორე, — ასეთი ქურთუკით სლალომის გმირი უნდა იყო.

— აბა მე ხელთათმანებს მოგცემ. — მოკრძალებით გაიღიმა მან. — ორი წყვილი მაქვს, ორივე წითელია.

— გმადლობთ, ის ჩემთვის ძალზე უხერხული იქნება, — უარი ვუთხარი მე და დათომ დიდსულოვნად გამომიწოდა ხელი.

მე და ნოდარი ერთ ვაგონში აღმოვჩნდით, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქ ყველა ერთმანეთის მეგობრები და ნაცნობები იყვნენ, ყველანი თბილამურებით და ნივთების ჩასაწყობი ტომრებით თავსდებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ვისაც ვისთან სიამოვნებდა მგზავრობა, და არა ბილეთების ადგილების მიხედვით.

ნოდარი უკვე იჯდა კუთხეში და ნაცნობებს უამბობდა ატლანტიკის, ინდოეთის და წყნარი ოკეანეების თბილ წყლებში მცხოვრებ ვიგანტურ მოლუსკის ტრიდაკნის შესახებ. ეს მოლუსკი იმითაა საინტერესო, რომ თავად ამზადებს საკვებს. მას მანტიის შიგნით ეზრდება წყალმცენარეები და იმით იკვებება. ამასთანავე ნოდარმა, როგორც ჩვეულად ბევრი წიგნის მკითხველ ადამიანებს, ფილოსოფიური დასკვნაც გაუკეთა.

— აი, ადამიანსაც რომ შეეძლოს ასე არსებობა, ომი აღარ იქნებოდა.

მატარებელი ბორჯომს მიუახლოვდა. ყველანი ბაქანზე გამოვცვივდით. რამდენი ლამაზი გოგონა იყო აქ! ბაქანი პირდაპირ ყვავილნარს დაემსგავსა. წარმოვიდგინოთ მხოლოდ, რომ ყველა ესენი შეყვარებულნი არიან — ზოგი საიდუმლოდ, ზოგი ანგარიშშიუცემლად, ზოგიც მხურვალედ ანდა კიდევ როგორღაც... ირგვლივ დიდებული დუმილით იდგნენ მთები, რომლის წვეროები ზე-

ცას. ეპჯინებოდა, ფიშვები, ფერდობი და თავად ხეობა მოფიფქული და დაზავებული თოვლით, მზისგან ბრწყინავდა; ელავდა ხეების სპილენძისფერი ტანი; ასხივებდა ცის მოლურჯო სინათლე. სამანვერო ორთქლმავლების საყვირების ხმები, სადგურისათვის დამახასიათებელი ფუსფუსი და მეშარგულების ძახილი უფრო აშკარას ხდიდა მთების მელანქოლიურ სიჩუმეს. ამ ადგილიდან ცოტა მოშორებით, ბორჯომის ხეობაში, იქ, სადაც მტკვარი გამოჩჩქეფს მთის მარწუხებიდან და გაშლილ სივრცეზე გიჟაკებს, სოფელ ახალდაბასთან იბრძოდა დიდი მოურავი გიორგი საკაძე, და ეს ქვის ლოდები გვაგონებს მის ლაშქარს.

ბაქანთან მოსრიალდა პატარა ორთქლმავალი „კუკუშკა“ რომ ეძახიან. პატარა ვაგონები იერიშით იქნა აღებული, მცირე ნაწილი მგზავრებისა, მათ შორის ნოდარიც ნაღვლინად შესცქეროდნენ ამ მოუთმენელი ახალგაზრდების შეტევას, რომლებიც ყველაფერს იერიშით იღებენ. პუფ-პუფ-პუფ ქშინავდა „კუკუშკა“, ყოველ ვაგონში ენთო ღუმელი და გოგონები უშვერდ[illegible]ენ მის გვერდებს გაწითლებულ ნეკესგულებს. ფანჯრებიდან მოჩანდა ფაკარიელებული აგარაკები, პიონერთა ბანაკები და სანატორიუმები. ძაღლებიც კი არ ჩანდნენ ირგვლივ, თუმცა მათი ნაკვალევი გადაჭრელებული იყო თოვლი ყველა მიმართულებით. თოვლზე კიდევ ჩანდა ფრინველებისა და, რასაკვირველია, კურდღლების ნაკვალევიც.

დათო აქაც გამოირჩეოდა ყველასგან: ხმაურობდა, განკარგულებებს იძლეოდა, მის მეგობარ ქალებს მოხერხებულ ადგილზე აწყობდა; გაჩერებებზე გუნდაობდა, აკეთებდა გარეული ღორის თავიან უზარმაზარ გორას. ნოდარი კი ხმადაბლა მოუთხრობდა ვიღაცას რომ საშუალო საუკუნეებში მელანს ამზადებდნენ მჭვარტლისა და ზეთის შენაერვით და უმატებდნენ აბზინდის შენაერთს, რათა ხელნაწერი წიგნები თაგვებს არ დაეხრათ. ჩვეულებისამებრ დასკვნის გასაკეთებლად დაუმატა:

— საკლაბნი ცოტა იყო მაშინ და შეხატყვისად ქაღალდიც და ცნობაც, — ამის გამო, შეჭარხლებულმა და გაოფლიანებულმა დათომ შენიშნა:

— საკლაბნი რომ არ ყოფილიყო, რას წაიკითხავდი? შენი ყველა ცნობა ხომ იმ ნაკლაბნისგანაა გადმოღებული? შენ ხომ წიგნებიდან ღებულობ ფაქტებს და არა ცხოვრებიდან.

— მხოლოდ ცხოვრებიდან რომ აიღო ფაქტები, — შეეპასუხა ნოდარი, — არეა-დარეკა გამოვა. ერთს სხვაგვარი ცხოვრება აქვს და ფაქტებიც სხვაგვარია, მეორისათვის კი — ცხოვრებაც და ფაქტებიც სხვანაირია.

— რასაკვირველია!

ნოდარი ბაკურიანში უთხილამურად მიდიოდა, დათო კი არავის ეარშიყებოდა. ესე იგი, მისი რჩეული ბაკურიანშია? მატარებელში ყვებოდნენ ტონია ზალიერისა და კოტა წკრეპის მთიდან დაშვების ამბა თუ იმ ილეთებზე, სლალომის ვირტუოზებზე, იმაზეც, რომ ნორვეგიელები მაინც უცნაურად არიან მოწყობილები: მონოტონურად გადიან თხილამურებით თხუთმეტ, ოცდაათ და ორმოცდაათ კილომეტრსაც კი. სულ სხვაა მთიდან დაშვება. აამთავრებ თოვლის მტკვრის, დაეშვები სწრაფად და გამალებით. ნოდარი ფანჯრებთან მივიდა ლიმონათის დასალევად და მე შევეკითხე:

— რატომ არ გამოთქვამ შენს აზრს ნორვეგიელებისა და მათი სისწრაფის ნაკლოვანებებზე.

— არ მიყვარს თხილამურები.

— აბა, რატომღა მოდიხარ?

— მაქვს მიზეზი. — მოკლედ მიპასუხა მანა.

ბოლოს და ბოლოს „კუკუშკამ“ აგვიყვანა სულ მაღლა, ბაკურიანში. მოთხილამურეებმა კვლავ ავიხეს ბაქანი,

---

ბორის ანდრონიკაშვილი
მოთხრობა

პირდაპირ დაუჯერებელი იყო, რომ ამ-დენი ხალხი ამ ერთი პატარა მატარებ-ლიდან გადმოვდა. ვიდექი და გავყურ-ებდი, როგორ მიედინებოდა გზაზე ფერადოვანი არშია უდარდელი, ბედ-ნიერი ახალგაზრდებისა, რომლებიც ახალი წლის შესახვედრად ჩამოვიდნენ აქ. შემდეგ გავიკეთე თხილამურები და გავწიე სასტუმროსაკენ.

ვესტიბიულში ტელევიზორი იყო ჩარ-თული, მის გარშემო მაყურებლები შე-ჯგუფულიყვნენ. ადმინისტრატორის წინ დაღონებული ნოდარი იდგა, მო-რიგესაც სახეზე უკმაყოფილება ეტყო-ბოდა, როგორც გამორკვა, ნოდარმა უამბო მას და ტელევიზორის მაყურებ-ლებს, რომ ნიუ-იორკის ზოოპარკის ადმინისტრაციამ გორილებს შორის ჩხუბის შესაწყვეტად გალიებში ტელე-ვიზორი დადგა და ახლა გორილები, ჩხუბის მაგიერ, დიდი ინტერესით ადე-ვნებენ თვალს გადაცემებსო. ამის სა-ნაცვლოდ ნოდარმა უარი მიიღო ოთახ-ზე, რასაც უხმოდ განიცდიდა.

ნოდარი ვვერდზე გავიყვანე, თავად ადმინისტრატორთან დავბრუნდი:

— მალხაზ ქორელი გახლავართ, — წარვუდგინე ჩემი თავი.

— ძალზე სასიამოვნო, — მიპასუხა მან გულგრილად.

—თქვენთვის წერილი უნდა დაეტო-

ღაცის იმედი მიეცემა, არც აკრძალვის უფლება მაქვს.

შინ მობრუნებულმა ნოდარს ვუთხარი:

— შენი დავალება შესრულებულია, მაგრამ პასუხი არ გამომატანა.

ნოდარი კინაღამ ჭერამდე ახტა, ჩამომართვა ხელი და ოთახში სიარულს მოპყვა.

— ამ პასუხში მთავარია ის, რომ უარი არ შემომთვალა. ესაა მთავარი! თანხმობას, ბუნებრივია, ვერ შემომითვლიდა, რადგან ეს იქნებოდა თანაგრძნობის დარი.

იმწამსვე სიხარულით მიამბო ახლა საუდის არაბეთში სპასკი-ფიშერის მატჩის შემდეგ გაუქმებულია ყადაღა ჭადრაკის თამაშზეო. აღრე იგი ითვლებოდა აკრძალულად, რადგან თოთამაშეები „მეფეებზე ნადირობდნენ“.

— როგორ ცხოვრობენ, იმ ქვეყანაში ადაც ყველაფერი აკრძალული აქვთ? — ჩვეულებრივ თავისებურად დაუმატა მან.

... თერმეტ საათზე მე და ნოდარი გავუდექით გზას. იგი გაოცებული იყო, ახალი წლის შესახვედრად ერთსა და იმავე ადგილზე რომ მივდიოდით. საერთოდ შევნიშნე, რომ ჩემი ქცევა დღეს ყველას აოცებდა, ალბათ გაუკვირდა, რომ ბაკურიანში მოვდიოდი, ნოდარს, ერთად რომ უნდა შეეხვედეთ ახალ წელს, დოდოს, მე რომ მივუტანე ნოდარის წერილი, სასადილოშიაც კი გაოცდნენ ისევ მე რომ მივედი გოკვის წამოსაღებად. მხოლოდ სასტუმროს ადმინისტრატორს არ აკვირვებდა არაფერი.

ჩვენ რომ მივედით, ყველა თავმოყრილი იყო.

დათოს მოკრძალებული საუბრით დოდოსთან, რომელიც ძლივს მალავდა მღელვარებას, ადვილი მისახვედრი გახლდათ, რომ ქალიშვილს დაეპყრო იგი. მე რომ მკითხოთ, არაფერი იყო ამაში გასაოცარი. ვიცოდი, რომ დოდო ერთ ახალგაზრდა მეცნიერს უყვარდა, რომელიც როგორც თავად ამბობდა „განცვიფრებული იყო მისი მკაფიო ბრონეულობით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ნოდარს, ფსევდონიმად რომ წამოწოლილა სახეზე, ასევე იჯდა და თავის აწევას ვერ ბედავდა, მხოლოდ რაღაცას ლუღლუღებდა გაურკვეველად, სანამ დათომ არ უთხრა, რაღაც ალერსიანად. ნოდარი იმწუთშივე შეიცვალა, მხნედ დაიწყო მოყოლა ერაყის გასული საუკუნის დამდეგის მმართველ დაუდ ფაშას შესახებ, რომელიც წარმოშობით ქართველი ყმა იყო.

გალავანი და კოშკები შემკული იყო ნახევარწრიული მოხაზულობის კონგრუენტით, რომლებიც სათოფურების როლსაც ასრულებდნენ. გალავნის სიმაღლე — 5-5,5 მ. უნდა ყოფილიყო, მეცრე კოშკებისა კი დაახლოებით 7 მ.; დიდი კოშკის სიმაღლე — 15 მ-ია. მიწიდან დაახლოებით 4 მ-ის სიმაღლეზე კოშკები და გალავანი აღჭურვილი იყო სხვადასხვა სისტემის სათოფურებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ გალავანს ეზოს მხრიდან მიაშენებული ჰქონდა ერთსართულიანი ბანიანი ნაგებობანი სათოფურების ამ სიმაღლეზე მოწყობა სრულიად გამართლებულია, მით უმეტეს, რომ, საერთოდ, სათოფურებს დაახლოებით ამ სიმაღლეზე უკვე მეჩვიდმეტე ხოლმე ეფიგენს. ჩვეულებრივ მებრძოლებისათვის გალავნის გასწვრივ სპეციალურ ჩაშოსადგომს აწყობდნენ. ჭილაანი ციხე-დარბაზზი ასეთი ჩაშოსადგომის მაგალითსაც შეინიშნს ბანი ასრულებდა და რომ სასურავი ბანური იყო, ამას მოწმობს ის, რომ კოშკებქსის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი XX საუკუნ. ამდეგამდე ბანური ყოფილა. ასევე საფუძლისხმო, რომ იქ, სადაც სასურავი ბანური არ იყო (ეკლესია), წვიმის წყლის დაგუბების თავიდან ასაცილებლად, კედლის სისქეში გაყვანილია მილები.

ზაზგასასმელია გალავნის კედლის სისქე — იგი 1,3 მეტრს უდრის (შენობათა კედლები — 1 მ. სისქისა), ამ დროს, როცა გვიანფეოდალური ხანის ციხეებისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია 0,7-დან 1,1 მ-მდე. თვით წყობა კედლწა ტიპიური ეპოქისათვის. კედელი ქვა-ყორითია ნაგები, ამასთანავე, ბევრს ადგილეს წყობის ზეტან ზრეტეს, ანუ, ოფლ, ოფლ, თეულ ზრეში გარკვეული ზომისა და გაკეთებული მიმართულებით დალაგებული ქვები ჩაძირულია უხე ნალესში, რაც კედლის ზედაპირს ელეფს ხდის და იცავს მას იმ სიმშრალის შთაბეჭდილებისაგან, რაც ესოდენ ზშირია ქველი წყობის თანამდროვე იმიტაციებში (ეს მოშენტი აუცილებლად გასათვალისწინებელია ჩვენ მშენებელთა მიერ). კედლის წყობაში გამოყენებულია აგურიც. მას რიყის ქვის საწინააღმდეგოდ, რომელიც კედლის ძირითად მასას ქმნის, კონსტრუქციულად მაკავშირებლისა და დეკორაციული ელემენტების მნიშვნელობა აქვს.

კომპლექსის განხილვისას გვიხდება ამავე პერიოდის საქართველოს სხვა ძეგლები გახსენება:

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გართულებასა და მისი მტრების გაძლიერებასთან დაკავშირებით (ირან-ოსმალეს ჩრდილოეთიდან ლეკები მოემატნენ), ციხე-სიმაგრეთა რიცხვი თანდათანობით იზრდება[28]. მრავალფეროვანი ხდება მათი დანიშნულებაც — ციხე-ქალაქი, ციხე-სიმაგრე, ციხე-სასახლე, კოშკი. ჩნდება ახალი ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობანი. თუ წინათ მათ აშენებდნენ მიეცალ ადგილებზე ხეობათა და გზების დასაცავად, — ახლა ეკავ ადგილებში, სოფლის შუაგულში შენდება უზარმაზარი ციხე-სიმაგრეები, რათა საშშშროვების დროს მთელ ახლომახლო სოფლებს შესაძლებლობა ჰქონოდა შიგ შეეხიზნულიყვნენ. ასეთი ციხეებია XVI ს-დან ქსნის ერისთავთა რეზიდენციია ახალგორში, არაგვის ერისთავთა ციხე—ანანური, სახლთუხუცეს კონსტანტინე მეფრანგ-ბატონის მიერ 1756 წ. აგებული მეფრანის ციხე, მის მიერვე 1746 წ. აგებული მეადარსყვრის ციხე, ამილახორთა რეზიდენცია — ვეგეშოკა და სხვ. მათთვის უმრავლეს შემთხვევაში დამახასიათებელია გეგმის კვადრატულობა, მაღალი გალავანი, კუთხეებში კოშკები, დიდი ეიშკარი, ჩვეულებრივ — ორი ეზო, რომელთაგან მცირე — მეორე კოშკებანი გალავანთ იყო შემოზღუდული უბრალო ხალხს შესახიზნ დიდ ეზოსაგან, მცირე ეზოს რომელიმე კუთხეში — ფეოდალის სასახლე, შუაში კი — ეკლესია, რასაც მოლიანად რამდენიმე ჰექტარამდე ეკავა (ბეზარის ციხეს, მაგალითად, 3 ჰექტარი ფართობი უჭირავს).

მათთან შედარებისას იტყვევა, რომ ჭილაძეთა ციხე, მარანალი, გეგმაში კვადრატს იძლევა, კოშკებიც აქვს, დიდი ალაყაფის კარიც, ეკლესიაც, მაგრამ მაინც კომპლექსს მხოლოდ 700 მ² უჭირავს, მის ეზოს კი 300 მ²-მდე. სოფელი ამ ვერ შეიხიზნებოდა. მის დასაცავად აღმაი არსებობდა ამკამად არარსებული მე-

ორე გალვანის მიერ შემოსაზღვრული ტერიტორია და ასევე დუშეთის ციხე, რომლის საძირკველი ალაგ-ალაგ ჩნდება მიწის სამუშაოების დროს[29]. ამიტომ ციხეს არ შეიძლება ვუწოდოთ სიმაგრე. ამავე დროს ციხე ჭილაძეთა მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენდა ისევე, როგორც ყველა ამ პერიოდის ციხეები. ამიტომ მას ციხე-სასახლე უნდა ვუწოდოთ, სხვანაირად, — ციხე-დარბაზი — ЗАМОК (ცნობილია, რომ საქართველოში სასახლე და დარბაზი სინონიმები იყო).

ჭილაანთ ციხე-დარბაზი საქართველოში უნიკალურ ფორმას იძლევა და აი რატომ: 1. ნაგებობათა გასწვრივ გალავანის შიგნით, სადაც ისინი თავმოყრილია არა ერთ რიგლიმე კუთხეში, არამედ გალავნის ოთხივე კედლის გასწვრივ ანფილადურად. ეკლესიაც კი, რომელიც ჩვეულებრივ ეზოს შუაში დგას, მიშენებულია გალავანზე[30]. იგი წარმოადგენს დანარჩენ სათავსოთა გაგრძელებას, მათ ორგანულ ნაწილს, რადგან არც სიგანითა და არც სიმაღლით მათგან არ განსხვავდება. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გაპირობებულია ადგილის სიმცირითა და, აქედან გამომდინარე, ფართობის მაქსიმალურად გამოყენების სურვილით. 2. ციხე-დარბაზის გარეგანი მოხაზულობა, კოშკთა გალავანი გალავნის ირგვლივ. მართალია, საქართველოს გვიანფეოდალური ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობებში იშვიათად თუ შეხვდებით ერთსა და იმავე ფორმების განმეორებას, მაგრამ ჭილაძეების ციხე-დარბაზი მაინც განსაკუთრებულ მოკლესს წარმოადგენს, მისი აღმშენებელი თავისი საქმის კარგი მცოდნე და დიდი გემოვნების მქონე ადამიანი იყო. მიუშვა რა დიდ ცილინდრულ კოშკს მთელი შენობა, შექმნა გარკვეული მხატვრული სახის მქონე ანსამბლი, სადაც ჰარმონიულადაა გვერდიგვერდ ერთიერთდაპირისპირპირული და ამავე დროს გაწონასწორებული მასები დიდი და ორი პატარა კოშკისა, მათ შუა აღმართული სადარაჯოები. გალავნის ზუსტი კვადრატი, შერბილებული მომრგვალებული კუთხეებითა და კოშკებით იკითხება როგორც ერთი მთლიანი მხატვრული ერთეული, რომელიც არაა მოკლებული მონუმენტურობის და კომპაქტურობის და ტოვებს მოუდგომელი ციხის შთაბეჭდილებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზომები მცირეა. შესაძლებელია, ეს გამოწვეულია იმით, რომ აქ, პატარა ფართობზე კონცენტრირებულია უკლებლივ ყველი ელემენტი, რომელიც ასე დამახასიათებელია ციხეთათვის. აქ ჩვენ გვაქვს თავმოყრა ყოველივე იმისა, რაც სხვაგან გაფანტული დიდ სივრცეზე. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს აგრეთვე ეს, რომ ზუროსმოძღვარი, ცხადია, სავსებით განზრახ არღვევს შენობათა მასების განლაგებაში სიმეტრიას — მხედველობაში გვაქვს ალაყაფის კარი და მის თავზე დაშენებული კოშკი, რომელიც ციხის წინა — ე. ი. აღმოსავლეთ კედლის ცენტრში [illegible] ვსებული, არამედ მკვეთრად [illegible] მარცხნივ, ასე რომ ალარ ეღობება უკანა პლანზე აღმართულ და ნაგებობათა მთელ კომპოზიციას მძლავრ დომინანტსაეთ გაბატონებულ მთავარ კოშკს. მაყურებელი ალიქვამს მთელ ანსამბლს არა ბრტყლად, ფასადურად, არამედ სიღრმეშიაც. მის თვალწინ აღმართულია კოშკთა მთელი კონა, თაიგული, რომლის მაღლიკენ მისწრაფვებს ხაზს უსვამს პატარა კოშკების მეკრე, მაგრამ აშკარა დავიწროვება ზემოთაკენ. რაკიზისს ეს ეფექტი თითქოს კოშკების სიმაღლესაც ზრდის.

უნდა ითქვას, რომ ის ასიმეტრია, რომელიც ჩვენ აღენიშნეთ ციხე-დარბაზის წინა ფასადზე და რომელიც ასევე შეინიშნება დიდ კოშკშიც (იგი, ჯერ-ერთი, ზუსტად არ არის მოთავსებული დასავლეთ კედლის ცენტრში და, მეორეც, იგი თავის მეორე სართულში მოთავსებული შესასვლელით, ოდნავ მობრუნებულია სამხრეთისაკენ), ეს არაფერს ნუგეს კომპოზიციასგან შეკმნილ საერთო შთაბეჭდილებას. პირიქით, აცოცხლებს კიდევ სტატიკურ, უძრავ ფორმებს, შეაქცევ რა მათში ერთგვარი მოძრაობა, რასაც ეპატაჟი და ავსებს ნაგებობის მასალის ფერი — თბილი, მოყვითალო ლაქა მიმდებნილად ჯდება კაკლნარის ჩარჩოში, რომელიც სახეს იცვლის წელიწადის დროთა მიხედვით.

ო�ოდ სიტყვა ციხე-დარბაზის აშენების თარიღზე: მართალია, საალმშენებლო წარწერაში გალახ ჭილაძე ამბობს: „... სრელი ექნა მაისს ლ წელსა ჭესსა ეუ3ა" — ე.ი. 30 მაისს, 1800 წელს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ციხის მშენებლობა 1800 წელსვე არ უნდა დამთავრებულიყო. ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია, თავდაპირველად აშენდა კოშკები და გალავანი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი კოშკი ადრე აშენდა და შემდეგ მას მიაშენეს მთელი კომპლექსი), ხოლო საცხოვრებელი სახლები ან მათი ნაწილი შემდეგ დაამთავრეს. ამ ახრამდე მივყავართ გაბრიელის ერთ წერილს, 1817 წლის 15 მარტით დათარიღებულს, რომელშიაც ელაბა იოვანე შარავშიძეს შემდეგს ამბობს:

„ჟონტალნა ათიოდ წიფელი შემოაყვარინე, რომ გახმეს, კარგი მსხვილი უნეკერო, რომ დაიხერხოს და განიერი ფიცარი დადგეს. ამისთვის რომ სახლი იმით მინდა დავფინო. თითონ შენ უნდა დაიარო და შენ გამოარჩიო, ბლეს კაცს ნე ენდობი, მრუფსა და ნუფრიანს შემოაყვარენ. თუ ამისთანა წიფელი არ იშოება, ისევ გაღმა

უნდა ვიყიდოთ?! ფიქვის ფიცარი, როგორიც მე მინდა და მოგწერო, გამხმარი უნდა დამზადდეს. ნახეგარი ადელი განი ჰქონდეს და ოთხი თითი სიგანე, სისქე და სიგრძე, რაც გრძელი იქნება, ისე სჯობს, დარბაზისათვის ხომ არ დაგიხურავს, რატომ არ მომწერე...“

ე. ი. 1817 წლისათვის სახლს არც იატაკი ჰქონდა დაფენილი, არც ჭერი გადახურული. ძნელი წარმოსადგენია, რომ 1800 წელს აგებული შენობის შეკეთება დასჭირეებოდა. ძნელად დასაჯერებელია ისეთი, რომ უკვე 1817 წლისთვის დაწყებულიყო სასახლის გადაკეთება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უთუოდ ირიკლეძეთა გლახას წერილებში, სინამდვილესთან უფრო ახლოა ახრი, რომ გლახას ვერ მოესწრო თავისი ციხე-დარბაზის დასრულება და ეს გასაკვირეკი არაა, თუ გავიხსენებთ იმ არეკ-დარეკას, რომელიც დაიწყო გლახას ცხოვრებაში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ და გრძელდებოდა მის პეტერბურგში წასვლამდე, ე. ი. 1803 წლის 19 თებერვლამდე.

იბადება კითხეა: მაშ სადღა ცხოვრობდა გლახას „ყერბაი“ (საინტერესოა გლახას მიერ ნახმარი „ოჯახის“ აღმნიშვნელი თვით ეს ტერმინი), თუ ეს სახლი დაუმთავრებელი იყო?! მაგრამ გავიხსენოთ იგივე საამშენებლო წარწერის ერთი ნაწყვეტი, სადაც გლახა სრულიად გარკვეულად ამბობს: „... ალვამენე ციხე და გალავანი ესე... და სახლნეკი ჩემნი მოვამზეგალენნ...“ ამ სიტყვა „სახლი“ აღებულია მრავლობითი ფორმით და, როგორც ჩანს, გულისხმობს რამდენიმე თვალს — ოთახს, რადგან ძველად ხშირად თითო თვალს — ოთახს სახლს უწოდებდნენ (მაგალითად, სპა ტუსსშვილი თავის „ანდერშში“, თავისი სასახლის აღწერისას ამბობს: „სასახლე ესე არს ქვითკირისა, ძირს არის სამი სახლი: ორი საწოლი და ერთი დიდი და ზედეთ სახლი სამი: თავსა და ბოლოს საწოლი და საშეალ — იავნ“[32]).

ხოლო რაც შეეხება გამოთქმას „მოვამზეგალენ“ — იგი ნახმარია ან გადაკეთებთ მნიშვნელობით — „დავამთავრე, დავასრულე“, ანდა ეხება თვით შენობის ფორმას. „სახლნი“, მარ-თლაც მთავრდება ორი მრგვალი კოშკითა და გალავნის ორი მომრგვალებული კუთხით.

ამგვარად, სავსებით შესაძენელია, რომ დარბაზი დაუმთავრებელი იყო, ოჯახი კი ცხოვრობდა სხვა „სახლებში“ და, რაც მთავრია, — კოშკებში.

ყოველ შემთხვევაში, როდესაც უნდა დამთავრებულიყო ციხე-დარბაზის „სახლთა“ მშენებლობა, ერთი რამ ცხადია და ეს ერთი რამ ფრიად საგულისხმო და მნიშვნელოვანია: ჭილაძეთა ციხე-დარბაზი ამ ტიპის, ე. ი. გვიანფეოდალური ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობათა უკანასკნელ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს სინამდვილეში. 1800 წლიდან 30-ია ისს „მომრგვალებული“ კოშკებითა და გალავნით დასრულდა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ერთ-ერთი თავის უკანასკნელი ფურცელი, 1801 წლიდან იწყება ახალი ხანა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ წყდება ლეკთა თარეში, ოსმალ-სპარსთა შემოსევები. ამგვარად, ციხე კარგავს თავისი პირველნდელ მნიშვნელობის ნაწილს, — თავდაცვის ფუნქციას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მან სავსებით მოუპა თავისი დრო. საქართველო ციხეებით იყო მოფენილი და, რასაკვირველია, მათ დანგრევა-განადგურებას და ახალი სასახლეების ასაგებად საშენ მასალად მათ მოიყენებას იმ დროს არავინ დაიწყებდა. ამიტომაც, ციხემ შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობის მეორე ნაწილი, სახელდობრ, საცხოვრებელი ნაგებობის ფუნქცია. ახლა ციხე-სიმაგრეები უბრალო სასახლეებად იქცნენ. ეს მოგვნეს დამახასიათებელი იყო ძირითადად მთელი აღმოსავლეთ საქართველოსათვის. გავიხსენოთ ახალ-გორის ერისთავთა სასახლე, მუხრანი — მუხრან-ბატონთა, ქვემო-ჭალის — ამილახვართა, ქვეშის — ერისთავთა, მუკერისხევის — ერისთავთა, კარაღეთის — ერისთავთა, დუშეთის — ჭილაძეთა და სხვ. ასე რომ, როცა ჩვენ განვიხილავთ საქართველოს საზოგადოების მაღალი ფენის საცხოვრებელს XIX საუკუნეში — სახლი გალავანში, ან კოშკზე მიშენებული სახლი — საერთო მოგეწვია. თვით კოშკი და გალავანი არაა რაღაც არასაპირო, ფრთმოჭმული, მკვდარი, არამედ სასხლორცეულად დაკავშირებულია ყველი შემდგომ უახლეს მინაშენებთან. კოშკებნი, ჩვეულებრივ, აწყობდნენ ბიბლიოთეკებს (მაგალითად, ლადო ერისთავის კოშკი სოფ. ქვეშში), კაბინეტებს, სტუმრების მისაღებ ოთახებს, მის კედელ სართულებში — საკუთნეობას. ამიტომ ჭილაძეთა ციხე-დარბაზი არაა კერძო და შემთხვევითი მოგეწვა, ეს არის საერთო და ფრიად ბეკეულებეული რამ.

ერთი პატარა ცნობა XIX საუკ. ბოლოდან ჭილაძეთა ციხე-დარბაზზე: ნ. ყიფიანი თავის. მოგონებებში დამიტანა ყიფიანის შესახებ, ალ-წერს რა ამ უკანასკნელის დაანლოებას ჭილაშვილების ოჯახთან, რაც მოხდა 30-ია წლების ბოლოს და 40-ია წლების დასაწყისში, ამბობს: „ხშირად ორიეული (ლ. ყიფიანი და მისი მეგობარი — ნაზარიეი) მიდიოდნენ დუშეთში, სადაც მშვენიერს ღუშეთის კოშკში ცხოვრობდნენ ორი ყმაწვილი ქალი — ლიზა და ნინო. პეტერბურგის ეკატერინეს ინსტიტუტში ახლად კურსდამთავრებულნი, ორივე ლამაზნი, განათლებულნი, ორივენი ფორტეპიანოს დამკვრელნი, ფრანგულად მშვენიერად მოლაპარაკენი, ამასთანავე ცოცხალნი და მხიარულნი...“[33] და ა. შ.

ჩვენს მიერ უკვე აღწერილი იყო, თუ როგორ იყენებდნენ საცხოვრებლად ციხე-დარბაზს მისი მფლობელები XIX ს-ს და XX-ის პირველი ორ ათეულ წლების განმავლობაში. მას შემდეგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რადგან გასაბჭოების შემდეგ აქ იყო მოწყობილი სკოლა, მტს-ი და საცხოვრებელი ბინები და თუმცა ციხე-დარბაზი მუქმად არ მდგარა, ახალმა პატრონებმა ნაგებობა სამმოდ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანეს. თითქოს არაფერი არ უქმადდა ციხე-დარბაზის ბედს შეკლას, რომ არა...

ამ ოროოდე წლის წინათ ჭილაანთ ციხე-დარბაზს ახალი პატრონი გაუჩნდა — ეგი სქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გადაეცა ეროვნული არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაო ბაზად (აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რა დიდი ენერგიის დახარჯვა იყო საჭირო ამის მისაღწევად). ექსპედიციის უფროსის რამინ რამიშვილისა და მისი კოლეგების — ბესიკ ჯორბენაძისა და სხვათა თაოსნობითა და მათი უზომო ენთუზიაზმის წყალობით მილახვიანთ-კარში სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო (არქიტექტორი მერაბ ვარნაძე). ციხე-დარბაზს თუ პირველნაირი სახე არა, ყოველ შემთხვევაში, პირვანდელთან მიახლოებული იერი უნდა დაებრუნონ, გაათავისუფლონ მინაშენ-დანაშრეკებისაგან, გაწმინდონ და აფეთვონ ეზო და შემოგარენი, გლახასეულ სახლებსაც კი მოაწყოს საკმაოფენო დარბაზები, ბიბლიოთეკა, სამუშაო კაბინეტები, ლაბორატორიები, ექსპედიციის წევრთა ბინები და ჩამოსული სტუმართა მისაღები ოთახები[4]. ამისთვის ციხე-დარბაზი უმარავ შესაძლებლობას იძლევა, მხოლოდ ჯოფა გასაწევი, დიდი ჯოფა. სამაგიროს „თეთრი სასახლე“ ასმაგად გადაიხდის... ახა ხომ მისი ახალი სიცოცხლე იწყება! და ექსპედიციის სპეციალისტები, ყოველდღიურ შრომაში ... კვლევებში გაგრძელდება მისი ისტორიაც...

ჭილაანთ ციხე-დარბაზის ბედი მართლაც სასახარულოა და შესაშური და როცა ვხედავთ ამას, თუ რა ბრწყინვალე ნაყოფი შეიძენა გამოიღოს ადამიანთა სურვილმა, უნებლიედ გვებადება აზრი, ნუთუ ჭილაანთ ციხე-დარბაზის აღორძინება ერთადერთი შემთხვევა იქნება ჩვენში?![135] რამდენი პოტენციური, სამხატვრო-ლიტერატურული, სახლ-მუზეუმი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური თუ სხვანაირ ექსპედიციების ბაზა, რამდენი მხატვართა, მწერალთა თუ ხელოვნების სხვა დარგების მუშაკთა „შემოქმედებითი სახლი“ დგას თითქმის ნანგრევებად ქცეული ახალგორის, მეტეხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, კარალეთის, ქვემო-ჭალის და სხვა მრავალი სასახლეთა თუ ციხე-დარბაზთა სახით?! ყოველ მათგანს ხომ თავისი „ბედ-იღბალი“, თავისი მხატვრული სახე და თავისი ადგილი აქვს ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში?! და თუ კი სადღისოდ ერთგვარი ყურადღება ექცევა მაღალი შეასაკუნეების საერო არქიტექტურის ნაშთების კონსერვაციას (გეგუთის სასახლე, იაკლიოსა და გელათის აკადემიები), ნუთუ მშვიდად, გულხელდაკრეფილმა უნდა ვიეცქვრთ XVII-XIX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების სულის ღაფვას? ისინი ხომ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან?! თავის რიგს კი მოთმინებითა და, ალბათ, იმედით, ელოდებიან ხერთვისის ციხე და კვეტერა, აწყურის ციხე და „მოდინახეს“, თმოგვის ციხე და სხვანი, მრავალის უმრავლესნი, ისინიც ხომ მისახედია?...

შენიშვნები:

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. 1. ისტორიული გეოგრაფია. თბილისი, 1964, გვ. 230.

[2] საფორტიფიკაციო ნაგებობათა სიმრავლე საქართველოში აიხსნება იმითაც, რომ გაბატონებული წესის თანახმად, თავადდად და აზნაურად ვერ ჩაითვლებოდა ის, ვისაც თავისი საკუთარი ციხე-სიმაგრე და სასახლე არ გააჩნდა. „სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა“, მუხლი 23. გვ. 402. Грузинская хрестоматия, составленная Д. Чубинашвили. ч. I СПб. 1846, стр. 402; ვახუტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ., 1941, გვ. 14.

[3] ძეგლი დეტალურად შესწავლილია ე. პრიგალოვას სადიპლომო შრომაში — „ჭილაანთ ციხე-დარბაზი დუშეთში“, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, 1954 წ.

[4] საქ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციის მიერ 1947 წელს თბილისში ჩამოტანილი ეს ფილა ინახება ს. კანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში.

[5] Пл. Иоселиани. Описание города Душета. Тифлис, 1860.

[6] საქართველოს სიძველენი. ტ. I. ექ თაყაიშვილის რედაქციით. თბილისი. 1910 წ., გვ. 190, სხვ. № 193.

[7] Акты Археограф. Комиссии, т. I, Тифлис, 1866 г., стр. 267.

[8] Акты, т. I, стр. 449.

[9] Акты, т. I, стр. 269.

[10] Акты, т. I, стр. 278—280.

ეკა ბრეგალოვა
ჭილაანთ ციხე-დარბაზი დუშეთში

[11] Акты, т. II, стр. 77.

[12] გაბრიელ ჭილაძის წერილები. სამ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd—5329 — 5504.

[13] გაბრიელ ჭილაძის წერილები. Sd-5499.

[14] დ. ყიფიანი — მემუარები. ტფილისი. 1930 წ., გვ. 126.

[15] ი. ენიოლოშოფი. ა. ს. პუშკინი საქართველოში. თბილისი, 1938, გვ. 86.

[16] Записки КОИРГО. Кн. I, Тифлис, 1852, Летопись отдела: Кавказский календарь на 1853 г. Тифлис. 1852, стр. 565—567.

[17] «Воспоминания Бестужевых». Изд. Акад. Наук СССР. Москва. Л., д. 1951, стр. 364.

[18] ო�s ბატონის ასულის წერილები ალექსანდრე ორბელიანთან ორენბურგში. სამ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის წარკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი Sd 2200—2230 / 1631

[19] Акты, собранные Кавказской Археогеографической Комиссией, Тифлис, т. IV, стр. 132. Пл. Иосселиани. Описание города Душети. Тифлис, 1860, стр. 20.

[20] Акты Археограф. Комиссии, т. X, стр. 163.

[21] ჭილაშვილების „მონაწილეები“ ყიფიანებიც იყვნენ (დიმიტრი ყიფიანს ცოლად ჰყავდა იაკობ ჭილაშვილის უმცროსი ქალი — ნინო).

[22] ასეთი სარკმელი რამდენიმე შემოგვრჩა: სამხრეთ ფლიგელის გარე ფასადზე — 1, შიდა ფასადზე — 2, აღმოსავლეთ ფასადზე — 3, დასავლეთ ფასადის ჩრდილოეთ ნაწილში — 2, ჩრდილო აღმოსავლეთი კოშკის ქვედა სართულზე — 2.

[23] ვ. ბერიძე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI-XVIII საუკუნეში. სამ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV—B, თბ. 1947, Г. Чубинашвили и Н. Северов. Пути Грузинской архитектуры, Тб., 1936.

[24] კოშკებში წარმოებული გათხრების დროს აღმოჩნდა გვიანფეოდალური ხანისაფეხა-დამბესნაოებული უაღრესად საინტერესო ნივთები, ჭურჭელი...

[25] ზაქარაია, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები. სამ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI — B, 1950. П. Закарая, Древние крепости Грузии. Тб., 1969.

[26] Г. Н. Чубинашвили. Иранские влияния в памятниках архитектуры Грузии. Иранское искусство и археология. III Международный конгресс. М.-Л., 1939.

[27] Пл. Иосселиани. Описание города Душета. Тифлис, 1860, стр. 17.

[28] ბ. ზაქარაია. ძველი ქართული ციხე-სიმაგრეები. თბ. 1969.

[29] Пл. Иосселиани. Описание города Душета, стр. 54, 59.

[30] ჭილაანთ ციხე-დარბაზის გარდა ერთადერთი შემოხვევა, როცა ეკლესია გალავანზეა მიშენებული — ქვემო-ჭალის ციხე-სიმაგრეში გვაქვს.

[31] აქ, გლახა ალბათ ბულაჩაურს გულისხმობს, რომლის ტყეებიდან მოჰქონდათ ხოლმე სამშენებლო ტყე. ფიქვს კი თბილისში ყიდულობდნენ (Пл. Иосселиани. Описание города Душети, зд. 17).

[32] ს. ბარნაველი, „სპა ტუსისშვილის „ანდერძისეებრნი ღუწანი“. „ქართული ხელოვნება“. ტ. 3, თბ. 1950, გვ. 234.

[33] ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. 1894 წ.

[34] სახლის წინ — მოედანზე განზრახული გადმოტანა აკლდამებისა და, შესაძლოა, ძველი არქიტექტურის სხვა ნამუშევის ეინვალიდან, რომელიც ამ უახლოეს წლებში წყლით დაიფარება.

[35] თუმცა, რამდენადაც ვიცით, დასავლეთ საქართველოში სალხინოში (გეგეჭკორის რ-ნი) დაიწყო დადიანების სასახლის და მისი ცნობილი პარკის რესტავრაცია ასევე არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზად.

60

ლადო ასათიანი

60

იმ სამოცი წლიდან, რომლის იუბილესაც მთელი ქართველი ხალხი გამორჩეული სიყვარულით აღნიშნავს, ლადო ასათიანმა ეხოლოდ 26 წელი იცოცხლა. დანარჩენი 34 წელი გავიდა მისი ლექსების ზეპირობაში, მისი სახელის, მისი პოპულარობის ზრდაში. თითქო მასზე ეთქვას დიდ რუს პოეტს, პოეტებს კარიერა არა აქვთ, პოეტებს ბედისწერა აქვთო. ამ ბედისწერის ეხირებით, ლადო ასათიანი უდროოდ გამოეთიშა თავის თანატოლებს, მაგრამ სამარადისოდ მათთან, სამარადისოდ საქართველოსთან დარჩა მისი ლექსი. ეს ლექსი, ამოზრდილი ერთის მხრივ აკაკის ღვთაებრივად სადა და გამჭვირვალე სამყაროდან, და მეორეს მხრივ ამ სამყაროსთვის თითქოსდა პრინციპულად საპირისპირო ქვეყნიდან — ჯერ გრიგოლ ორბელიანის, მერე კი ტიციან ტაბიძის პოეზიიდან — შეიცავს რაღაც ისეთს, რაც მხოლოდ მისია, მისეულია, ასათიანისეულია. ლადო ასათიანის ერთ შედევრს — „სალაღობოს“ — ასეც ერქვა თავის დროზე: „ასათიანური!“ დიახ, არსებობს ასეთი ლექსიც უმდიდრეს და უმშვენიერეს ქართულ პოეზიაში — „ასათიანური!“ და თუ თავის დროზე მავანსა და მავანს ეტოშა ჭაბუკი პოეტისაგან ამგვარი თითქოსდა კაღნიერი დაჩემება, იმავე დრომ მთლიანად დაადასტურა ჯერაც დაუღვინებელ ლადო ასათიანის თუმც კი თამამი, მაგრამ სამართლიანი პრეტენზია.

„დავიღლები საქართველოს სიყვარულში!“ — აი, ასათიანურის დედააზრი, მისი უმთავრესი შინაარსი, მისი ძარღვის ფეთქვა. ისე მძაფრი, ისე ენებიანი იყო სამშობლოსადმი მისი ტრფიალება, თვით ძის ასაკშიაც კი შეიძლებოდა დაღლა.

ბევრი უდროოდ წასული სიცოცხლის გამო დაწყვეტია ქართულ მწერლობას გული, და მათ შორისაა მეგობართა სამეული, მარად ჭაბუკებად დარჩენილნი: ალექსანდრე საჯაია! მირზა გელოვანი! ლადო ასათიანი! რამდენი კეთილი სიტყვა თქმული და დაწერილა მათ წივნებზე, მაგრამ არც ენა დაშვრება

მათი ლამაზი და მართალი სიცოცხლის ქებით და არც გული დაიცლება მადლ-ზე სინანულისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს „ცისკარი“ და ცისკრელები თავიანთ სიყვარულს უცხადებენ „ჩვენ თაობის“— „ცისკრის“ ამ ღვაწლმოსილი და უახლოესი წინამორბედის — უსაყვარლეს პოეტებს — ლადო ასათიანსა და მირზა გელოვანს — უკვე სამოცი წლის ღვაწლმოსილ, მხცოვანმოსილ, სიყვარულით გარემოსილ ძვირფას სახელებს, და იმის გამო კი არა, რომ თაობა თაობას შეუპირისპიროს, არამედ იმის გამო, რომ უკეთეს მაგალითს მათი გულისყური მიაპყროს, ჩვენს ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ მოაგონებს დიდებული პოეტებისა და მოქალაქეების ცხოვრებას, ვისი ღვაწლიც ნიმუშად გამოადგება მწერლობაში ახალშემოსულთ.

ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა!

უფრო ლამაზი, უფრო მდიდარი, უფრო მაღალი საქართველოსთვის ბრძოლაში ხედავდა ლადო ასათიანი ცხოვრების აზრს. ლამაზი წარსულიც უფრო ლამაზი მომავლისთვის სჭირდებოდა მას. და დღეს, როცა ქართველი ახალგაზრდობა ამ უკეთესი, უფრო ლამაზი და უფრო მაღალი საქართველოსთვის იბრძვის, ლადო ასათიანიც მათთანაა! მათთანაა მისი გაუბზარავი ლექსი:

ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაშე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ!
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

ერმა ყოველთვის უკეთ იცის, რომელი ლექსი დაისწავლოს, რა ცეკვა იცეკვოს, ვის მიაპყროს სიყვარულიანი თვალი. ბედნიერია სამოცი წლის ლადო ასათიანი: მისი ლექსი ქართველი ხალხის საყვარელ ლექსებში ურევია!

60

მირზა გელოვანი

60

მისი გზა არსად მთავრდება!

სამოცი წლის გახდა მირზა გელოვანი, მამულის ჭეშმარიტი პოეტი და ერთგული ჯარისკაცი.

> რატომ არ, ჩემი წნორები,
> რატომ არ, ჩემი იორი...
> თიანეთი და სწორები,
> თიანეთი და ფიქრები.

ქვემეხთა გუგუნში და ტყვიათა ზუზუნში, როცა თითქოს და უნდა დადუმებულიყო მუზა მირზა გელოვანისა, იგი პოეტის დაჟინებული და ბეჯითი ძიებით ეძიებდა და იგონებდა თუ იხსენებდა ძვირფას სახელებს, უცნობ სახელებს და ლექსებს უძღვნიდა, ვით პატიებას. დამალული სიყვარული მცენარესავით იზრდებოდა მისი სულის წიაღში და მეგობართა ჩრდილებთან განაგრძობდა თრთოლვას და წუხილს.

განსაცვიფრებლად არაკანონზომიერია მირზა გელოვანზე თქმა, „როცა ქვემეხები ქუხან, მუზები სდუმანო". მირზა ბედნიერი გამონაკლისია, მირზა — ზარბაზნების ქუხილში თითქოს ხელმეორედ იბადება, როგორც პოეტი, ახლებურად ეღერს მისი სტრიქონები, ახლად წარმოიჩინება მისი პოეტური ტალანტი, მეტიც: მირზასთვის, როგორც პოეტისათვის, თითქოს სხვაგვარი ხდება წვიმაც და თოვლიც, დაღლაც და ცრემლიც.

ლიტერატურისათვის არაა უცხო პოეტი-ჯარისკაცი, მაგრამ ისეთი, რომლის პოეზიაში ასე შერწყმოდეს ერთმანეთს პოეტური სინაზე და ჯარისკაცური შემართება, სიყვარულით გაჟღენთილი გმირული სულისკვეთებით სავსე უნაზესი სტრიქონები, აშვიათია.

ჭეშმარიტი ტალანტი იყო საჭირო იმისათვის, რომ ომის საშინელებანი ... გეეუხეშებინა, არ გეეუბრალოებინა, თუ შეიძლება ასე ითქვას მასი ... პოეზია.

როგორც პატარა ბავშვს, როცა ფეხს იდგამს, მუხლი თანდათან უმაგრდება, ასე თანდათან ყრმა პოეტის ლირიკულ განცდებს ფოლადს მატებს ცეცხლის წვიმა და ჩნდება უმშვენიერესი სტრიქონები:

მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი გული მელოდეს.

მირზა გელოვანი ახალგაზრდა კაცი შეეწირა სამშობლოს. მისი ხანმოკლე ცხოვრების შტრიხებს თუ ნაჭრილობევივით უხეშ ხაზებს საოცრად აწყნარებენ და აკეთილშობილებენ. აფაქიზებენ და აცხრობენ სიყვარულისა და სილამაზის ათინათები. უდროოდ გამკაცრებული მზერა, რომელიც მარად, ყოველთვის თან სდევდა სიკვდილს, გრიგალს ომისას, პატარა ბიჭის, მოწაფე ბიჭის ბეჯითად ნასწავლ გაკვეთილს ჰგავდა:

მე დამავიწყდა ქართული ხმები,
მე შენი ხმები ვით დამახსომდეს.
ვიცი, გრიგალებს ერთად შევხვდებით,
მაგრამ ერთმანეთს — ვეღარასოდეს.

ეს სტრიქონები უკვე დაღლილ, ბრძოლითა და პოეზიით დაღლილ მირზა გელოვანს ეკუთვნის.

ეს სტრიქონებიც მირზა გელოვანისაა: „გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო, თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ მე სიკვდილი მეწერება ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას“.

მირზას ჰქონდა საკუთარი სამყარო, პოეტური, მიმზიდველი, განუმეორებელი.

დიახ, სულის ამოხდომამდე „ტელეგრაფის მავთულივით განუწყვეტლივ გუგუნებდა მის სხეულში დიდი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ბრძნული შეგონება: „წერეთ ლექსები, კარგი ლექსები! სულის ამოხდომამდე წერეთ და წერეთ!“

მირზა გელოვანი დღეს სამოცი წლისაა, მირზა გელოვანი საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატია, მირზა გელოვანი რუსთაველის პრემიის ლაურეატია. იცის სამშობლომ ფასი ღირსეული შვილებისა.

„ჩემი გზა მილიონების გზას მიჰყვება და არსად მთავრდება...“ ასე ამბობდა ოცდაექვსი წლის მირზა გელოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები

თამაზ ჭილაძე

აკაკი წერეთლის პოეზია

აკაკი წერეთლის პოეზიის მაღლი თითოეული ჩვენგანის ბუნებაში თითქოს გაჩენის დღიდანვე არსებობს, როგორც მემკვიდრეობით გადმოცემული, ერთ-ერთი ყველაზე უფრო კეთილშობილი გენი — უეცლებელი აქვეკნად ადამიანური ცხოვრებისათვის; სიმღიდრე სულისა, რომელიც ჩვენს პიროვნულ ზრდასთან ერთად იზრდება. ამრიგად, ჩვენ პოეტის გულისთქმასთან შეზრდილები ვართ, უფრო სწორად — პოეტის ცოცხალი ხმა არის ჩვენი თანაარსება. მართლაც, ეს სულჩადგმული ხმა სიხარულისა თუ მწუხარების ყმის, ანდა სიმარტოვის უდაბნოში მუდამ ჩვენს გვერდითაა, ერთგული მეგობარივით და არა მარტო მეგობარივით — წინამძღოლივითაც!

მას მერე, რაც აკაკი წერეთლის სიტყვამ პირველად შეიღო ქართველი კაცის გულის კარი, ყოველ თაობას მიაჩნია, რომ მისი პოეზია მაინც და მაინც მასთვისაა ყველაზე მაჯლიბელი და არცა ცდება — იმ ანკარა წყაროდან, რომელსაც აკაკის პოეზია ჰქვია, ყველა თაობა თავის კუთვნილ წყალსა სვამს, ანუ იმდენს, რამდენიც შეუძლია.

დიდი პოეტები საკუთარ უკვდავებას, მართლაც, წყალივით ან პურივით გვინაწილებენ და ჩვენც ყველანი ერთი წუთით უკვდავას ვეზიარებით ხოლმე, რადგან ოგივე პოეტები გვასწავლიან, ერთი წამით შეცნობილი უკვდავება რომ სჯობს შეუცნობელ მარადისობას.

აკაკი წერეთლისადმი ჩვენს დამოკიდებულებას მაღლიერების უსაზღვრო გრძნობა უდევს საფუძვლად, რადგან გვკვრა, პოეტი ჩვენს სათქმელს ამბობს. აკაკის ლექსს აქვს ერთი „საიდუმლო“ თვისება: როდესაც კითხულობ, გგონია, შენ ხარ მისი ავტორი, იგი თითქოს შენი არსებიდან, შენი სულის წიაღიდან იბადება, აი ახლა, ამ წუთას ჩნდება პირველად ქვეყანაზე და, შენ რომ არ ყოფილიყავი, ისიც არ იქნებოდა.

აკაკი წერეთლის პოეზიაში თითქმის ყველაფერი ჩვენი სულის შესატყვისი აღმოჩნდა. შესატყვისი კი არა, დაკინახეთ ჩვენი სული ფესვიდან კენწერამდე და ისიც ეგრძანვინო, როგორი ბშვენიერი ყოფილა იგი!

აკაკი წერეთლის ლექსი თითქმის ყველას ესმის, ნაგრამ, ამავე დროს, ქვეცნობიერად ყველა ხვდება, რომ ამ ადგილად მოსაწყენ შტოზე ბლის კენწეროა კი არ ჰკიდია, არამედ ღვიძილი ნაყოფი, რომლის მოწყვეტის უფლებაც ახლოოდ ზნეობრივად წმინდა კაცსა აქვს მინიჭებული.

„ჰოი, სიმდაბლეი მაღლისაო მიუწვდომელო!“
„მიუწვდომელი სიმდაბლე!“

შეიძლება ითქვას, არაფერი ისე ზუსტად არ ახასიათებს აკაკის შემოქმედებას, როგორც ეს უძველესი ქართული ლექსის ფრაზა.

აკაკის ლექსები, ერთი შეხედვით, იმდენად კამკამა და მარტივია, რომ უნებლიეთ იქმნება ილუზია, თითქოს ისინი თავისთავად, (მით უმეტეს, უშრომლად) გაჩენილიყვნენ ამქვეყნად. იაკობ გოგებაშვილმა მისი პოეზია კი გამჭვირვალე მორეკს შეადარა, მაგრამ ისევე, როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობს, მორეკი ვაცილებით ღრმაა, ვიდრე ჩვენ გვეჩვენებიო, აკაკის ლექსების ბუნებრივი სილაღეც, თავისთავადობაც, რასაკვირველია, მოჩვენებითია. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ „ძალდაუტანებელი ოსტატობა“, რო-

გორც გერონტი ქიქოძე იტყოდა. ხოლო ეს „ძალდატანებული ოსტატობა“ პროფესიონალი პოეტის გაჯერებული, მძიმე შრომის შედეგია.

ეს არის სიტყვიდან ადამიანის სულის გასაღების გამოჩენედა!

ეს არის სახალხოდ კოკისნზე დადერფლა, რადგან თვითონვე თქვა:

რაც არ ანთებს!
არ ანთებს!

აკაკი წერეთელი კონკრეტული ადამიანის პოეტია: ჩემი, შენი, იმისი... სოფლის ექიმი მიმრთველი ეწოდა: „სადაშეო ბარათი“, „პატარა საყვარელო“, „ეჰ, ქართველო“, „ჩემო ჩანგო“...), თითქოს შენი ხელი უჭირავს და ველაპარაკები, ერთისა და იმავეს გიმეორებს დაეჩურულებდედ, მარტივად და გასაგებად, რაც თავდაპირველად უსაზღვრო ნეტარებას გგვრის, მერე კი უცებ მოსალოდნელი განგაშის გრძნობა შეგიპყრობს და დაიბები ერობაშედ, მთელანად და აი, გულგრილობის, სიზარმაცისა თუ პატიმოყვარეობის ნაჭუკებიდან ამოდის და იზრდება პირველების დიადი ყლორტი, პირველებისა, რომელმაც კი არ უნდა იარსებოს, არამედ იცხოვროს!

ერთ-ერთი ყველაზე საეკეთესო ოვისება აკაკის პოეზიისა ის აქტიური ქმედების პოტენციალა, რომლითაც იმუტტება ყველა, ვინც კი მას შეეხება.

პოეტი ადამიანური ღირსების, სიამაყის მქადაგებელია. მისი დაცინვაც, ირონიაც იქითკენაა მიმართული, ადამიანმა საკუთარი თავი რომ შეიცნოს, ანუ გაჯდეს უკეთესი, ვიდრე არის. ამიტომაც მისი შემოქმედების ცენტრი თავისუფალი პიროვნების პრობლემაა!

რაბინდრანათ თაგორი ამბობს: „ამქვეყნად ყოველი საგანი ბაზებისა და ფერების ბუნკი მინიშნებით აცხადებს, რომ ის ლოგიკური აბსტრაქცია ან სასარგებლო საგანი კი არ არის, არამედ ერთადერთია თავის სახეობაში და რომ თავს თავში გამოხატავს თავისიგე არსებობის სასწაულსო“. შეგვიძლია ეთქვათ, ამქვეყნად თითოეული ადამიანი გამოხატავს მთელი კაცობრიობის „არსებობის სასწაულს“.

სამყარო შექმნილია თავისუფალი ადამიანისათვის!

აკაკის ძალიან უყვარს ეს სიტყვა:

„თავისუფალი, როგორც სამოთხის შვილი“.
**„გაჯნრდები, ვინაცვ

ელ, თავისუფალიო“.**
„ხეობის მონობაში გადიდკაცებულ,
თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

აკაკი წერეთლის შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა თავისუფლების იდეა, **რომელიც,** თავის მხრივ, ორ ძმაღვრ შენაკადად იყოფა: ეს არის სამშობლოს თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება. თუმცა ეს ორი შენაკადი კი არა, ერთ-ერთ ... მბარეა, რომლებიც ცალკე არაფერს წარმოადგენენ, ერთად კი იმ დიდ მოტივს ჰქმნიან, ისე რომ ამაღლებს აკაკი წერეთლის შემოქმედებას.

„ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრობისასო“ — ამბობდა იაკობ გოგებაშვილი და, მართლაც, რა დიდებული გზაა „განთიადიდან“ „ინტერნაციონალამდე“, „გაყვრპბული წინსულ“ ძლიერი, ამაყი სულისა, რომელიც მშრომელ ადამიანის თავისუფლებას „მძლავრი ოცნებითაა“ შეპყრობილი და რომელიც ასეთი დიადი ჰუმანისტური კატეგორიებით აზროვნებს:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა.

თავისი სამშობლოს ერთადერთობას კი არ ქადაგებს, არამედ სხვა ქვეყნების გვერდით (სახატე) ჰყავს წარმოდგენილი. ეს დიდი ქართული ლტერატურის ტრადიციაა, რუსთაველის ტრადიციაა.

აკაკი წერეთლისათვის სიყვარულისა და სამართლიანობის მაღალი ცის ქვეშ გაერთიანებული ყველა, „განურეველად გგარ-ტომობისა“, რომელთაც უყვართ რა, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი სამშობლო — **უყვართ** მთელი კაცობრობა!

●

თითოეული ჩვენგანის წარმოდგენაში არსებობს ხატი პოეტისა, რომელიც თავისი დიდებული გარეგნობისა თუ ოლიმპიური სიმშვიდის მიუხედავად, ისე არა ჰგავს ქრესტომათიულ შეხედულებას პოეტზე. ის იყო თავისი ლეგენდის გმირებივით ყოველდღიური მძიმე შრომით წელში გაწყვეტილი, ხელებდაოფილი მშრომელი ადამიანი.

გარეგნობა კი, მართლაც, მეფური ჰქონდა, სიამაყეც! ალბათ სწორედ ამ უკანასკნელის გამო სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ახდენდა. იფიქრებდი, ეს დიდებული და კეთილშობილი კაცი ყველაფრისგან ჩამოშორებული და განმარტოვებულიაო. ეს შმარტოდ დიდი და კეთილშობილი, პატარა გაზეთის რეპორტიორივით ცხოვრობდა, განმარტოებული კი არ იყო, შიგ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თანამედროვეებზე არა მარტო განმარტოებული, ცოტაოი უდარდელი კაცის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა. შეიძლება, ესეც სიამაყის ბრალი იყო. მართალია, იაკობ გოგებაშვილს

ეკუთვნის. გამოიქმა: „აკაკი პატარა საქართველოა“, მაგრამ ერთ ადგილას ისიც კი წერს: „თვით ნაკლოვანებითაც აკაკი მსოფლიო გენიოსებს ჰგავს. ზოგნი მათგანნი მოგვაგონებდნენ სახარების ჩიტებს, რომელნიც ხვალინდელს დღეზე სრულიადაც არ ზრუნავდნენ“. ამ შემთხვევაში, ეტყობა, იაკობ გოგებაშვილი გამოხატავს თანამდროვეთა აზრს, ანდა მათი გაფლენით შემეშვებულ საკუთარ შეხედულებას. სხვათაშორის, ასევე ფიქრობს გერონტი ქიქოძეც: „თვეის თანამედრო

ყა ასე გული, რამ აწრიალა კაცი, რომელიც სხვისა თუ საკუთარ წამიერ სისუსტესაც კი დაუნდობლად დასცინოდა?

მხოლოდ და მხოლოდ — თანაგრძნობამ, რომლის შესახებაც 1894 წელს ყაზბეგის კუბისთან თქვა: „პოეზე უფრო მაღლი დგას და უფრო სანატრელიაო". ბუნებრივია, პოეტი თანაგრძნობას პოეზე უფრო ნნიშვნელოვნად რომ მიიჩნევს, მაგრამ შემაძრწუნებელია ინის გაგება, რომ თანაგრძნობა მას თურმე საერთოდ სანატრელი ჩანია.

ავად უნდა გამხდარიყო, საავადმყოფოში უნდა დწოლილიყო, რომ განეცადა ენით აუწერელი სიამე თანაგრძნობისა.

შეიძლება, ვინმეს ეს სიტყვები მეტისმეტად მკაცრად მოეჩვენოს აკაკის თანამედროვეთა მიმართ, ამიტომ სჯობს, ისევ პოეტს მოვუსმინოთ. აი, რას ამბობდა იგი იმავე 1898 წელს წერილში „მე გახლავარ"-ის სტატიის შესახებ": „ჩემი საკუთარი პიესები „პატარა კახი", „თამარ-ცბერი", „მედეა", „კუდერ ხანუმი", „ახალი გმირი", „გაიძვერები", „ძველსა და ახალს შუა" და სხვანი... როგორ ჩემი ნაწერები, სცენიდან ვაძევებულნი არიან".

სამწუხაროდ, მართალი ახე იყო, თუმცა ღღეს ეს ამბავი წარმოუდგენელად გვეჩვენება. ამავე ღროს, ეს სამწუხარო ფაქტი მოულოდნელი სრულებითაც არ არის, არც პირველი შემთხვევაა ლიტერატურის ისტორიაში. ოღონდ ზოგიერთი პოეტისაგან განსხვავებით, ვისაც თანამემამულეთა ასეთი დამოკიდებულება თავ-გზას უბნევდა, აკაკის ციოდა, რომ მიინცდაშინც დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდა ყურადღებისა და სიყვარულისა, რადგან ისიც იცოდა, რომ მის მიერ ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გზა, ანდა უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით — მიზანი, რომლისკენაც ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გზით მიდიოდა, ბეერისთვის გაუგებარი, ბეერისთვის კი საერთოდ მიუღებელი იქნებოდა:

ჩემი ჩანგო, ობოლ მწარო,
ჩემი უბედობის ძირო,
მტრებისგან ქვეყნ ნახარელო,
მოყვრებისგან განაწირო, —

შეიძლებოდა ამ სტრიქონებში პოეტის ჩიოული მოგვჩვენებოდა, რომ ეს ეგეც აკაკის დაწერილი არ იყოს:

ყარიბო და განწირულო,
ნუ შეკრთები, ჩემი მუზა!

პოეტს შეგნებული ჰქონდა თავისი უბედობის აუცილებლობა. რასაკვირველია, ეს მსჯელი იყო, როგორც თქვითინ ეტყოდა — „მსჯელრალი სიიდუმლო" (ძალიან უყვარს სიტყვა „სიიდუმლო": „სიიდუმლო ბარათიო", „სიიდუმლო გრძნობა", „სიიდუმლო [illegible] [illegible]ლო მეც გვრძნობ, სიიდუმლეთ ვცნობ, რომ არის კაცნი ღვთისა ხატებაპ!"), მაგრამ, ამავე ღროს, მსჯელრალის გაღება ნეტარებას ანიჭებდა, რადგან პოეტის არსება თანდათანობით, ჯიუტად, სწორედ ნეტარებასთან გათანაბრებული ტკივილის წყალობით, უეცრდებოდა იმ ღიად ფენომენს, რასაც სამშობლო ჰქვია და ამიტომაც მსჯელრალად შეწრფვის პროცესი პირადი არსებობისთვის აუცილებელ ფაქტორად, სასიცოცხლო აქტად გადაექცა.

თუმც ეს მსჯელრალი სიიდუმლო
სიიდუმლოდ იწვის, ქრება,
მაგრამ ზოგჯერ ჩემ ტანჯვაშიც
არის დიდი ნეტარება.

„მომაკვდავის ფიქრებში" ამბობს:

არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს
მოაზდებულსა მამულის მსხვერპლსა!

ლეკსში „უკანასკნელი" ეტყვის:

და ნიჭვად გულში მომყვება მხოლოდ,
რომ ვერ გვიმხდარვარ სამშობლოს
მსხვერპლად.

ეს იყო ნამდვილად მოწამებრივი ქმედება პოეტისა, რომელიც წმინდა პოეტური აღმოჩენებისთვის იყო გაჩენილი. გაჩენილი კი, მაგრამ... მოკლინებული არა. მან ეს კარგად იცოდა, თუმცა ამის ცოდნა, როგორც ვოქვი, დიდი ტკივილის ფასად უჯდებოდა. მარტო შემოქმედება, მოწოდება კი არ შესწირა სამშობლოს, არამედ მისთვის სიკვდილზეც ოცნებობდა, მისი იდეალი იყო ეშაფოტზე სიკვდილი, ამიტომაც მთელი სიცოცხლე, ყოველ-ღიერი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ საამისოდ ჰქონდა გამიზნული. მას ეზიდვდა მოწამებრივი სიკვდილი, მაგრამ პასიური კი არა, არამედ ბრძოლის ველზე, ხანჯლით ხელში.

ამიტომაც განსაკუთრებული სიმპათიითა ფქვს დაბატელი მამულისთვის წამებული გმირების სახეები (ბიძინა, შალვა, ელიზბარი) და არც ის არის შემთხვევითი, რომ პოემა „თამარ-ცბერიშია" სწორედ მგოსანი ამბობს ამ სიტყვებს:

წვიალ, მივმართავ იმ წინაპართ გუნდს,
სამშობლოს მსხვერპლად რომ შეწირულან...

ვითვალისწინებთ რა პოეტის მიერ გაღებული მსხვერპლის მიზნადასახულობასა და გრანდიოზულობას, აგრეთვე იმასაც, რომ მისი ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი (ორივე ერთად) იდეა აქტიურია, სიცოცხლის ბრძოლით დამოკიდებულია, შეგვიძლია ვფქვათ, რომ პოეტისთვის მსხვერპლი სიყვარულის,

რწმენის სიმაღლეზე ადის („ღმერთი მსჯეველს კი არა, სიყვარული მოიხოვს“, — ჰეგელი, „იესოს ცხოვრება“):

თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!...
მოდი, ჯალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰკარ!

ეს 1911 წელს არის ნათქვამი, ლექსს „მოამაგდების ფიქრები“ ჰქვია, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ჯაბუკური ენერგია, ჯნელი ბაზეიათად თუ მიგრძენია სხვა ლექსიდან, თუმცა, ვინც აკაკის შემოქმედება იცის, მისთვის ეს ამბავი სრულებითაც არ არის საკვირველი, პოეტი სიცოცხლის ბოლო დღემდე ჯაბუკური ენებით იყო შეპყრობილი და შეიძლება ისიც ითქვას, რომ საუკეთესო ლექსები სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა.

თითქოს ჯაბუკი ვიყო მე ახლა
და ვეოფილიყო მოხუცი წინათ...

„ხალხის წარმოდგენაში აკაკი ცხოვრობდა, როგორც ახოვანი, მუდამ თეთრი თმით შემოსილი მოხუცი და წინასწარმეტყველის ერთად დამშვენებული მქადაგებელი“ (ს. ჩიქოვანი). ერთ ბრძენს ეთქვამს: „შეიფერო სიბერე — ეს ხელოვნებაა, რომელსაც ძალიან ცოტა ფლობსო“. თეორი თმითა და წვერით დამშვენებული გარეგნობა, ისტატურად შეფერებული სიბერე მისი მარად ჯაბუკი სულისათვის ნიღაბი იყო. უფრო სწორად იმ ულელის ნაწილი, რომელიც ხალხის სახელით დაიდგა და რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ეწეოდა. მისი მარად ახალგაზრდა გული სავსე იყო სიყვარულით, რომელსაც „ცისა და ქვეყნის კავშირს“ უწოდებდა. „ხან მიწისა ვარ, ხან ცისარ“ — თქვა მან ერთხელ და როგორც ვხედავთ, ცა და მიწა მას მკვეთრად არ ჰქონია გათიშული, სიყვარული იყო მათი შემაერთებელი და ამდენად პოეტის ცხოვრებისეული ჰარმონიის წყაროც.

●

აკაკი წერეთელმა შექმნა ხატი — სიმბოლო გასაკირში მყოფი სამშობლოსი, რომელიც სატრფოს სახით წარმოიდგინა.

სიმონ ჩიქოვანი წერს: „ხშირად ღღესაც უძნელდება მკითხველს გიგიოს, რომელია ნამდვილი პატრიოტული ლექსი და რომელი — წმინდა სატრფიალო გალობა“. ასე ფიქრობს აკაკი წერეთლის შემოქმედების ყველა მკვლევარი.

მართალია, აკაკი წერეთელი სამშობლოს სატრფოს ეძახის და, მართალია, დიდებული სიმბოლო აქვს შექმნილი სატრფო-სამშობლოსი, მაგრამ ჩემი აზრით, მის შემოქმედებაში მაინც არსებობს განსხვავება სატრფოსა და სამშობლოზე დაწერილ ლექსებს. „ფორის ბეღლეტის მიერ ამ ორი ენების უკიდურესი სიმაღლეთა გადახლართვის გამო, ჭეშმარიტად ვეი, ძნელია გამოარჩიო, თუ რომელი ლექსი ვისზეა დაწერილი, მაგრამ, ეფიქრობ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით უნდა იყოს ასე. მიუხედავად მკვლევართა ასეთი მოსაზრების დიდი ეფექტიანობისა, ამ ორი ენების განსხვავება აკაკის ლექსებში მაინც აშკარაა. სწორედ აკაკი წერეთლის პოეზიაშია დაცული ის დიდი წონასწორობა, რომელიც არასოდეს არ იძლევა საშუალებას პოეტის მიერ კონკრეტულად ჩამოყალიბებული ენებები ერთიმეორეში აგვიროს. განა რაიმე საერთო არსებობს (გარდა ჰეშმარიტი პოეზიისა) „სიიდმლო ბარათსა“ და ვთქვათ, „სატრფოს“ შორის („შვენიერო, შენ გეტრფი...“), რომელიც ნამდვილად ალეგორიული წარმოდგენაა სამშობლოსი?

უნდა ითქვას, რომ ასეთი შთამბეჭდავი სიმბოლო-ალეგორია (სატრფო-სამშობლო) შეიძლებოდა მხოლოდ იმ პოეტს შეექმნა, რომელსაც შეეძლო დიდი, ნამდვილად წმინდა და ამაღლებული სიყვარული ქალისა.

„სიყვარული არის ჯაჭვული“ — ამბობს აკაკი წერეთელი და ეს ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, როცა აკაკის პოეზიაზე ვსაუბრობთ.

პოეტისათვის სიყვარული ძალაა „უფრო ძლიერი, ვიდრე მეფური“. „მხოლოდ რჩეული ცისა და ქვეყნის ალმაფრენთა იმას მიუნდობა.“

ამრიგად, პოეტის ენების სიღიადე გვიქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მას სამშობლო სატრფოსავით უყვარს და სატრფო — სამშობლოსავით.

●

აკაკი წერეთელს ეკუთვნის ლაკონიური და მეტად ზუსტი დახასიათება ფრანგი პოეტის ბერანჟეს შემოქმედებისა: „მისი ლექსები ერთსა და იმავე დროს კიდეც ატკბობენ და კიდეცვაც ანაღვლიანებენ მკითხველს. კითხულობ — გეცინება, მაგრამ იმ სიცილში რაღაც ეკლიანი ჩაჩხვლეტება. ყოველ მის ნაოქვამში ლირიზმი და სატირა ერთად არიან შენაერთნი და თანასწორნის ძლიერებით ითარჩიოლებენ მკითხველს. ამგვარი ნაწარმოების სხვა ენაზე გადადება თითქმის მოუხერხებელია“. („ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, 1899).

როდესაც პოეტი მეორე პოეტს შემოქმედებაზე ლაპარაკობს, უნებლიეთ გამოპყოფს მისთვის განსაკუთრებით ძვირფას, ანუ პირადად მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, ანდა მიაწერს იმ პოეტს საკუთარ თვისებებს.

თამაზ ჭილაძე
აკაკი წერეთლის პოეზია

თავისი ლექსების კრებულის წინასიტყვაობაში (1833 წ.) ბერანგერ თქვა: „საჭირო იყო კაცი, რომელიც დაელპარაკებოდა ხალხს მისთვის გასაგებსა და საყვარელ ენაზე. მე ვეყოვენ ეს კაცი... ერის ცხოვრებაში არის მომენტები, როდესაც ყველაზე კარგი მუსიკა დოლის ხმაა, განგაშისკენ რომ მოგვიწოდებს". აკაკის სიტბაუების დროინდელ ლექსებში შეიმჩნევა ერთგვარი გატაცება ნეკრასოვის შემოქმედებით. ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მაშინ ჯოტიანის ფელეტონი იქცა იმ იარაღად, რომელსაც ძალიან მარჯვედ ხმარობდა („აპელაციის მეცოდნე", „ელეხის ალსარება", „გიმოცანა", „ეჰ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?").

ფელეტონთან ერთად, ლაფონტენისა თუ კრილოვის იგავ-არაკების გადმოკერთულება მისი ლირიკის აქტიურ ხასიათს ამძაფრებდა.

მართალია, აკაკი წერეთლის დაინტერესება სოციალური მოელენებით, აკაკის სიმპათია უსამართლოდ დაჩაგრულთადმი მარტო ლიტერატურული გატაცებით არ შეიძლება ახსნას — შშრომელი ადამიანის პატივისცემა, მისი ბედის გაზიარების აუცილებლობის გრძნობა მან გაბზრწელის ძრქესთან ერთად შეიწოვა — მაგრამ ფაქტია, რომ ამ გიკლენებმა მისი კეთილშობილური სულისკვეთება სწორ კალაპოტში მოაქცივნ.

რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო თვალსაჩინო ხდება აკაკი წერეთლის დიდებული შემოქმედების ორიგინალობა, ისე რომ არავითარ შეღავათს არ საჭიროებს, არც არაფრის ჩამოშორებას. მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარია, აქ ყველფერი, ისევე როგორც ჯარისკაცის ჩანთაში, საჭირო. მაგრამ მაინც არის ერთი პოეტი, რომელმაც აკაკის შემოქმედებას სასიცოცხლო ძალა შთაბერა: ეს რუსთველია!

„სულმნათო! მადლი შენს გამჩენსს!"

რუსთაველის ფრაზის ძლეგამსილი ინერციის წყალობით თავისი შემოქმედების ერთერთი მთავარი იდეის — თავისუფალი პიროვნების იდეის — შენების დრის ოქვის სწორედ ამ სიტყვებს:

სჯობს მონობაში გადიდებაეულ
თავისუფლების ციხესა შეკდარი.

თუმცა ჩვეულებრივი მოკვდავისთვის „ვეფხისტყაოსანი" სულიერი ნუგეშისა და სიმტკიცის წყარო, აკაკისთვის ის სპარსული წესდება გახლდათ. აკაკი რუსთაველის დაწყებულ საქმეს აგრძელებდა, იმ გზით მიდიოდა, რომელიც რუსთაველმა გაკვალა და სხვა ქართველ წერე

ტური ცნებებით აზროვნებსო. „ჩემს თავგადასავალში“ აკაკის ასეთი თამაში აქვს აღწერილი: ერთი ბავშვი ქორს განასახიერებს, დანარჩენები — კოუს-წიწილს. „ქორი“ ცდილობს „წიწილა“ მოიტაცოს. „ქორი“ ან ანებებს. მატარა აკაკის ვერ აუხსნია, რა დაუშავა ქორებმა ქორს, წიწილს რომ სტაცეს. „ჯამა უნდათ“, — ეუხსნის ძიძა სიცილით. რასაკვირველია, ბავშვს, რომელსაც წიწილა ეცოდებოდა, ანდა — წიწილა უფრო ეცოდებოდა, ვიდრე ქორი, ეს პასუხი არ აკმაყოფილებდა, უხეშადაც ეჩვენებოდა ალბათ, მაგრამ მერე, დიდიხნის მერე — მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ — თვითონ ირიბია მეთოდი მკაცრი რეალიზმისა, „ჯამი უნდას“ ცხოვრებისეული ლოგიკა მისთვის იარაღად იქცა. ამით მინდა ვთქვა, რომ აკაკესთვის პოეტური იყო მხოლოდ ის სანდარი ან მოკლენა, რომელსაც ადამიანისთვის გარკვეული სარგებლის მოტანა შეეძლო. ამავე დროს, ეს სიტყვა მის ხელში საოცრად პოეტური ხდებოდა.

აკაკი წერეთლისთვის პოეზია აბსტრაქტულ იდეამდეაზაა კი არ არის, არამედ კონკრეტულ სათნოებასა და თანაგრძნობაშია, რაც მისი ბუნების სავუძველი იყო. პოეტი, აკაკის გაგებით, ადამიანის სულის დამპყრობელს ნიშნავდა, სწამდა, რომ თვითონ ამ ქვეყნად სწორედ ამისთვის იყო მოვლინებული. ამავანრი მოვალეობის გრძნობა იმდენად ჩქონდა შესისხლხორცებული, რომ უკვირდა, სხვა თუ არ იზიარებდა მის შეხედულებას პოეტისა და პოეზიაზე. კი არ უკვირდა, ბრაზობდა კიდეც, განსაკუთრებით მათზე, ვინც მნიშვნელოვან პიროვნებად მიაჩნდა და ვისაც პატივს სცემდა. ასეთ პიროვნებებს შორის ერთ-ერთი უპირველესთაგანი მისთვის ვაჟა-ფშაველი იყო.

სწორედ გენიალურ ვაჟა-ფშაველასთან შეპირისპირებაში მოჩანს აკაკი წერეთლის მთელი სიდიადე.

აკაკი ვაჟას „მარგალიტების მთესველს“ უწოდებს, „მთესველს“ ცნება კი აკაკისთვის ყველაზე სპეტაკი ცნებაა. „ბედმა გვარგუნა ჩვენ ხენა და თესვაო“ — განაცხადა მან ერთ-ერთ ლექსში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აკაკი წერეთლის გამონათქვამი ნიკო ნიკოლაძის შესახებაც: „საკვირველია, იმას ავიწყდებოდა, რომ მთესველი იყო და ნათესი ხშირად არ ჩანს ბნელ მიწაში. ხშირად ზედ ტალახი და თოვლი ეყრება, მაგრამ როცა გამოჩაუხეულდება, ერთბაშად იჩენს თავს!... იმას კი უნდოდა, რომ მისი ნათესი მაშინვე ამოსულიყო და თვითონვე მოემკო კიდეც: ამის ბრალი უნდა იყოს, რომ უკიდურესობაში ჩაკარდნილმა, მალე გაიტეხა გული და მიანება ყოველიფერს თავი“.

ამრიგად „მთესველობა“ იგივე „გაკვირპებულ“ მოთმინება, იგივე „გაკვირპებული წინსელა“ — აკაკისთვის პოეტის ყველაზე დიდი მოწოდებაა, „მთესველია“ ნიკოლოზ ბარათაშვილიც, „რომელიც იყო უპირველესი მთესველი გონებრივი ნაყოფისა, არა მარტო ერთი კუთხისა, მთელი საქართველოსი“, „მთესველი“ იყო ვაჟა-ფშაველიც!

ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ცნობილ ლექსში ორის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: აკაკი ვაჟას „მთის მგოსანს“ უწოდებს, თავის თავს კი „ბარის მგოსანს“: „მგოსანო მაღალ მთისაო... გადაეე ბარის მგოსნისგან მთიულებს მბერი სალამი“, — მიმართავს როგორც ტოლს. ეს კი ძალიან დიდი და მოულოდნელი პატივია აკაკისაგან, პოეტისგან, რომელიც ამბობდა:

მე მგონია, მისთვის ვარო
ქვეყნად მოვლინებული,
მაცხოვარი რისთვისაც
იმპნა ჯვარზე ვნებული.

იმ დროისთვის, როცა მათ შორის დავა იტყდება (1913 წ.) ორივე პოეტს თითქმის დამთავრებული ჩქონდა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა, ორივეს ორ-ორი წელი დარჩენია ამ ქვეყნად ცხოვრებისა, ორივე იმ დროისთვის აღიარებული, ხალხის საყვარელი პოეტი იყო.

ორივე პოეტს საკუთარი პროგრამა ჩქონდა, რომლებიც, მართალია, ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ პოეზიის არსის განსაზღვრაში, მაგრამ პოეზიის დანიშნულების საკითხში თითქმის მთლიანად ემთხვეოდნენ ერთმეორეს. აკაკიც და ვაჟაც ნამდვილი პროფესიონალი მწერლები იყვნენ. იცოდნენ, რას და რისთვის წერდნენ.

ენის დაწუნება პოეტისთვის მძიმე ბრალდებაა. სხვათაშორის, ასეთი ბრალდების სიმწვავე აკაკისაც გამოცდილი ჩქონდა. იყო დრო, როცა აკაკისაც უწუნებდნენ ენას, ზოგჯერ „იმერული კილოს“, ზოგჯერ კი „ზედბიურობის“ გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის ვაჟასავით მძიფრად არ განუცდია უს ამბავი. თუმცა იმასაც მნიშვნელობა აქვს, ვინ გიწუნებს ენას, ანრისხატის დეკანოზი თუ საქართველოს პირველი პოეტი!

ვინც აკაკი წერეთელს კარგად იცნობდა, მისთვის ასეთი პირდაპირობა („ენას გიწუნებს, ფშაველო“) მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. სხვათაშორის, თხუთმეტი წლით ადრე (1898 წ.) აკაკიმ გაიცილებინა უფრო მკაცრი აზრი გამოთქვა ქართველ მწერლებზე: „ნამდვილი ხელოვნება ისეთი რამ არის, რომ, თუ ან მეტი, ან ნაკლები რამ შეგ ბამორეოდ, მორჩა, გათავდა, მისი მთლიანო-

თამაზ ბილაძე
აპაკი წერეთლის კოეზია

ბაც და ერთიანობაც ირღვევა, რუსთაველს და ბარათაშვილს გარდა ეს კანონი არავის აქვს დაცული ჩვენს მწერლობაში". ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა მკაცრი შემფასებელი იყო აკაკი წერეთელი, თუმცა იმასაც ადასტურებს, რომ ზოგჯერ ზედმეტად მკაცრიც კი იყო. მაგრამ არც იმის დაეწყება შეიძლება, რომ აკაკი წერეთელი საყთარო თავსაც დაუნდობლად ექცეოდა. არა მარტო საკუთარ თავს — სამშობლოსაც, რომელიც სიყოცლეზე მეტად უყვარდა, არ აკლებდა მწარე სიტყვას:

„ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველო!" — ამაზე მეტი რა უნდა ეთქვა!

აკაკი წერეთელს შეეძლო გაემეორებინა ბერნაკეს თამამი სიტყვები: „მე ვიყავი ეს კაცი!" — და მართალიც იქნებოდა, მან ამის უფლება თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მოიპოვა. ოღონდ ერთი რამ კი უსათუოდ უნდა აღვნიშნო: ზოგჯერ უცნაური სიდადეით ეჩვენებოდა საკუთარი მისია (ამითაც უნდა აიხსნას კატეგორიული ტონი ფრაზისა: „ენას გიწუნებ, ფშაველო"). ზოგჯერ პირდაპირ მოიქცეოდეთ ლაპარაკობდა (როგორც ეს მართებულად აქვთ მკაცევარებს შენიშნული) და მოიქცე

ვაჟა-ფშაველან გამოუდგებით აწუხებდა „ღმერთთან ახლოს დგომის“ პრობლემა:

მაგრამ გავიგებთ ერთხელაც,
ვინც ახლოს ვდგავართ ღმერთთანაც.

იღიაც ამბობს: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობო...“ ღმერთი აქ, რასაკვირველია, პოეზია — პოეტური სიტყვის ღვთაებრივი ფენომენი.

აკაკის ეს პრობლემა არა აქვს. მართალია, იგი „ზეკის მუშაა“. მაგრამ „არც მიწისაა, არც ცისა“. ის არის „სამშობლოს მსახური“, ფარეშა, ყოველდღიური შავი სამუშაოს შემსრულებელი. ღმერთთან, უფრო სწორად — მაღლა ასვლა იმიტომ უნდა, რომ „მაღლა მფრენი დაბლაც ხედავს, უფრო ნათლად, უფრო დიდად“.

აკაკი კონკრეტული ადამიანის პოეტია, პრაქტიკოსია, ვაჟა კი ფილოსოფოსია. აკაკის აინტერესებს ცხოვრება, ვაჟას — ბუნება, სული. თუ ვაჟა ამბობს: „ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშაია“, აკაკის არ აინტერესებს ბუნების ფილოსოფია, ვაჟასავით არ ცდილობს ამოხსნას მისი არსი. იგი ბუნებისგან იღებს მზოლოდ მას, რაც ჭირდება. ვარდი, ეკალი, მთავრე, ვარსკვლავები — ის გაკეკვილი რეკვიზიტია, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ინერციის გამო მიმართავს. ამავე დროს, მათი ხშირი (სამწუხაროდ!) ხმარების გამო იქმნება ყალბი წარმოდგენა, რომ აკაკის პოეზიაში ბუნება, ბუნების სურათი არ იხატება. ნამდვილად კი — გასაკვირვებით ეს ითქმის შრომის თემაზე დაწერილ ლექსებზე — მის შემოქმედებაში მკაფიოდ მოჩანს ქართული სოფლის ბუნების სურათები: მინდორი, ყანა, მშრომელი ხალხი, მოჩანს სიცხით გათანგული სივრცე. აკაკი წერეთელს უყვარს ზუსტი მეტაფორა, ეპითეტის შეუდარებელი ოსტატია.

ცა-ფირუზ,
ხმელეთ-ზურმუხტო —

ამბობს პოეტი და თითქოს ფერადოვნების უსაზღვრო სამყაროში ვექცევით.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ორ დიდ პოეტს სალიტერატურო ენის თაობაზე კი არ ჰქონდათ დავა, არამედ სალიტერატურო პოზიციის გამო. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ აკაკი უსათუოდ აღნიშნავდა (ეალდებულიც იყო აღენიშნა) — ვაჟას პროზისა და პოეზიის ენის განსხვავებას. ვაჟას პროზას მოიყვანდა როგორც ნიმუშს, რადგან ისეთი ქართულითაა დაწერილი, როგორითაც თვითონ წერდა (ან უნდოდა, რომ დაეწერა!). მაგრამ საქმე ის არის, რომ აკაკის ვაჟას პოეზია მოსწონდა ძალიან: „გოგოფურ და აფშინა“ ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაშიო“. ეს დაწერილი 1899 წელს, ანუ თოთხმეტი წლით ადრე, ვიდრე „ცისფერი ყანა“ ლიდა „ენას გიწუნებთ“, აკაკი „ცისფერ ყანაც“ ერთ-ერთ „ეროვნულ“ ... კაკი არ გახდილან, ნაწარმოების ენა არ მოსწონებოდა და მაინც ეთქვა „ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაშიო“. თითქოს ნათელი ხდება, რომ აკაკი ფშაურ კილოს კი არ იწუნებდა (როგორც ვაჟას ეგონა!), არამედ არ მოსწონდა „ხარის ყვრინი“, მთიდან ჩქენთაოდა ეს. თუ ბარიდან, სულერთია. არ მოსწონდა ამ ცნების ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, მეთოდი პოეტისა, ღვთიური ძალისმქმეთ აღძრული ლტოლვა — კაკისა და ბუნების ერთთრსებად ქცევასთვის და ეს სრულებითაც პოეტოდნელი არ უნდა ყოფილიყო პოეტისგან, რომელმაც „გარემოვის საყვირი“ უწოდა თავს.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს იყო პოეტის მიერ თავისი გზის ერთადერთობის, თავისი მეთოდის შეუქცევრობის ცოტათი უცნაური, მაგრამ მაინც ჩვენს მიერ მოწიწებით სახსენებელი დაკანონება.

❀

აკაკი წერეთელი ნამდვილად „მშობიერ ქვეყნის მოზარე“ იყო, მისი ყველა წყლული იცოდა, გაკვრებული მოთმინებით დასტრიალებდა თავს, თუმცა ზოგჯერ (ძალიან იშვიათად) მოთმინებას თვითონაც კარგავდა, რასაც სხვას საყვედურობდა ხოლმე, მაგალითად ნიკო ნიკოლაძეს.

მართალია, ჩვენს დასამშვიდებლად ერთსა და იმავეს იმეორებდა: „არ მომკვდარა, ბზოლოდ აძინესავ“, მაგრამ მის მოთმინებას ზოგჯერ პზარი უნნდებოდა და მაშინ, მოლოდინით გაწამებული კაცივით, სიბრაზისაგან ხმაშეკვლილი ასე ამბობდა, ამბობდა კი არა, ყვიროდა: „ლეში გამხდარხარ, გვამიო“.

ვის ეუბნება „ლეში გამხდარხარო“? — ვისაც დღედაღამე უმეორებდა:

არც მდომებია, არც მინდა,
არც ნწამებია, არცა მწამს
შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!

მაგრამ მაშინვე გონს ეფიგება ხოლმე, იცის, რომ ამის უფლება არა აქვს, რომ ძან ხალხი უსმენს, რომ ის „ერის პოეტია“. ისევ ძალას იკრებს და კვლავ შეუდგება, ეითმცა არაფერიაო, სხვების გასაგონად, სხვების დასამშვიდებლად ამბობს:

გამოიღვიძეს ისევე
ფხიზლადა, ქველებურადაც.

და ისასაც დასძენს:

ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებსო.

პოეტს თავისთვის სამშობლოს ფხიზელი დარაჯის როლი აკრძალეა („თვით სიცოცხლე სიფხიზლეაო“ — იტყვის ერთ-ერთ ლექსში).

1905 წლის რევოლუციამ თითქოს სულზე მოუსწოროო — ახალი ძალა შთაბერა, ახალი ფრთები შეასხა. სწორედ რევოლუციის დღეებში იტყვის: — „ამ დღეს ველოდი, მოვესწარო!“

და კიდევ ერთ ფრაზას იტყვის, რომელიც შეიძლება მონობისაგან თავდახსნისათვის ბრძოლის დროშას წაეწერო: „წყალი ხორცსა ჰბანს და სისხლი სულსა!“

ერის პოეტები საოცარი ოპტიმისტები არიან. აკაკის მთელი პატრიოტული ლირიკა ოპტიმისტურია:

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი.

ეს ორი სტრიქონი „თორნიკე ერისთავიდანაა“, სადაც თითქოს მათი ადგილი ნამდვილად არ უნდა იყოს, როდესაც ის ლექსი, რომელსაც პოემაში ქართველთა ლაშქარი მღერის, უფრო დამარცხებულს შეეფერება, ვიდრე ძლევამოსილს და გამარჯვებებით გალავებულ ლაშქარს, რომელიც ახლაც დაეხმარა რა სხვებს, გამარჯვებული ბრუნდება თავის ძლიერსა და თავისუფალ სამშობლოში და ასეთ ლექსს კი მღერის:

კაჟკაცნის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი,
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ეოროანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთაგმირი!...
სიხარულით შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!

რა თქმა უნდა, ეს პოეტური ლაფსუსია, მაგრამ ისეთი ტრაგიკული ვითარების შედეგია, ისეთი ქვეშარატი ტკივილისაგან არის დაბადებული, რომ ჩვენს ლიტერატურაში დარჩა, როგორც ნიმუში პოეტის სამშობლოსადმი მოწამებრივი ერთგულებისა და ისევე ძყირფასია ჩვენთვის, როგორც მორწმუნესათვის — ფრანდანის მოკვეცილი თმა.

აკაკის პატრიოტული ლირიკის რომელი ლექსიც არ უნდა გავიხსენოთ, ყველგან პოეტის „ძლაერი ოცნება“ სამშობლოს ცის ფირუზებს ელოდიავება („ეს არის ჩემი ტკბილი სიზმარი და მომხიბლავი ძმლაერი ოცნება“).

აკაკი წერეთელი ხალხის, ერის პოეტს უწოდებდა თავს. მისთვის“ ლექსი ის მაგიური ფირფიტა იყო, რომელზეც აღბეჭდილია „ხალხის განსაკუთრებითი სულის საიდუმლო მოძრაობა“ მაგრამ, ამავე დროს, „პოეტი კარგად არჩევდა ხალხისგან ასაკ ვინც ხალ-ხის სახელით, ხალხის ცნების სპეკულაციით ებრძოდა ახალს, პროგრესულს, ახშობდა შემოქმედებითი აზრის განვითარებას. „ხშირად ბრძო ჩვენ ერი ბევრნაირ და ყოველდღიური ჭორ-ხმა ღეთისაო“, — ამბობდა პოეტი.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის პოემებს. ამმამად შეიძლება ითქვას, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ არსად ისეთი ძლიერებით არ გამობრწყინებული რომანტიკული სულის ბგნება, როგორც აკაკის პოემებში. ეს თქმის, უპირველეს ყოვლისა, ისეთ პოემებზე, როგორიცაა „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „გამზრდელი“, „პატარა ჯახი“, ამ სიას უსათუოდ უნდა დავუმატოთ პაწაწინა შედევრი „სიზმარი“, რომელიც, სულ თოდხმეტი სტროფია. „ნიჭი და ხელოვნება საგნის დადგობაში კი არ არის, მათ გამოხატვაში და გათვალისწინებაშიო“, — თქვა პოეტმა. აკაკის ყველა პოემა თითქოს შშეენიერი სიზმარია საუკუნისა, რომელსაც თვითონ „ცარიელ საუკუნეს“ უწოდებდა.

დეკაბრისტი ალექსანდრე ბესტუჟევი წერდა ერთ თავის მეგობარს:

«Но что казалось, то было. Благодарю и за то Провидение: что было бы ночь без снов?»

აკაკის პოემებისათვის დამახასიათებელი წარსულის გადაკალება, ადამიანის სულში საეკვთესო თვისებების აღმოჩენა და მათი სამზეოზე ზანზეიმთ გამოტანა. — პოეტის პროგრამით გათვალისწინებული ის „ჭეშეანური“ ქმედებაა, რომელიც საერთოდ სჩვეოდა მას დასახული მიზნის განხორციელების დროს.

„დონ კიხოტში“ წერია: „პომეროსმაც და ვერგილიუსმაც იმგვარად კი არ დაგვიხატეს თავიანთი მმრეები, როგორებიც ნამდვილად იყვნენ, არამედ ისეთნაგად, როგორიც „უნდა ყოფილიყვნენ, რადგან სურდათ მომავალი თაობისათვის დასრულებული სილეველ ნიმუში დაეტოვებინათ“.

●

პოეზია ანსხვავებს ადამიანის ცხოვრებას ბიოლოგიური არსებობისგან, ამდენად, ის სიცოცხლის აზრის წვდომაა, ანდა საკუთარი არსების რაობას ძიება, „თანამავალ ეარსკვლავისთვის“ „სულის საიდუმლის“ გამჟღავნება, უფრო სწორად — საქვეყნად ამოხსნა. პოეზია მეტყველი დუმილია, ანუ დიალოგი საკუთარ თავთან. ის მარადისობისა და სიმარტოვის უდაბურ პროვინციებს აქცევს ცხოვრებისათვის გამოსადეგ ტერიტორიად. პოეზი-

ასთან შეხვედრა, პოეზიასთან კონტაქტი ადამიანისაგან მოითხოვს ერთგვარ მომზადებას, სულიერი ძალების მობილიზაციას, ამგვარად, პოეზია ჩვენს არსებაში ზრდის პიროვნებას, იმ თავისეულად პიროვნებას, რომელზედაც ოცნებობდა აკაკი წერეთელი.

სამყაროს პროგენეია, რომელიც მან შექმნა, იყო ზუსტი ასლი ეისივე შიშველი სულისა, რომელსაც მკაცრად დადგენილი სასაზღვრო მიჯნები ჰქონდა—რეალური და ირეალური სამყაროს კედლები, პოეტის ფიქრი საკვირველი სიფიტეთი, სიკეთით რომ ეხლეობოდა მუდამ.

ირეალური სამყარო მისთვის ხელოვნების სამყფო იყო, მშობლის სახლივით საყვარელი, რომლისთვისაც მას შეგნებულად შეექცია ზურგი, მაგრამ... ვერ კი დაევიწყებინა. აკაკის აქვს ერთი ლექსი, რომელიც, თავისი სინაზითა და იდეუმალებით, შეიძლება მხოლოდ ბარათაშვილის „ცისა ფერს“ შეადაროთ. ამ ჰაეროვან ლექსში გასაოცარი შეგრძნებაა სიმარტოვისა, გადმოცემულია უსაზღვრად დაღლილი, მთელი სიცოცხლის მანძილზე, უძილობისაგან კი არა, მარადიული სიფხიზლისაგან დაჭანცული კაცის ჩვილი ფა, ამავე დროს, უცაბედი სიმშვიდე, ნეტარება მარადისობის კარიბჭესთან:

ზეციერო სტუმარო,
ჭვეული გამოცანო,
ძილო! მოხეკე მამასაც
მოუყვანილე ნანაო.

ჭვეული ტანჯვა, ფიზწლობა
ვეღარ აიტანეთ!
სიზმრით მაინც დაატკბე!
ნანა-ნანა-ნანაო!

სხვა ვერ არგებს მეურნალი,
თუ არ შენისთანაო!
ანგელოზის ფარი ხარ,
ნანა-ნანა-ნანაო!

ძილო! შენით სულს იდგამს
ზეცა და ჭვეუანაო!
მოუსვენე მამასაც,
ნანა-ნანა-ნანაო!

ეს არის ახალგაჩენილი, ეს წუთია ამ ქვეყნად დამდებული სიტყვების იდუმალი, ანდა, აკაკის საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, საიდუმლო სხივთადუნა, ნაყვერჩხალივით ღუღუნი და სითბო, რომელიც გეფინება მკერდზე, გედვრება სულში, რათა იქ, შენი არსების ვეება მიწისქვეშა მღვიმეთა სმენადრეული, შეიძინოს მნიშვნელობა, სახე, ჰანგი, ფერი, რომ მერე, გამეღვიძებით „დაბადებული“ პოეტის სულის ირიოლეთით, „ისევ ბავშვ“ ვიდეს გულიდან გულში, საუკუნიდან საუკუნეში, აქციოს პოეტი მომავლის ადამიანთა არამარტო თანამედროვედ, არამედ — თანაარსებადაც!

აკაკი წერეთლის ლექსში ჩვენ გვხიბლავს, გვიპყრობს ერთი შეხედვით უმნიშვნელოვანი სიტყვათა, ფრაზათა იდუმალი ჰარმონია. მართლაც, თითქოს არაფერია, მაგრამ წაიკითხე თუ არა, გულს ამოგიტრიალებს ასეთი ფრაზა:

პატარა საყვარელო,
რისთვის მოგიკალ გული?
გალიაში გაგზარდე,
ვით მაისის ბულბული.

ანდა:

გაპუტულო ვლეხის შვილო
შენ პაწაწინაო!

ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ ქვეყნად უმნიშვნელო სიტყვა არ არსებობს, რომ ყველა სიტყვა „საღმრთო ელვაა“, რომელის შუქზეც შენი საკუთარი სახე მოჩანს.

აკაკი წერეთლის პოეზია უაღრესად კონკრეტული, სავნებრივი, ამიტომაც ახასიათებს მას გასაოცარი პლასტიკა. ჩვენს მახსოვრობაში მელოდიები კი არ რჩება, არამედ ფიზიკური სიცხადით აღბეჭდილი ხატები, სახეები. აკაკი წერეთელი ამკარად უფრო „პლასტიკური“ პოეტია, ვიდრე „მუსიკალური“ (შელერის ტერმინებს თუ გამოვიყენებთ), თუმცა, ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ის, ხალხური მთქმელივით, ლექსსა და მელოდიას ერთდროულად ქმნიდეს. მართალია, მისი თითქმის ყველა ლექსი იმღერება, მაგრამ თუ კარგად დაკვაკვირდებით, არა მარტო იმიტომ, რომ მელოდიერია, არამედ იმიტომ, რომ ეხმაურება ჩვენი ცხოვრების რომელიმე კონკრეტულ მოვლენას, აქტუალურია და მნიშვნელოვანი.

აკაკი წერეთლის პოეზია ეს არის მაღალი, ზღაპრული ხე, რომლის ჩრდილშიაც ჩვენი გრძნობები დღესაც სულს ითქვამენ.

აკაკი წერეთლის პოეზია დღეს ცოცხალი, ქმედითი პოეზიაა და ყველას, განსაკრ ჩეულად ყველას, ვისაც კი მისი ცხოველმყოფელი სხივი მისწვდება, ამაღლებს, რადგან აფიქრებს, აგრძნობინებს და ასწავლის, რომ ეს დიადი სამყარო, სავსე „უთვალავი ფერითა“ — მის ეკუთვნის და ამიტომაც უნდა იზრუნოს კიდევაც მასზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაპუნა ფერეთელი

ეძიებდე და პოვებდე...

1. საოცარი წიგნების სავაჭროში

სხვა სიძველეებთან ერთად, რა თქმა უნდა, პირველნაბეჭდ და იშვიათ წიგნებსაც ვაგროვებდი. რა წიგნები არ მიპოვნია ძველ ოჯახებსა და დანგრეულ და დაქცეულ ეკლესიებში. ყოველი ახალი წიგნი დიდ სიხარულს მანიჭებდა. ყოფილა შემთხვევა, რომ წიგნს რომელიმე სტამბის არსებობა ან უკან დაუწევია ან გაუხანგრძლივებია. ეს, რა თქმა უნდა, ახარებდა ჩემს გულს და მეტ სიხალისეს მგვრიდა.

სად არ ბეჭდავდნენ ჩვენი წიგნის ენთუზიასტები ქართულ წიგნს — რომსა და პეტერბურგში, მოსკოვსა და თბილისში, საჩხერესა და რაჭის პატარა სოფელ წესში.

ადვილი წარმოსადგენია, რა გოლეტა გამოიწვია ჩემში წიგნმა, რომელიც ერთხელ გორში ვიპოვე.

„საქრისტიანო მოძღვრება რომი

1741 წ.

ვადმოთარგმანებული იტალიანის ენისაგან ქართველ მხედრულს ენასა ზედა საქართველოს გორელ ტულუკაანთ დავითისაგან“.

ასევე გამოიცა სოფელ წესში საოცარი გვოვნებით დაბეჭდილმა და ასეთივე დიდი გვოვნებით დაკაზმულმა პატარა „დაუჯდომელმა“. ცოტა იქნება ქვეყანაზე სტამბა, რომელსაც შეეძლოს ასეთი შედეგრით თავის მოწონება იმ ეგზემპლარს, რომელიც მე მაქვს, ყდაზე მიწერილი აქვს:

„დაუჯდომელი ესე ხვიმონ იოვანეს ძემ კნაზ ამაშიძემ წინად დაუვიწყებლისა ხსოვნისა და აღმოუხოცელისა მისის ჩემდამი სიყვარულისა მაჩუქა, თ-ს ირაკლი ლორთქიფანიძის 1889 წელსა ნოემბრის 1.

ქ. ბუთაისი

ერთხელ კიდევ ერთი მეტად საინტერესო წიგნი ვიპოვე. ეს არის **«Всеобщий секретарь» — ხაზოვადო მდივნობაი.**

თხზული ნადვორნი სოვეტნიკისა და კავალერისა გოდერძი ფირალოვისაგან. დაბეჭდა ს. პეტერბურღს, სტამბასა შინა იოსნეპ იოვანნოსოვისასა, წელსა ჩყკ: მწერლობითა და ზედამზედველობითა სოლომონ რ. გიგის ძისათა.“

ეს წიგნი დაბეჭდილა სახელმძღვანელოდ მათთვის, ვისაც სურს წერილი მისწეროს თავის ახლობლებს და ნათესავებს, ანდა თხოვნა შეადგინოს რომელიმე წარჩინებული პიროსადმი.

მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ ერთ-ერთ გვერდზე დაბეჭდილია „თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვი მეფესი ერეკლესი“. პირველად მეგონა, რომ ეს ლექსი შეპარვით იყო დაბეჭდილი წიგნში, რომელსაც მასთან არაფერი საერთო არა აქვს, მაგრამ ლექსი სარჩევშიაც არის მითითებული და სათანადო გვერდზედაც დაბეჭდილი (149). ეფიქრობ, რომ გოდერძი ფირალოშვილმა სხვა საშუალება ვერ გამონახა მის დასაბეჭდად და ამიტომ ამ წიგნში შეიტანა. სამწუხაროდ, ეს გვერდი დაზიანებულია და ასე იკითხება:

თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვაი სანატრელის... ისიადი განსვენებულისა საქართველოს მეფის ირაკლი.. რისა. თქმული მათებრ ლექსად, ნადვორნი სოვეტნიკისა და (კავალერისა.) გოდერძი, ფირალოვისაგან.

აღზდეგ, გმირთ გმირო, ნუ ვძინავს. მტერნა
ისმინან ხმანია.
გრძლად ძილს ჩვეული როდი ხარ,
მოგვიხმე უნანი ყმ(ანია)
არ განახოს მტერმან ძაბუნად, ვსდევნონთ,
ვაკვეცონთ (თავნია),
ვართ ბრძოლად მათდა მოსულნი
ზოგთაგან ოთხნი (ძმანია)

და სხვ.

1915 წელს საჩხერეში დაბეჭდავდა „**სამოციქულო**“ „**სასახლეს შინა ხარდალ ხაზლუბუტეცეს ზურაბ წერეთლისასა. საფასის წარგებითა მისივე ღენერალმაიორისა და კავა-**

ლერის თავადის ზურაბ წერეთლის სარდალ სახლთუხუცესისასთა.

სტამბის ყოველთერთ მმართველი არქიმანდარიტი ზაქარია. სტამბისა ამის ბეჭდისა მუშაკი რომანოზ ზუბაშვილი.

ამავე სტამბასთა დაბეჭდილი 1817 წელს სახარება, რომელსაც უკვე ასეთი წარწერა აქვს წამძღვარებული: **სახარება, სარჩევე 1817 წ. სასახლეცსა სარდალ-სახლთუხუცესისა წერეთლის (ა) სა სიფასის-წარგებითა თავადის მაღორის და კავალერის წერეთელის გრიგოლისთა. „მაღალმოწყალეო თავადო წერეთელო ზურაბ, მოწყალეო ხელმწიფეო! არა თავისისა ხოლო თვისისა (!) ეძიებენ ღვთის მოყვარენი, არამედ მოყვასისსაცა".**

ამ სამესაც არქიმანდარიტი ზაქარია ხელმძღვანელობდა. ეს სახარებაც წესის „დაუჯდომელეთაო" სასტამბო ხელოვნების მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს, ზურაბ წერეთლის ეაი გრიგოლი, რომლის „სიფასის წარგებითა" დაბეჭდილია ეს წიგნი, დიდი მოყვარული იყო თუმცა წიგნისა. ბიეოლაჩემმა ელისაბედა მითხრა, გრიგოლ წერეთელი თუ ნებით ვერ იშოვიდა წიგნს, ძალით წაართმევდა პატრონსაო. ვინ იცის, იქნებ მან შეაყვარა წიგნი თავის დისეული, სამეგრელოს მთავარს, დავითს. ჯერ-ჯერობით ამ მეტად სანტეტერსო, ორპოფი პიროვნების (ზუბაშისა და გრიგოლის), ჩამოშავლებმა რომ გაჯავრებდნენ დანარჩენი წერთალები, იტყოდნენ: აი, ეგ მოდალაღის ჩამომავალი, ეგენო, ცოფოება და მოდეაწოვა სრულიად შეუსწავლელია. მისი ცხოვრების შესწავლამ იქნებ ახალი რამ ზესქინოს ჩვენს კულტურის ისტორიას. ქეთევან ორბელიანს ხომ აქვს ნათქვამი: ლექსში ალექსანდრე ჭავჭავაძე სჯობდა გრიგოლ წერეთელს, ოხრობაში კი, გრიგოლოთა.

2. მამუჩაშვილის ხელნაწერი კრებულის გაჯდი.

1939 წელს ერთ-ერთმა ჩემმა ნათესავმა მოხუცმა ქალმა მთხოვა, ერთი ძველი ქართული ხელნაწერი წიგნი მაქვს და ჩემს მეუხუცემა შეიძინოსო. ენახე ხელნაწერი. ეს იყო იოანე მამუჩაშვილის მიერ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილი კრებული. მასში შეიდოდა დაეითანნი, გიორგი ავალიშვილის მიერ რუსულოდან ქართულად ნათარგმნი მარკ ავრელიუსი, თვით იოანეს ანდერძი, ბესიკისა და მისი ძმის იოსების ლექსები და სხვ. იმავ დღეს ეს ხელნაწერი გიორგი ლეონიძეს მივუტანე, იმან, რატომღაც, ხელნაწერის შეძენა ვერ მოახერხა. იქედან წავედი და იგი ჩემს მეგობარ ალექსანდრე ბარამიძესთან მივიტანე, ალექსანდრემ ხელნაწერი დიტოეა და მეორე დღისთვის დამბარა: მეორე დღეს იმანაც ის მითხრა, რომ ჯერ-ჯერობით ხელნაწერის, შეძენას ვერ შეეძლებო, რა გაეწყობოდა, ხელნაწერს ისევ პატრონს დაუბრუნე. ამ დროს რუსთველის თეატრში ვმსახურობდი, თეატრი უკრაინაში მიდიოდა საგასტროლოდ და მეც მივყეებოდი. ამტომ, სამწუხაროდ, ხელნაწერის ასსენდელი ფული არ აღმომაჩნდა. სხეა დროს ბეეჯერი მომხდარა, რომ რაიმე ნივთის ფული ჩემი ჯიბიდან გადამიხდია, შემდეგში კი, თუმც დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც ამინაზღაურებია დანახარჯი, ახლა კი ასე მოხდა. წავედი უკრაინაში. მოვიარეთ ხარკოვი, კიევი, ოდესა. თეატრს დიდი წარმატება ჰქონდა და დაკბრუნდით შინ. მოეელი ამ ხნის განმავლობაში იმ ხელნაწერის ბედი მაწუხებდა, თითქოს ვგრძნობდი, რაღაც. მოხდებოდა. მართლაც ქალაქში ჩამოვედი თუ არა, გავიგე, ის ჩემი მოხეკი ნათესავი გარდაცვლილიყო. მაშინვე მის სახლს მივაშურე. ხელნაწერი ადარსად იყო. მოეიარე დიდი სახლის ერცელი სხვენი, სარდაფებიც არ დაეტოვე უყურადღებოდ, მაგრამ ეწიგნი არსად აღმოჩნდა, გაქრა. სულ მცირე შეეცდომამ ასეთი სამწუხარო შედეგი გამოიღო. სანეგეშებლად. მხოლოდ ის დამრჩა, რომ ალექსანდრეს იგი აღწერა, მაგრამ აღწერა განა შეეძრება თვით ნივთის მშვენიერებას? არც მინი მაგივრობის გაწევა შეეძლია.

გავიდა ხანი. შეუახნის კაცები — მე და ალექსანდრე უკვე ხანში შეეედით. ის ცნობილი აკადემიოსი ვახდა, მე კი ისეთივე სიძველეების მოყვარული და ტრფიალი დავრჩი.

ერთხელ მასთან სტუმრად ყოფნისას ალექსანდრეს მითხრა: პაპაენა, იცი, ის შენი ხელნაწერი, აღმოჩნდა.

— რომელი ხელნაწერი?

— აი ისა, 1939 წელს რომ მომიტანე.

— სად, როგორ?

— ხელნაწერთა ინსტიტუტშია, მაგრამ ის კი არ არის ცნობილი, ვინ ან რიდის მიტანა (ეს მე უკვე აღარ მაინტერესებდა, მთავარი ის იყო, რომ ხელნაწერი აღმოჩნდა).

წავედი ხელნაწერთა ინსტიტუტში, ყოველივეს თავაზიანი, ზრდილი ალექსანდრე ბამყრელიძე მაშინვე დამიტრიალდა, გადაშალა „აღწერილობანი", შიგ მამუჩაშვილის ორი ხელნაწერი აღმოჩნდა, მაგრამ მე რომ მაინტერესებდა, ის არ იყო. მაშინ სან�ნეტარო წიგნი მოატანინა, ან კიდევ მამუჩაშვილის ხელით გადაწერილი მესამე კრებულია, — ეს უნდა იოსს-მეთქი, — ვიექი.

მოიტანეს. ახლა კი ნამდვილად ხელში მეპირა ის ხელნაწერი, რომელიც 1939 წელს კინალამ დავკარგეთ.

ალაუნა ფარეთელი
ეძიებდი და პოვებდე...

3. კელაგია წერეთელი და „სადღეგრძ�eლი“

ნესტორ წერეთლისა და მისი მეუღლის პელაგია გურიელის ქალის ოჯახში განთქმული იყო მთელ საქართველოში თავისი პრწყინვალებით, სტუმართმოყვარეობით და სიუხვით. მათ ოჯახში მოხვედრა ყველასათვის მეტად სასპატიო იყო. ვინ არ ყოფილა იქ. მწერალი და მეცნიერი, გამოჩენილი მოგზაურები, ჩინოსანნი და უჩინოსნნი. მათ ოჯახში ყოფნა აღწერილი აქვს ნიბეკოის პრეშიის ლაურეატს, ცნობილ მწერალს ბერტა ფონ ზიუტნერს. პელაგია უფროსი იყო თავის ქმარზე, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა. აკი მის სიყვარულს გადაჰყვა კიდეც. ნესტორი რომ გარდაეცვალა, პელაგიამ ორმოცი დღე ეშიშვლა და დარდით მოკვდა.

პელაგია შესანიშნავად აღზრდილი, გონიერი და ენამახვილი ქალი ყოფილა, როგორც ჩანს, ქართული ლიტერატურა სცოდნია და ყვარებია.

მის ენამახვილობას ერთი საინტერესო ამბავი მოწმობს.

ერთხელ თურმე ნესტორს ვიღაც გენერალი სწვე

5. ეკატერინე მავთვაკაძის წერილი იერუსალიმის პატრიარქისადმი

პატარა რომ ვიყავი, ზოგჯერ გავეძინინადებოდი-ავიხრჩებდი, დაწოლა და დაძინება არ მინდა-მეთქი. მაშინ დიდედა თავზე სპანის წაიხურავდა, ხმას დაიბოხებდა და დაიწყებდა: „ბეძენი ვარ, ბეძენი, ვინ არის, რომ ეძინიანობს და არ იძინებს, ვინ?“ მე მაშინვე ჩემს ლოგინში შეეძვრებოდი და ხმაგაკმედილი ვიყავი, ვიდრე არ დამეძინებოდა. მართლაც მაშინ კარდაკარ დადიოდნენ თმა და წვერგაჩეჩილი ჭუკეანი, ზურგზე ტომარაშოკედებული კაცები, რომლებიც შიშსა მგვრიდნენ. ესენი თურმე იყენენ შორეულ ათონიდან და იერუსალიმიდან შესაწირავის ასაკრეფად მოსული ბერძენი ბერები. რომ გავიზარდე, მაშინ გავიგე, რომ ქართველები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისშიაც კი შესაწირავს უგზავნიდნენ იერუსალიმს და ათონის მონასტრებს. ამაში დამარწმენა ეკატერინე ჯავახაკაძის წერილმა იერუსალიმის პატრიარქი საფმა, რომელიც ერთ-ერთი წერთელის ოჯახში ვიპოვე.

„უნეტარესსა და უწმინდესსა პატრიარქსა წმინდისასა ქალაქისა იერუსალიმისა და ყოველსა პალესტინისა“ — ასე იწყება ეკატერინეს წერილი. შემდეგში იგი ამცნობს პატრიარქს, სამგზელოს მთავარი დავით ლეონის ძე, **„ლ-სა რიცხვსა ადგილობის ჩუნგ-ს წლისას აღწოდებელ იქნა“** და უხვ შესაწირავს უგზავნის მას შემდეგნაირად ვასანაწილებლად.

1. მსოფლიოს პატრიარქებს კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის 500-500 მან. სულ — 2000 მან.

2. იესო ქრისტეს საფლავს — 3000 მან.

3. წმინდა საბას ლავრას იერუსალიმში — 500 მან.

4. ათონის მთის მონასტრებისადმი — 1000 მან.

5. ყ-დ წმინდის ი-ს მშობლის ქოსს მონასტერს — 200 მანეთი. სულ 6700 ქანეთი.

გარდა ამისა, მასვე უგზავნის 64 ვერცხლის ნივთს, რომლებიც უმთავრესად ხუფრისათვის არის განკუთვნილი.

სამეგრელოს საზაფხულო სასახლე გორდი 1220 მიისსა 1856 — მიწერილი აქვს ბოლო წერილს: ეს წერილი ახლა გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

6. აპუხტინის უცნობი ლექსი

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა, მოსკოვის ქუჩაზე ერთი მოხუცი რუსი კოლექციონერი გარდაიცვალა, მისი ქვრივი ქმრის კოლექციის ყიდის და მოდი, წავიდეთ, იქნებ რაიმე სასიტერესო ვნახოთო.

წავედით.

ქალი მოსკოვის ქუჩის ბოლოს ცხოვრობდა ერთ პატარა ძველებურ სახლში. მის ქმარს მართლაც ცოტა რამ დარჩენოდა და ცოლს, რომელსაც ხელოვნებისა არაფერი გაეგებოდა, გადაეწყვიტა, ყველაფერი რაც ქმარმა დაუტოვა, გაეყიდა და რუსეთში გადასახლებულიყო. ჩვენ რომ მივედით, ბევრი ალარაფერი დაგვხვდა. კედლებზე აქა-იქ ეკიდა აკოფიანის რამდენიმე სურათი და მეორეხარისხოვან მხატვრების თითო-ოროლა ნაწარმოები. ერთ კუთხეში კი ძველი წიგნები ეყარა. მე ამ წიგნებში დავიწყე ქექვა. როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე, ყველაზე სასიტერესო წიგნი სულ ქვემოთ აღმოჩნდა. ეს იყო 1835 წელს ბრიუსელში მეოცედ გამოცემული Leçon Fraçaises de literature et de morale.

ამ წიგნის ყდაზე ცნობილი რუსი პოეტის აპუხტინის ხელით დაწერილია მშვენიერი ლექსი, რომელიც პოეტს რუსული ენის მკვლევარის, ანდაზების შემგროვებლისა და საეცხოო განმარტებითი ლექსიკონის შემდგენლის ვლადიმერ დალისათვის მიუძღვნია. აი ეს ლექსი:

Служил, лечил, возился с русским
языком.
Русь подарил своим «Толковым словарем».
И полон к древности забытой обаяния
Сбирал пословицы былины и сказанья
1884 г.

А. Н. АПУХТИН.

ცნობილია, რომ ვლადიმერ დალი გარდაიცვალა 1872 წელს, მაშ რამ გამოიწვია მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ამ მშვენიერი ლექსის დაწერა? ალბათ ზემოაღნიშნული წიგნის კითხვამ გაახსენა აპუხტინს შესანიშნავი რუსი კაცი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო რუსულ სიტყვიერებას და უეცარად მოწოლილმა გრძნობამ დააწერინა პატარა, ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომელშიაც ასე კარგად და სრულად არის დახასიათებული ეს ღვაწლმოსილი ადამიანი.

7. ნინო ჯორჯაძისადმი მიწერილი ორი წერილი

მოხუცისათვის მეტისმეტად სასიამოვნოა, როცა ის ზის, ძველ ამბებს ჰყვება და მას ინტერესით უსმენენ. მსმენელთა რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს — თუნდაც ერთი იყოს. რამდენი სასიტერესო რამ შეეძლოა მოისმი-

ნოს ახალგაზრდამ მისგან: ჩვენი ქეღლების მამაცობის. ეფეკაცობის, სიდარბაზლისა თუ სამშობლოს სიყვარულის ამბები, ამბები, ამბ-ზე, რომ სამშობლოს სიყვარულით აღძრული ხელმოკლე ადამიანები ბევრად უფრო მეტს აკეთებდნენ თავისი ხალხისათვის, ვიდრე ჯიგებამტენილი მდიდრები, თანაც როგორ გაჭირვებას ტანდნენ და ეს მათ დიდ ბედნერებად მიანდდათ. სამწუხაროდ და მისთვის საეალლოდ, ახალგაზრდების ერთ ნაწილს არ უყვარს მოხუცებთან ჯდომა, და ძველი ამბების მოსმენა, ზოგი დასცინის კიდეც, გადამეტებულად და სიზმარში ნანახად მიაჩნიათ მათი მონათხრობი. მე კი ახალგაზრდობის იმ ნაწილს ეეკუთვნოდი, ვისაც უყვარს მოხუცებთან ჯდომა, მათთან ხანგრძლივი საუბარი. ალბათ ამიტომ იყო, რომ მათაც ვუყვარდი, ტოლივით. მითვისებდნენ ხა მეგობრობდნენ. დიდი სიხარეი და ბედნერება მომპარეს მათმა ჩემდამი ასეთმა დამოკიდებულებამ, ახლაც, როცა, თვითონ მე უკვე მოვხუებედი, იმ ჩემი ძვირფასი მეგობრების გახსენება უდიდეს სიამოვნებასა მგვრის და რაგინდ ცუდ გუნებაზე ვიყო, მაშინვე გამოვცოცხლდები და გულიდან სევდა გადამეყრება.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანი, რომელიც ცხოვრების გზაზე შემხვდა, იყო ზაქარია ანდრონიკაშვილის ასული ნინო ჯორჯაძისა.

ზაქარია ანდრონიკაშვილის შესანიშნავ ოჯახში აღზრდილი ნინო თავისი ძმებივით განათლებული და ყოველივე ქართული საზოგადოებრივი საქმის მონაწილე და ხელშემწყობი იყო. საოცარი იყო, როგორ ახერხებდა ეს ტანმრნილი, სუსტი ქალი თვალუყური ედევნებინა ყველაფერი ინისათვის, განსაკუთრებით ქართული ხელოვნების დარგში, რაც სანტტერესო და ახალი იყო. ეს პატარა, დალეული ქალი არ გამოტოვებდა არც ერთ სანტტერესო კონცერტს, არც ერთ დებიუტს (თვითონ ჩინებული პიანისტი იყო), არც რაიმე საზოგადოებრივ სანტტერესო მოვლენას, იგი ახლო იცნობდა ილიას, აკაკის (აკაკი ენათესავებოდა კიდეც მათ ოჯახს) და სხვა მაშინდელ თაყვანცემულ. ჩვენი მეგობრობა რამდენიმე წელს გაგრძელდა (ასეთივე მეგობრობა მაკავშირებდა ნინოს დასთან, მეტად საყვარელ ადამიანთან ნენე ბაქრაძესთან), მაგრამ ერთ დღეს ეს ჩვენი მეგობრობა სრულიად მოულოდნელად დამთავრდა. სამსახურში ნატალია აზიანის მარათი დახვედრა: პაპუნა, წუხელ ჩვენი საყვარელი ნინო ჯორჯაძე გარდაიცვალა და მოდიო. რა თქმა უნდა, მაშინვე გავიქეცი. ლამაზად მომკვდარიყო. თურმე იმ საღამოს მასთან თავშეყრილ მეგობრებთან საუბრობდა დოსტოევსკის თაობაზე, შემდეგ ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“ დაეკრა და დაწოლილიყო, დილით კი ალარ გაღვიძებიყო.

ნინო ჯორჯაძის მოგონებიდან ერთი ნაწილი ასე ამბავი გამახსენა: ერთ დღეს [illegible] ნინოს ამბავი ბევრის მსრიალ ლაშაზმა წერილმა აქ მსრიალ, ცოტა არ იყოს, ძალიან ჩამაფიქრა. ნუთუ მარილი ამ ქეღა-დიდ[illegible] ღირსი ვეფოფილვარ და მე კი აკმაბედე არ ვიცოდი? ჩემის ფიქრით ქეღა-დიდ[illegible] ინისთანა განძია, რომელიც ძალიან ძვირად და ინვითაოდ უნდა იხარებდეს, და თუ კაცი გაიმეტებს, იმოდენად უნდა, რომ ზედ გამოჭრილი იყოს ქეღულის ღირსებაზედ. უსაფუძვლო წუნს ადამანი უფრო ადვილად შეიფერებს, ვიდრე უსაფუძვლო ქეღას. რა თქმა უნდა, ეს ამოდენა ქეღა-დიდ[illegible] თქვენს ხელსაწალილს გულუხვობას უნდა

დავაბრალო და არა ჩემს ხელმოყლე ღირსებას. მომიტევეთო, რომ ამას გიბედავთ, და გიბედავთ ამიტომ, რომ ჩემი ღირსება დედაბუდანაგან ერთს თხელს ნაბუჭშია თავისუფლად მოთავსება და თქვენს მიერ შემოთვლილ ქუბა-დედებას კი სანმე ურემიც კი ვერ დაიტევს.

. . . . . .

მიბრძანებთ, გურასპაშვილს როგორმე გზა მიეცით ან ყირიმში წავიდეს სასწავლებლად, ან სემინარიაში შევიდეს სახელმწიფო ხარჯითო. ყოველივე ეს შეუძლებელია ამ წელიბით მაინც. სემინარიაში მითხრეს, გელეხაცის შვილს არ მიიღებენ სახელმწიფო ხარჯითო, ყირიმში კი შესაძლოა გაგზავნა, მაგრამ იქაც საკუთარი ხარჯი უნდა.

. . . . . .

ამ ქალაქში ერთი სამეფოსენო სკოლაა, მუშტაიდის ბაღთან; იქ შესაძლოაო, მითხრეს, მიიბარონ სახელმწიფო ხარჯითა, თუ გურასპაშვილი მოისურვებს, მე ყოველის ჩემს მეცადინეობას ვიხმარებ, როგორმე მივაღწიონო.

. . . . . .

დაკეთხეთ გურასპაშვილს და პასუხი მიბრძანეთ. სამ რიგად სახლახრულო იქნება ჩემთის თქვენი პასუხი: ერთი, რომ გლეხკაც, სწავლის მწყურვალს, იქნება ჩემგან ეშველოს რამ... და ახე შემდეგ.

თქვენი ღრმად და გულითადად
პატივისმცემელი ILIA ЗАХАРЗАЗЕ.

3 — августа (წელი აღნიშნული არაა) ტფილისი.

შემდეგში აკაკის ერთი წერილიც აღმოვაჩინე, რომელიც აგრეთვე ნინო ჯორჯაძისადმი არის მიწერილი ფოსტის ქაღალდი ცალ გვერდზეა დაწერილი რუსულად.

„ჩემო ძვირფასო ნინო! — წერს აკაკი — შენმა წერილმა დიდად მანუგეშა. ღმერთმა გაკურთხოთო შენცა და შენი საკმრო (ილია ჯორჯაძე — პ. წ.) თუ სიკეთლამდე ისეთივე თვალით შეხედავ ცხოვრებას, როგორსაც ადმიწერ, ბედნიერი იქნებით და სხვანიც, თქვენნი ნათესავები გავიხარებთ.

28 თებერვალს ჩემი ბენეფისია, სოსო (ნინოს ძმა, ინჟინერი, ხელოვნების მცოდნე და მუსიკოსი — პ. წ.) გიამბობს ყველაფერს დაწერილებით.

შენი ბიძია აკაკი
20 თებერვალი.

საამუშაროდ, აკაკის ხშირად ავიწყდებოდა წელის აღნიშვნა, ამიტომ ჯერჯერობით დაუდგენელია, როდის არის იგი დაწერილი.

8. ᲝᲣᲠᲐᲪᲔᲜᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲝᲠᲘᲡ

ამ საუკუნის პირველ მეოთხედში სარჩერეში ცხოვრობდა წარსულში ცნობილი, ახლა კი უმეიზეზოდ დავიწყებული პოეტი ვიქტორ ნიკოლოზის ძე იურკევიჩი (რუსულად: ვიქტორს ცოლად ჰყავდა წარეფილი ქალი ლიზა, მათ ჰყავდათ მხოლოდ ერთი ქალიშვილი ანეტა, გარდა ამისა, მიუხედავად ხელმოკლეობისა, ეს ოჯახი ზრდიდა ობლ და-ძმას — ზურაბ და თინა სუთიძეებს. ვიქტორის ოჯახს დიდი ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციასთან, ანტა ცნობილი სახალხო მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი ორატორი და კარგი სეანსმოყვარეც იყო. თეატრის სიყვარულმა შეიწირა მისი სიცოცხლე. ვიქტორი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო (1920 წელს გარდაიცვალა). მალე ლიზაც მოკვდა, ანეტას ერთადერთი ვაჟიც შემდეგში დაიოლუა და ოჯახი გადაშენდა. მეთთან ერთად დაიკარგა დიდი და საინტერესო არქივიც. ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვიპოვე.

გავიდა დრო. ერთხელ საჩხერეში ერთ-ერთ ჩემ ნათესავ ქალთან ვიყავი სტუმრად, ლაპარაკი ვიქტორის ოჯახზე ჩამოვარდა. მწუხარეა გამოვთქვი, რომ ასე უკვალოდ გაქრა ეს მშვენიერი, ინტელიგენტური ოჯახი, ფარატინა ქაღალდიც კი არ დარჩა მათ შემდეგ-მეთქი. დასახლოსმა ქალდადების ერთი პატარა შეკერა გამომტანა, ეს ოურკევიჩების ოჯახიდან არის დარჩენილიო, — მითხრა. ბევრი არაფერი იყო, მაგრამ ამ ქაღალდში აღმოჩნდა პატარა განმა—დიდი აკაკის წერილები მეფდეულ გიორგი ზაბახიძისადმი და თვით გიორგის ერთი პარათიც ვიქტორისადმი. პარათში გიორგი წერდა „რუს-იმერელს", რომ ამ ბარათთან ერთად უგზავნიდა აკაკის რამდენიმე წერილს (სულ 10 ცალს. ახლა ეს წერილები გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ინახება).

მეფდეული გიორგი ზაბახიძე აკაკის ოჯახის ნათესული ყოფილა და რამდენიმე წელიწადს აკაკის მოურავადაც კი უმსახურნია. აკაკის წერილები რა თქმა უნდა, ყველა საინტერესოა, მაგრამ მათ შორის არის ერთი, რომელიც, ჩემის აზრით, ყველაზე საგულისხმოა: „მამამ გიორგი!—წერს აკაკი გიორგი ზაბახიძეს,—შენი წერილი მომივიდა. დიდი ხანია, რაც მპარდები, მაგრამ ჯერ არა გამზრაგზავნია რა, მაგრამ დროც ისეთია ახლა. ოსმანა[1] რომ დაგითხოვია, მიკვირს!.. ნუთუ გლეხებმა ადარ მოგცეს ნება, რომ დადეკენენეთა, ანა ამაზეც არის ნაუთქვამი: „ოსოლო, ვის მოყლავ, ვინც გაგზარდო,“ ნუ თუ ჩემს წინაალმდეგაც არიან? ანა

1. ოსმანა — აკაკის მოკამაგირე, ქობულეთელი.

ახლა წაიყვანენ ხაქმეს!.. მეშინია, სახლი არ დამიწვენ. მე კარგად ვიცი, რომ გლეხები არ დამიწვავენ, მაგრამ ამისთანა დროს არც მეზობლები აიღებენ ხელს მტრობაზე, და იცოდე, ჩემო ვიორგი, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ჩემი ნაწერებია და ისინი კი, თავთან რომ დიდი ხის კოლოფი მიდგას, იმაში არიან და ის გადამარჩენენ. თუ შეატყო, აქეთ გამომგზავნენ ის კოლოფი. ან შენ ჩამომიტანენ თუ მოხტრბო და ან დათიკოს[2] გამოგზავნი და ის ჩამომიტანს, ეს მოხლოდ მაშინ, თუ შეატყო რამ, თორემ ისე იყოს მაგდ. რად მინდა აქ, საზოგადოდ, ძალიან მიაპეთა ახლა შენი ნახვა და ყოლიფაფრის გამოკითხვა, თუ ჩამოხვალ, პირდაპირ ჩემთან მოდი, სახლები მაქვს, თუ ვერ ჩამოხვალ, მომწერე მალე.

შენი მარად აკაკი.

... ამავე ბოლჩაში იყო ანტატს ბრწყინვალე სტატეა, რომელიც მას აკაკის ორმოცეზე წარმოუთქვამს:

„ძვირფასო მეზობლებო! დღეს უკვე რამდენიმე დღეა მას უკან, რაც ამ კუთხეეულ სახლის ზღუდეთა შორის უკანასკნელად ამოოგმინა ბედკრული ხამშობლოსათვის მრავალტანჯულმა გულმა. დღეს რამდენიმე დღე გავიდა იმ შავბნელი დღიდან, როცა „ცა-ფირუზ; ხმელეთ-ზურმუხტმა“ პატარა კუთხეშ გლოვითა და ზარით ეუწყა მთელს ხაქართველოს, აკაკი აღარა გეყავხო.

შესაძრნეველი, განსხვავებული ბედი არგუნა განგებამ ჩვენს ეკლესიასა და კოსტა მხარეს. ამ 75 წლის წინათ მან პირველმა იგრძნო ხაქართველოს კალთებზე წარმოშობა მომავალი მოვრანახულე „პატარა აკაკისა“ და მანვე ჩაიკვლა თავის წიაღთა შორის უკანასკნელი კვნესა ბმცოფისა მოხეცისა. ამიტომაც იყო, ალბათ, მეზობლებო, რომ მე, ძველნი ვკვეხნის მიწა-წყლის შვილს, თქვენშიგე დაბადებულხა და თქვენშივე გაზრდილს, რომელმაც უკანასკნელი ხავანქმდე მივსდიე ძვირფას კუბოს, რაღაც გამოცცებელი სურვილი წამომივლიდა ხოლმე მიმეძახებია გზადაგზა მოზღვევებული ხალხისათვის, რომ, მართალია, აკაკე, მთელ ხაქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი მაინც ჩვენი, ხანსტრიფლისა იყო. რომ ხანსტრის, თვალწარმტაცმა ხილთამზემ შთაბერა მას ლამაზი სული. ხავანის გლეხის ქალმა შეაწოვა ნოყიერი ძუძუ. სხვიტორის კოხტა ხეობაში შეიხსა ფრთა მისმა ლაღად მინაკვანდე მუზამ, ტკბილად მოჩუხჩუხე ჩიხურამ. ამცნო მას ხალდუმლოება ნამდვილი მანგისა, ღვთაებრივი ჩანგის და ამაყად მდგარმა, მამა-პაპის დიდი ენაჩულის უტყვმა მოუშემ, შეუპოვარმა მოდი-ნახეს ჩასახა მას მეუხარე ხმა. დაფიხა და ნაღარისა, რომელიც განუწყვეტელივ უზმოდაც გმირებს და შეუბრალებლად უკმირავდა გულს ნესტანის მოლალატეთა და ორგულთა...

სწორედ დღეს, როდესაც ჩვენ ამ რამდენიმე წუთის შემდეგ მუხლმოყრით კვლავაც ხაუკუნო ხსენებას ვუგალობებთ მას, დეე, თვითეულმა ჩვენგანმა მტკიცედ აღუთქვას მას და თავითავხვს, რომ არ უღალატებს. აკაკის მიერ ნაანდერძევ წმინდა ადეალებს, არ ჩაეკრობს ნაპერწკალს, რომელიც ოდესმე უთქველია ხვდა აკაკის გულში მუდამ მგზნებარე, ღვთაებრივი ცეცხლისაგან და არ დაადგებს ამ ეკლიან გზას, რომელითაც გმირულად ვიდოდა იგი, ვიდრე არ ისხლავს დღეს წამების ჯვარზე გაკრულ მის ხატფოს ნესტანს კვლავ თავისუფალსა და ხაზეიმდ მორთულსა და მოკაზმულს“.

აქვე მივაკვლიე ვიქტორ იურკევიჩის ერთ პატრიოტულ ლექსს, რომელსაც, სხვა გამოჩენილ ქართველ პოეტების ლექსებთან ერთად, გვაწყვლადა ჩვენი საყვარელი ანტა ბასწავლებელი, მან შეგვაყვარა ჩვენი მშობლიური ქართული ენა და ჩვენი დიდი მწერლება და პოეტები, მახსოვს, რა სიყვარულით გვაკთხვდდა იაკობ გოგებაშვილის „იავნანაშ რა ჰქმნა“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ და სხვა.

რა სამწუხაროა, რომ ჩვენი ბაკმეცენლებები ცალკე წიგნებად იშვიათად სცემენ ამ შშვენიერ სამაგვშო მოთხრობებს, რომლებიც ახეთ დიდ სიამოვნებას გვგვრიდა ყმაწვილებს.

---

2 დათიკო აბდუშელიშვილი. შემდეგში ცნობილი მსახიობი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გენაუშვილი

გალაკტიონის ლირიკა

(„არტისტული ყვავილები")

1919 წელს გამოდის გალაკტიონის რიგით მეორე პოეტური კრებული (პირველი გამოვიდა 1914 წელს), რომლის სახელწოდებაა «CRÄN AUX FLEVRS ARTISTIQUES» ანუ „არტისტული ყვავილები".

კრებულში გაერთიანდა 1914-1919 წლის დაწერილი ლექსები. ფაქტიურად სწორედ ამ წიგნით გახდა საზოგადოებისათვის ნათელი ქართული პოეზიის სრულიად ახალი, თვისობრივად ნოვაციის დამამკვიდრებელი მოვლენა. ეს წიგნი გახდა პოეტური კულტურის სტრუქტურული გადახალისების ნიშანსვეტი.

ამგვარი ტიპის შემოქმედება, რაღა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო სპონტანურად, თავისი საკუთარი თავიდან. ამ შემოხვევაში განსთვალისწინებელია ეროვნული პოეტური ტრადიცია, ურომლისოდაც არსებობა შეუძლებელია და არანაციონალური პოეტური ტრადიცია (ხშირად შემოქმედის გაღაცება არა გლობალური, ერთი განსაკუთრებული პოეტური ჯგუფის ან პერიოდის ესთეტიკური ლოკალით ისაზღვრება).

სინტეზურისა ამ ლიტერატურული ფონის გათვალისწინება, რომლის წიაღშიც იშვა და ჩამოყალიბა განსაზღვრა გალაკტიონის შემოქმედების ზემოდაღნიშნული პერიოდი. მოკლე რეტროსპექტივა: უახლესი საუკუნის პირველი ათწლეული. ეამი ქართული კლასიკური პოეზიის დასასრულისა და ჩამომდგარი მომწუხრისა. პერიოდი ეპიგონური, პრიმიტიული მიმბაძველობისა, კლასიკურ სიმაღლეს მიღწეულ თემატიკისა თუ ფორმალისტური შედეგების უნიკუმ გადამეშვებისა. და ეს არ იყო მხოლოდ ქართული პოეტური კულტურის ხვედრი, იგი ცოტა უფრო ადრე გლობალური მასშტაბებით განიერცო ევროპულ და რუსულ პოეზიაშიც. XIX საუკუნის დიდმა პოეტურმა ინერციამ თავისი ლოგიკური სასრული ამაკე საუკუნის მოწურულს ჰპოვა. გრანდიოზულმა სოციალურ-ეკონომიურმა ძვრებმა და აქედან გამომდინარე, ადამიანის ფსიქეამ, მისმა მსოფლშეგრძნებამ და მსოფლმხედველობამ სულიერი ცხოვრების განსხვავებული შინაარსი და ფორმები მოითხოვა.

რაღა თქმა უნდა, არ შეიძლება XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი სინამდვილისა და ევროპული თე რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების სტილის ტიპოლოგიური იდენტურობის მტკიცება, მათი ერთსა და იგივე ფსიქოლოგიურ, ზოგად-კულტურულ არეალში მოქცევა. განსხვავება უაღრესად თვალშისაცემია. ამის კონკრეტული გამოხატულება ალბათ, ისიცაა, რომ თე ევროპული და ნაწილობრივ რუსული პოეტური კულტურის გადახალისება, მისი ტრანსფორმაცია ისევ საკუთარ ნიაღაგზე, მივიწყებულ ტრადიციათა ახლებური რეკონსტრუქციის გზით იქნა მიღწეული, ქართული პოეტური კულტურა საკუთარი პოეტური წიაღის გათვალისწინებით და ევროპული თე რუსული პოეზიის იდეურ-ესთეტიკური მიღწევებით იქნა განპირობებული. თუმცა უმდიდრესი ტრადიციები, არც ქართული პოეზიისათვის ყოფილა უცხო რაჰ, მაგრამ ალბათ, განთვალისწინებელია მისი ერთი განსაკუთრებული შტრიხი, კერძოდ ის, რომ ეროვნული პოეტური სახის განმსაზღვრელი, მისი შინაგანი ბუნების განმაპირობებელი ფაქტორი მეტ-ნაკლებად მაინც ნათელი მსოფლშეგრძნება და მისი გაცხადების ლოგიკური ფორმები იყო. არასოდეს დამდგარა ქართული პოეტური აზროვნების წიაღში ამოცანა (განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს XIX საუკუნე, უშუალო წინამორბედი გალაკტიონისა) განსაკუთრებული დისტანცია დაემყარებინა მკითხველთან, თვალშისაცემი ლოკალით შემოესაზღვრა თავისი შინაგანი სუბსტანცია, გერმეტიულად ექცია საკუთარი მხატვრული სამყარო.

მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია თავისი რომანტიკული მსოფლშეგრძნებით, გრძნობათა და ემოციათა მეტფიზიკური სრულქმნილებით, ახალი პოეტური ენის ძიების პერსპექტივით („მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათა გამოთქმა“) კეთილსმოფელ ნიადაგს ქმნიდა პოეტური კულტურის ასაღორძინებელად, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისტორიული რეალობა, დროის ახალი სული ბარათაშვილის იდეურ-ესთეტიკურ სისტემას მხოლოდ მოდიფიცირებული სახით თუ იგუებდა. საერო იყო რომანტიკული მსოფლხედვის რაღაც ახალი მოდუსით წარმოჩენა. სწორედ ამ შინაგანი განწყობების ყამს დადგა აუცილებლობა ეროვნული ლოკალის გარდვეევისა და პოეტური თვალსაწიერის ევროპის რადიუსით გაშლისა. თვმატიკისა და ფორმის უნივერსალური მასშტაბების ძიება, თვით მზმჰზარეული ესთეტიკური სტრუქტურების დასესხების გზით. ეს იყო იძულებითი, აუცილებლობით გამოწვეული ექსპერიმენტი, რომელსაც პერსპექტივაში კეთილსმოფელი გიელნენ უნდა მოეხდინა ქართული პოეტური კულტურის განვითარებაზე.

XIX საუკუნის მიწურული რუსული მხატვრული აზროვნების მკვეთრი ნოვაციების ნიშანსვეტად იქცა. ევროპიდან წამოსული ახალმა ლიტერატურულმა ტალღამ სიმბოლიზმის სახით, შეარყია ტრადიციათა ნასაზღვრები, ნორმად ქცეული ესთეტიკური კონცეფციები. ადრე აღიარებულ ღირებულებათა გადაფასებამ წინა პლანზე წამოსწია და გენეტიკური კავშირები დააქსაბნინა რუსული პოეზიის იმ წარმომადგენლებთან, რომელთა შემოქმედებაც „იდუმალისა“ და პოეტური მინიშნების შინაგანი თვისებით შორეულ მსგავსებას ამყარებდნენ ევროპიდან შემოკრილ ახალ სიოსთან. ტიუტჩევის, ფეტის და სოლოვიოვის სახელები, ერთვვარ შემამზადებელ წინაპრობას ქმნიდნენ, რუსული პოეზიის ზემოდაღნიშნული ეტაპის დასამკვიდრებლად. მდიდარი პოეტური წარსული ფონზე რუსულმა სიმბოლოზმმა მიიღო განსაკუთრებული სიღრმე და ახალი გამომსახველობა.

ქართული პოეტური კულტურის მოდენებული მაჯისცემის გამოცოცხლების ერთ-ერთ (თუ არა ერთადერთ) გზად ვალაკტერნის მიერ სიმბოლოზმის მიღწევების შემოქმედებითი ათვისება, მისი ქართულ ნიადაგზე ორგანული დანერგვა იქნა მოაზრებული. სწორედ „არტისტულ ყვავილებში“ გახმაურება მძლავრად ეროვნული პოეტური აზროვნების, მისი დრამატიზმით აღბეჭდილი მსოფლმხედველობრივი მოდელების ბენნერი შერწყმა, აზრის გამჟღავნების, რეალური ობიექტების სივრცესა და დროში განლაგების სიმბოლისტურ პრინციპებთან.

სიმბოლოზმის მხატვრულ სისტემაზე საუბრის დროს გასათვალისწინებელია ერთი რამ. მიუხედავად მთელი რიგი ორიგინალური ფაქტორებისა, ფრანგული და განსაკუთრებულ ინტერესული სიმბოლოზმის ესთეტიკური სისტემის სახეს განსაზღვრავს, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ:

«Сочетание художественных приемов разнообразных культур; в этом порыве создать новое отношение к действительности путем пересмотра серии забытых миросозерцаний — вся сила; вся будущность так называемого нового искусства; отсюда своеобразный эклектизм нашей эпохи (А. Белый «Символизм»).

არსებულისა და საკუთარის თანასიცოცხლე, ორგანეული სინთეზი სიმბოლოზმის განსაკუთრებული თავისებურებაა.

ამ თვალსაზრისის ერთი კონკრეტული გამოხატულებაა სიმბოლისტური აზროვნების ყველაზე დამახასიათებელი მომენტის კონსტატაცია რენესანსული პოეზიის ნიმუშებში. იძლევა რა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ თავისუფალ პოეტურ ანალიზს ოსიპ მანდელშტამი, მისი სადოობრივი აზროვნების უმნიშვნელოვანეს თვისებად აღიარებს შექცევადობას („Обратимость“), ამ მხრივ — მანდელშტამის აზრით, დანტემ უკან მოიტოვა უახლესი ევროპული პოეზიის ყველა ასოციაციური სკლები. დანტეს გენიალური პოემისათვის იმანენტერია მასზე მსჯელობის ამგვარი მდინარება — თავისთავად, სიტყვა, სიტყვათა შეთანხმება, სახე, ეგზიოდი ე.ი. გარეგანი „თხრობადი“ და არა „გათამაშებული ბუნება“ — არ იძლევიან პოეტურ ინფორმაციას. თავისთავად ისინი ნეიტრალური არიან, როგორც ცალკეული ნოტა, როგორც მოძრაობასა და სწრაფეულ მოყოლეული მუსიკალური ფრაზა. მანდელშტამის აზრით, სწორედ ამიტომ „კომედიის“ შინაარსი არ ამოიწურება არც გარეგანი, ტექსტის ერთმნიშვნელოვანი სტაკვა-სიტყვითი ბლანით და არც ალეგორიით. რამეთუ გასაღები მისი მხოლოდ ტექსტის მიღმა იპოვება.

«Вся новая европейская поэзия лишь вольноотпущенница Алигиери» — ასკვნის მანდელშტამი. (О. Мандельштам «Разговор о Данте»).

ტექსტის მიღმა არსებული, შეფარული აზრის გათვალისწინება მოგვიანებით ორგანულ გაგრძელებას ჰპოვებს სწორედ სიმბოლისტების პოეზიაში და მათ შემოქმედების ძირითად პრინციპად იქცევა. კიდევ ერთხელ გავმეორებთ, რომ სიმბოლიზმის იდეურ-ესთეტიკური ტაბი მოაზრებულ უნდა იქნას მხოლოდ ზოგადუნივერსალური კულტურის არეალში და არა ვიწრო — ლოკალურ მასშტაბებში.

მართალია, სიმბოლიზმის პოეზია ელიტარული იყო და დარჩა ამად. ეს თვისება ერთსა და იმავე დროს მისი სისუსტეცაა და ძლიერებაც.

სიმბოლისტური პოეზიის სფეროებში შესვლა, ითვალისწინებს მისი კანონების აუცილებელ გათვალისწინებას. არა მხოლოდ ის, რომ ინდივიდუალური სახეები იყენენ ტიპიერნი, ე. ი. ანალოგიურ მოვლენათა ფართო ჯგუფის ნიშნებად იქნენ წარმოდგენილნი, არამედ ისიც, რომ სამყაროს საგნები ერთმანეთთან არაგონისმიერი არხით, უშორესი ასოციაციებით იქნან დაკავშირებულნი, რომელთაც შეეძლოთ სულთან საუბარი სხვა, უმაღლეს პეშმარიტებებზე — ასეთია სიმბოლიზმის თვალსაზრისი.

გალაკტიონის „არტისტული ყვავილებისათვის“ ამგვარი თეორიული საზრისი ორგანიზულია. შორეულ პოეტურ ასოციაციათა მუსიკალური დაახლოვის პრინციპი, ფრაგმენტულ არტისტულ განწყობილებათა მონაკვეთებთან ლოგიკა, ლექსის ერთ განუყოფელ მუსიკალურ აკორდად განცდა და კიდევ სხვა განუმეორებელი ელემენტები ამ პოეტურ კრებულში კლასიკურ სიმაღლეს აღწევს.

პოეტურ სახეთა სისტემა მთელი რიგი ლექსებისა (მხედველობაში გვაქვს „შემოდგომა უმანკო ჩასახვის“ მამათა სავანეში“, „ლურჯა ცხენები“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „საუბარი ედგარზე“ და სხვ.) შესაძლებელია და აღბათ, აუცილებელიც დანაწვრდეს იმ სტრუქტურულ-სემანტიკური მეთოდებით, რომლითაც თვით გალაკტიონი სარკვევის მაძი კონსტრუირების დროს. მაგრამ ერთი ნათელია, რომ ჩვენს წინაშეა მთლიანი განუყოფელი სუბიექტ, მრავალწახნაგოვანი სიმბოლეკა.

„ლურჯა ცხენების“ შესაძლებელი ერთ-ერთი უზოგადესი ინტერპრეტაცია არის უმაღლესი იდეალებისკენ ადამიანის მუდმივი სწრაფვის გამორთვება და აპოთეოზი, ყოველგვარი ცოდვების, დაცემის და თვით დანაშაულის მიუხედავად, რასაც ადამიანი მუდმივი სწრაფვის ურთულეს გზაზე ჩადის. „ლურჯა ცხენების“ მეტაფიზიკური ხატი ერთმნიშვნელოვან განსაზღვრას არ ემორჩილება და მრავალსახოვან ჩვენებად წარმოიდგინება. შინაგანი ფსიქიკური ცხოვრების ექსპრესიულ სისტემის გამოყენება სიმბოლოთა დაშიფვრული ორიენტირებითაა გაცხადებული. მიუხედავად ლექსის ამგვარი ბუნდოვნებისა, არა ემპირიული აზრობრივი პლანისა, ხდება მისი მთლიანი განწყობილების აღქმა, მისი რთული სემანტიკური მოდულაციების ქვეცნობიერი ათვისება. ლექსის მთლიანი ფაქტური პროტესტანტული კაენშია (თუ შეიძლება ამ ორი ცნების დაკავშირება) სულთაა ალბეგელი. იმედის სხივის გამონათება, უმწეო, ეფემერული ნოტა, რომელიც აღმოცენებისთანავე იძირება უსასოობის განწყობილებაში.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ლექსის საერთო განწყობილება, უპირველესად რიტმულ-მუსიკალური გარსის მეოხებით ხდება მკითხველისათვის საცნაური. ამ შემთხვევაში გასაბალანსებელია მოსაზრება, რომ მხოლოდ ვერსიფიკაციის ატრუქტურას შეუძლია იყოს ნაწარმოების ... ეტერი ძალის მატარებელი იმ ეფრქეს შრეებში, რომელთან შედარებითაც ყველა დანარჩენი კომპონენტი შეიძლება მეორეხარისხოვანის როლში წარმოიდგინოთ. (H. Lützeler «Der Lautgestaltung in der Lyrik»).

არგუმენტაციის, ჰიპოთეზის, ზოგადი წვდომის იმპრესიული ხასიათი „არტისტული ყვავილების“ გაანრების კონკრეტულ ფაქტორად წარმოიდგინება. პოეტური ფორმა გალაკტიონისათვის ისევე შინაგანი ფაქტორია, როგორც თვით იდეა. სახეზეა იდეა-ფორმის სინთეტიკური მთლიანობა. ლექსების ძირითადი ინფორმაცია ფაბეული სავანი კი არ არის, არამედ სიტყვათშეთანხმებათა სტრუქტურის კეთილობა მოიაზრება.

სიილუსტრაციად მრავალი მაგალითიდან ამოვარჩევთ ერთს.

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი
და ფოთლებს ისროდა სიფიფრე ბარათის.
ამაოდ დაგენდე, ეო ჩვენ ერთმანეთი
ამაოდ გვინდოდეს! მშვიდობით მარადის!
ქარავათა მორეკვნი დაიშვა ფარდები
საღამო კანკალებს შიშით და რიდობით,
საღამო ნელდება და კვდება ვარდები.
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით.

მუსიკალური ხელოვნების მსგავსად გალაკტიონის პოეზიაში (მხედველობაში მაქვს „არტისტული ყვავილები“) აზრობრივი ტალღები, ასრულებენ რა თავის ფუნქციას ინთქმებთან მომდევნო ტალღების სიღრმეებში. განსხვავებით აღწერილობით — ახსნითი სახეობრიობისაგან. აქედან წარმოსდგება განსაკუთრებული ენებინაობა მუსიკალური ტიპის მეტაფორისადმი. ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ მომენტს — ეს არის მკითხველის განსაკუთრებული აქტიურ-არტისტული როლის გაანრება. მკითხველისა, როგორც მუსიკალური შემსრულებლისა, რომლისთვისაც გაცნობიერებულია ტექსტის „პარტიტურა“, ვირტუალური სიტყვის მრავალმნიშვნელობა.

გალაკტიონის პოეზია („არტისტული ყვავილები“) მიგვანიშნებს რაოდენ მნიშვნელოვანია არა პასიური და არა მხოლოდ წარმოსახვითი ხასიათის საშემსრულებლო (მკითხველის თვალსაზრისით) ალღო. იგი წარმოადგენს „სემანტიკური ქმაყოფილების“ და ესთეტიკური სიამოვნების წყაროს. მისი სახეები არასოდესაა აღწერილობითი ე.ი. წმინდა გამომსახველობითი. ისინი სუგესტიურნი არიან თავისი სტრუქტურით და არა გარეშეთლინარნი. მისგან საკმაოდ

გურამ ბენაშვილი
გალაკტიონის ლირიკა

გაჩრდილებულია — პირნასელთა აღწერილობითი პოეზია და უადრესად ახლოსაა ვერლენის, რემბოსა და ბლოკის ფუსიალურობა.

„არტისტული ყვავილებით“ უარყოფილია არა მხოლოდ აღწერილობითი პრინციპის პოეტურობა, არამედ ყოველივე, რაც თხრობას, გადმოცემას ემორჩილება. გაცხადების სწორედ ამ ტიპის ლირიკული საწყისია აღიარებული პოეზიის უნივერსალურ კატეგორიად. პოეტურ სახეთა ორი პლანი: პლასტიკური და მუსიკალური ამ კონცეფციის დადასტურებაა.

როდესაც „არტისტული ყვავილების“ შემოქმედებით პრინციპს სიმბოლიზმთან კავშირში გავიაზრებთ, ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს ის, რომ „სიმბოლიზმის“ — როგორც ლიტერატურული სკოლის ფორმალურ-სახეობრივი სისტემის უკეფფენად წარმოვიდგენთ დროის ლოკალისადან თავისუფალი პოეზია (განსაკუთრებით ევროპული პოეზია), რომლის წიაღშიც ჰპოვა ახალმა შემოქმედებითმა თაობამ და კონკრეტულად „სიმბოლიზმმა“ საარსებო ფესვები. ამით მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი მარადიული პოეზიის პერმანენტულ ბუნებას, მის უწყვეტ წრებრუნვას.

ქართული პოეტური კულტურისათვის და ეკრძოდ გალაკტიონისათვის „სიმბოლიზმს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისის ახალმა პოეტურმა მიღწევებმა, რომელთა პოლიფონიაშიც სიმბოლიზმს წარმართველი როლი ეკუთვნოდა, ჩვენი ეროვნული მხატვრული აზროვნების წინაშე დააყენა ალტერნატივა — მსოფლიო ლიტერატურის თვისობრივად ახალი შემოქმედებითი თვისების, მისი ახლებური, ღრმა გააზრებისა. სიმბოლიზმით ეროვნული მოდური გატაცება, მათი ურთულესი შემოქმედების ახლოს ყოფნა აღძრავდა ცნობის წადილს მათი მხატვრული სისტემის არქეტიპის ძიებისა. ასე შემოვიდა ქართული ლიტერატურული ცხოვრების არეალში, ეროვნულ ტრადიციათა გააზრების პარალელურად, ევროპელური მასშტაბების გათვალისწინების აუცილებლობა.

გალაკტიონის „არტისტული ყვავილების“ სტატიაო მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ მის წიაღში პირველად გახმაიწდა ახალი პოეტური სიო. მისი სახით ქართული პოეტურმა აზროვნებამ სრულყოფილი სახით გაითავისა მხატვრული აზროვნების და ფორმალისტური ძიებების ერთის შეზდეგი არტრადიციული და ორიეული მიღწევები. ხელის ერთი ჯადოსნური დაკვრით ქართული ლექსის ბუნებრივ თვისებად აქცია იგი.

ჩემს მოსაზრებას თუ მოგუური თავს, შეიძლებოდა ამგვარი დასკვნის გაკეთება: სიმბოლიზმთან „არტისტულ ყვავილებს“ აახლოებს როგორც მსოფლშეგრძნების მრავალგვარ ვარიაციებში წარმოდგენილი ტიპი, ასევე პოეტური აზროვნების, მისი გამგზავნების ეროვნულ-ეროვნული სტრუქტურა. გალაკტიონის „მსოფლშეგრძნება „ხმა იდუმალისა“ და „ეპოვე ტაძარის“ ავტორის რომანტიკული მედიტაციებითაც არის განპირობებული, წინასწარობაში მოყვანილი. ეროვნული ტიპი ეროვნული გამოვლენა სწორედ ამ ფაქტორით მოიაზრება.

ქართული პოეტური კულტურისათვის „არტისტული ყვავილების“ აზრის გამგზავნების განსაკუთრებული პრინციპი, პოეტური ხედვის სტრუქტურა სრულიად ახალია, მისთვის (ქართული პოეზიისათვის) ჯერ ახსოლუტურად უცხო და თვით პერსპექტივაშიც კი წარმოუდგენელი.

ათოდდა ზამთრის ბალებს
მიქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირაღებს
თმა გაწეწილი ქარი.
გზა იყო უდაბური
უსახო უპირქუბო
მიქონდათ კიდევ კუბო.
ყვავილის საუბარი:
დარეკე დაუბარე!
ათოდდა ზამთრის ბალებს.

საკვლევ თხზულებაში დაფიქებით ესმება ხაზი საქართველოს მოქცევას ანდრია მოციქულის მიერ. საინტერესოა, რომ ეს ხდება იმ დროის მახლობლად, როცა ჩვენს ქვეყანაში წმამოყენენ დამოუკიდებელი მისიონერი წმიდა ნინოს სახით. მაშინ ეს იყო მოხრხებელი მანვენი საბერძნეთის კულტურული და საეკლესიო პრეტენზიების უარსყოფად. „გ. მთაწმიდელის ცხოვრებაში" კი ნინო არ ჩანს საქართველოს კრისტიანობაზე მომქცევად. ლეგენდა ნინოს შესახებ, რომელიც IX-X საუკუნეებში ლიტერატურულადაც გაფორმდა, კარგად ეცოდნებოდა როგორც გ. ათონელს, ისე გ. მცირეს, მაგრამ, ეფიქრობთ, მას ისინი შეგნებულად უგულებ ვვერს, როცა აღნიშნავენ — საქართველო ანდრია მოციქულმა მოაქცია ქრისტიანობაზე და შემდეგ მას აღარ გადაუხვევია ქრისტიანობა საჩუქნოების ბზიდანო. ეს ეჩრი ზორს არის ეფრემ მცირის შეხედულებიდან, რომლის მიხედვით, ჯერ ანდრიამ იქადაგა ქრისტიანობა საქართველოში, მაგრამ შემდეგ ის განიყენა და წმინდა ნინოს დასჭირდა ხელახალი ქადაგება. აღნიშნული შეუსაბამობა მით უფრო საინტერესოა, რომ გ. მცირე, რომელიც ერთ შემთხვევაში აღნიშნავს, საქართველოში მწვალებლობა არასოდეს ყოფილაო, მეორეგან ამბობს „ქუეყანა ჩუენი ზორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა", ამიტომ დაითესა ჩვენში „ღვარძლი" და „თესლი" მწვალებლობისა და „ცდუენბისა"-ო.[37] პროფ. კ. კეკელიძე მწერალს უსაყვედურებს ბერძნების კეთილად ხსენებას. პატივცემულ ჩკვლევარს მიაჩნია, თითქოს ამით გ. მცირე ბერძენთა მეურვეობას შენაგარის „თითქოს, თუ ბერძნები არ გაგვიწევდნენ დალობას, ჩვენ ჩვენით არ შეგეძლო გაგვარჩია ღვარძლი კეთილი თესლისაგან"[38]. ეფიქრობთ, დიდი მეცნიერის საყვედური. გ. მცირისადმი არ არის თავიდან ბოლომდე სამართ�eline. საქმე შემდეგშია: გ. მცირის შეხედულებით, ჩვენ „დარე ვვქონა „მართალი" სარწმუნოება, რომელიც შემდეგ გაურყვნიათ სომხებს, რადგან საბერძნეთთან სიშორის გამო (სანამ აქ დაარსებდნოდა ათონის იერის მონასტერი) არ გვქონდა გაცხოველებული კულტურულ-სარწმუნოებრივ-ლიტერატურული ურთიერთობა ბერძნებთან, რომლებიც „მართლმადიდებლობის ბურჯად გამოდიოდნენ.

ზემოთთქმულიდან უკვე ცხადია, რომ გ. ათონელის სიტყვებში, რომელიც მან 1057 წელს წარმოთქვა ანტიოქიის პატრიარქთან „ვინაოვან ერთი ღმერთი გვკნობიეს, ადარა უარ—გუყოფიეს, და არცა ოდეს წვალებასა მიმართ მიდრეკილ არს ნათესაკი ჩუენნი" [39]-ო, სიმართლეს აბ შეესაბამება. ამის მიზეზი ისევ და ისევ ავტორის პოლემიკით გატაცებაში უნდა ეძებოთ და ეს უარყოფს აზრს, რომ იგი „ეკონომიად ვერ აფასებდა ქართველ ერს". არა, ასეთ ბრალდებას ვერ წაუყენებენ „დიდი გიორგის" დიდ მოიგრიგეს. საკვირველი მხოლოდ ერთი რამ არის: თეოდორიტე ტკბილის მიხედვით, ქართლის ეკლესია ანტიოქიელი პატრიარქის, ევსტათის დამყარებული გამოდის, ანტიოქიური ბრონოლრაფიათა პატრიარქ ანსატასის დროიდე (VI ს.) კვლავ ამ სამპატრიარქოზე ყოფილა იგი დამოკიდებული. VI-VIII საუკუნეებში ქართული ეკლესია უკათალიკოზოდ იყო, ხოლო VIII საუკუნეში ჩვენი წინაპრები ისევ ანტიოქელ პატრიარქს თეოფილქტეს მიმართავენ, რათა მან მისცეს მათ კათალიკოსის არჩევის უფლება. ყოველივე ამის შემდეგ, გიორგი მთაწმიდელის პასუხით ბასაჭირნი ჩავარნილნა პატრიარქმა ვერ მოტანა წარსულში ქართული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოზე დამოკიდებულების ვერც ერთი ფაქტი, რომელიც, ბუნებრივია, გამამგრებდა მის სარჩელს.

ქართული და ბერძნული ქრისტიანობის მართალი გზიდან გადახვევას ხაზი ესმება გ. ათონელის მიერ დისკუსიაზე, რომელიც ზოგი სარწმუნოებრივი საკითხის გასარკვევად მოაწყო იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ. ეს ყოველივე კი ასე მოხდა — 1065 წელს საქართველოდან დიდი პატრეკი წარმოგზავნილი გიორგი ათონელი საბერძნეთისკენ გაემართა. მას თან ახლდნენ მცირეწლოვანი მოწაფენი და თავისი უახლოესი თანამშრომელნი. გიორგის ხელი ჰქონდა მაგრამ მეფის წერილი კონსტანტინე დუკასთან, სადაც ქართველთა მეფე საბერძნეთის იმპერატორს „დიდი გიორგისა" და მისი მხლებლების შესაფერი პატივით მიღებას სთხოვდა, „დიდი გიორგის" საქეველო ატ‌ორიტეტთან ერთად პოლიტიკური ტაქთსფერიც (მართას მიყვანა ცოლად კონსტანტინე დუკას მიერ) ქმნდა იმის შესაძლებლობას, რომ იმპერატორს მართლაც შესაფერისი პატივით მიეღო ეს წარმოგზავნილნი. ეს ისეც მოიხდინა. გ. ათონელის აუდენციას იმპერატორთან ესწრებოდნენ „დიდებულნი და წარჩინებულნი, ჰოროშნი და სომეხნი, რომელთა თანა იყო გაგაკ

ზ‌ემალ აფციაური
იდეოლოგიური ბრძოლის კვალი „ბეიერგი მთაწმიდელის ზ‌ემოქმედებაში".

კარელი და სხვანი თავადნი სამეუფოჲსანი" [40]. იმპერატორს უსარგებლია შემთხვევით, რომ მისი წინაშე დიდი და განსწავლული ღვთისმეტყველი იდგა და ისეთ სარწმენოებრივ საკითხებზე გაუგამს გ. ათონელთან საუბარი, რომელნიც მისთვის, „სამკეფრო სქემეთა შინა აღზრდილი" კაცისთვის, შედარებით ბუნდოვანი ყოფილა: „არს რაჲ განყოფილებაჲ სარწმენობისა თქუენისა სრულსა მას და უეთოჲლესა სარწმენოებასა ბერძენთა თანა?"! ალბათ დისკუსიის დაწყებამ ქართველთა სარწმენოებაში ეშვის შეშანის გამომხატველი კითხვით და შემდეგ გ. ათონელის მიერ სიმეხთა განქიქებამ ამავე დისკუსიაზე, ფფიქრებინა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს ის, რომ კამთი ატეხა გაგიე ყარსელმა იგივე კარელი, თანაც თითქოს ეს მიზდა კონსტანტინე დუკასა და მარიამის ქორწილის ყამს [41]. ჩვენ ვერ ვიტყვით, აღნიშნულ დისკუსიას ეხება ისტორიკოსის სიტყვები, თუ სხვა ანალოგიურ შემთხვევას. თუ იგი მართლაც „ცხოვრებაში" აღწერილ მოვლენას გულისხმობს, მაშინ არ შეიძლება დ. ბაგრატიონ აზრს ეერწმენონთ. როგორც ტექსტიდან ჩანს, გაგიე კარელი არაფერ შუაში ყოფილა. დისკუსიის წამოწყების ინიციატორი კონსტანტინე დუკა იყო. მისი ეს სურვილი შეპირობებული ყოფილა ინ უბრალო ეშმარიტებით, რომ „პირველ ყოვლისა მართლადიდებლოთა ითქმის შეფთაგან" [42].

დისკუსიაზე უმსჯელიათ ლაოთნთა და სომეხთა სარწმენოების ბერძნულისაგან განსხვავების მიზეზებზე. ეს საკითხი, რომელიც ჩვენი ხალხის სარწმენოებრივი ცხოვრების ერთი თავისებურებაა ცხადი გამომხატველია, განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. უკეე კარგა ხანია შემჩნეულია, რომ „საქართველო აღნიშნულ ეპოქაში (XI-საუკუნეში — ჯ. ა.) ანა ინფორმირდა საბერძნეთის რიგორისტულ ფეოდალურ-რომაელთა ეკლესიის შესახებ. აქ ითვალთვე ბატონობდა მეორე მიმართულება — ლიბერალურ-სპირიტუალური, რომლის მკვეთრად გამომხატველია გ. მთაწმიდელი [43].

ქართველთა სიმპატიის კვალი რომაელთა სარწმენოებისაკენ, როგორც უკეე აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში[44], (თუმცა იქ ეს ფაქტი დასაბუთია, როგორც ქართველი მოღვაწეების ინტერნაციონალიზმის გამოვლენა) „გ. მთაწმიდელის ცხოვრებაზე" აღრე ჩანს „ოიანეს და ეფთვმეს ცხოვრებაში". ამ მოღვაწეებს დაბმიჯება გაუწევიათ რომიდან ათონზე მოსული დიდგვარიანებისთვის (ჯერ საკეთარ ლეგრანში შეეფარებიათ ისინი, შემდეგ კი შესწავლიანთ, რაკა მათ თავისი მონასტერი აეშენებინთ, მაგრამ ქართველთა სარწმენოების „ლიბერალურ-სპირიტუალური მიმართულება" მთელი სიგრძე-სიგანით მაინც „გ. მთაწმიდელის ცხოვრებაში" გამოიკვეთა. გ. ათონელი საბერძნეთის იმპერატორის წინაშე ამართლებს და თითქმის აიდგილებს კიდეც რომაელთა (ლათინთა) სარწმენოებრივ მრწამსს და მერე როგორ?! — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა საბოლოო გათიშვის ახლო ხანებში.

რომაელთა სარწმენოების გაიდეალებაა პირდაპირ გ. ათონელის შემდეგი სიტყვები კონსტანტინე დუკას მიმართ: „პრომთა ენაჲთგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არცარა ოდეს მიერეკელ არიან და არცა ოდეს წყალება შემოსულ არს მათ შორის, „არც ეს ფაქტი დგას იდეოლოგიური წინააღმდეგობის მიღმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაზე მსჯელობის გაგრძელების საშეალება აქვერად არა გვაქვს.

შენიშვნები:

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967, II (XI-XV სს.) გვ. 159

2. იქვე, გვ. 169.

3 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967 II, (XI-XV სს) გვ. 77.

4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები II (XI-XV ს. ს. 1967, გვ. 54.

5. იქვე გვ. 95

ის გარემოება, რომ ბაგრატ IV შეუძლია საკბინაკობოსოების გაყიდვა, არ ლაპარაკობს სამეფო კარის მიერ ეკლესიის დამოუკიდებლობაზე.. ეს აქტი თავისი შინაარსით ზორს დგას დავით IV პროლეტკიდან საეკლესიო საკოთხებში და ისეც სახელმწიფოს ეკონომიკურ სისუსტეზე მიუთითებს.

6 ნ. ბერძენიშვილი, „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება. საქართველოს სგგარეო ურთიერთობაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955. გვ. 177.

7. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, 1949, XI-XV სს., 1967, გვ. 162.

8 ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები II (XI-XV სს; 1967, გვ. 12.

9 Литературная Газета, 1966, № 127.

10 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II (XI-XV ს. ს. 1967 გვ. 16.

11 იქვე.

ეს ეპისკოპოსი უმართებულოდ მიაჩნია პროფ. ტრ. რუხაძეს იოანე ᲨᲣᲜᲗᲘᲓᲘᲓᲘᲡᲐᲓᲛᲘ. (იხ. ლიტერატურული საქართველო, 1965, № 51).

12 იქვე, გვ. 165.

ამ სიტყვებშეე დიდი ირონია იგრძნობა — რატომ უნდა შინებოდა „სხეულებისაგან დაცემის" ბხოლოდ სულის გაწმენდაზე მზრუნველ, ზორცის უარმყოფელ სასულიერო პირს?

13 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ-

ISTORIA.GE

რატერის ძეგლები, II (XI-XV ს. ს.) 1967, გვ. 165.

14 იქვე.

15 იქვე, გვ. 127.

16 ნ. ბერძენიშვილი, მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ (გ. ათონელის ბიოგრაფიის მიხედვით.) მასალათა კრებული, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, 1937, გვ. 17).

17 იქვე.

18 კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. III, 1955, გვ. 61.

19 იქვე, გვ. 63.

20. ძ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, (XI-XV ს. ს. 1967, გვ. 166-167.

21 იქვე, გვ. 166.

22 იქვე, გვ. 173.

23. შ. ნეტეტბაძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია II, 1958, გვ. 120.

24 იქვე, გვ. 10-23.

25. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, (XV ს. ს. 1967, გვ. 172-173.

26. ი. ფერაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, 1918, ქუთაისი, გვ. 26.

ეს აზრი ეწინააღმდეგება ათონს ივერის მონასტრის დანიშნულებას. იგი ნაციონალური კულტურის ცენტრი იყო და მხოლოდ ეროვნულ მოღვაწეთა აღზრდას ემსახურებოდა.

27. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო წყლობა, 1945 გვ. 48.

28. გ. თავზიშვილი, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, 1937 გვ. 20.

29. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, XI-XV ს. ს. 1967 გვ. 168.

30. გ. თავზიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქ-ში, 1937, გვ. 154.

31. ნ. ბერძენიშვილი, მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ, მასალების კრებული I, სწავლა-აღზრდის ისტორია ქართველოში 1937, გვ. 32.

32 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. 293-294.

33 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II (XI-XV ს. ს.) 1967, გვ. 152.

34 იქვე, გვ. 154.

35. ი ქ ვ ე

36. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 263.

37. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, (XI-XV ს. ს. 1967, გვ. 123.

38. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I, 1945, გვ. 196. შემოქმედებითი პროცესი ძველ-ქართულ ლიტერატურისა იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით.

39. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II XI-XV ს. ს. 1967. გვ. 154.

40 იქვე, გვ. 178.

41 ძველი ქართული აგირგრაფიული ლიტერატურის ძეგლები II, XI-XV ს. ს. 1967, გვ. 178

42. დ. ბაკრაძე, საქართველოს მეფე ბაგრატ IV, (1027-1072), 1880 წ. გვ. 45.

43 ტფილისის სახ. უნივერსიტეტის მოამბე, 1919, I ნაკვ. I, გვ. 45

44. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 64.

კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან.

45 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, XI-XV ს. ს. 1967 გვ. 178-179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ᲡᲘᲛᲨᲕᲔᲚᲘ

ᲗᲝᲗᲐ ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ

„ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ“?

გამომცემლობა „განათლებამ“ 1965 წელს გამოსცა თენგიზ გიორგაძის „ჭადრაკის ანბანი“. ხოლო 1974 წელს — „მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა“.

შესავალში ავტორი, ლაპარაკობს რა წიგნის ღირსებებზე, ასკვნის: „ერთი სიტყვით, ეს არის „ჭადრაკის ანბანი“, ფრიმლოსოდაც შეუძლებელია შემდგომი დაისტატება“.

„წიგნი წარმოადგენს აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელოს მწერთნელებისთვის, რომლებიც ამზადებენ დაბალი თანრიგის მოჭადრაკეებს“.

პირველ გამოცემაში ავტორი ამბობს: „ეთი სახის სახელმძღვანელო პირველად ოსტამბება ქართულ ენაზე. ამიტომ უთუოდ იქნება ხარეგზები. ავტორი კმაყოფილებით მიაღებ მკითხველთა შენიშვნებს“. მეორე გამოცემაში: „ავტორმა გითვალისწინა მკითხველთა შენიშვნები და ნაწორობი გადაამუშავა“.

გამოქვეყნდა (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მეორე გამოცემა) ვითომდა რეცენზიები (ეტეწერად ნაკლებ კომპეტენტური ავტორების), თანაც ეს ვითომდა რეცენზიები ტაკუბილ-ცალებიანად ჰგავდა ერთმანეთს. ეროი ინტერნეტენტი იქამდეც კი მივიდა, რომ მომავალი თაობების სახელით მადლობას უხდიდა ავტორს. ალნიშნული იყო „ნაკლოვანებებიც“ „დიაგრამების განლაგებაში“ და რომ „ტირაჟის ნაწილი მეყოს ყდაში არ არის ჩასმული“.

წიგნი იწყება ლენინის ცნობილი სიტყვებით: «Шахматы гимнастика ума», რომელიც ავტორს სიტყვასიტყვით უთარგმნია ჭადრაკი გონების ტანვარჯიშია“. გონების ტანვარჯიში ვის გაუგია. უნდა იყოს: „ჭადრაკი გონების ვარჯიშია“.

ფათის სალილესტრაციიდ მოყვანილია მაგალითი (დიაგრამა 12), ე. წ. „ცოფიანი ეტლი“-ო, რომელიც ტაქტიური შინაარსისაა. მაშინ როცა გამოტოვებულია აუცილებელი — მხეჯრის ქიშის თავისებურებისა და მისი მოგვრიგების გაკნობა. (აგრეთვე პაიასაც).

35-ე დიაგრამას წარმდგარებული აქვს: „პაიკების გარღვევა კარგი ტაქტიკური ხერხია“. ეს მაშინ, როცა დამწყებმა არ იცის, რა არის ტაქტიკა, კომბინაცია.

ცხადია, ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ჭადრაკის სწავლების მეთოდიკას.

ნაარღვევადა შემოტანილი ოპოზიციის ცნებაც. მით უმეტეს „ომ მომენტს, როცა მეფეები ერთმანეთის პირისპირ დადგებიან, როგორც ეს ჩაჩვენებია მე-13 დიაგრამაზე, ოპოზიცია ეწოდა“,—ოპოზიციის განსაზღვრის არ ნიშნავს.

შამათი ეტლით ახსნილია ძალზე ბენდოვნად. სამამათო ოპოზიციის. (დიაგრამა 18) ქვეშ გვითხულობთ: „როგორ მივიწეოთ ამას? ჩვენი მეფე ოპოზიციაში უნდა ჩაიდგეს შავ მეფეს, ხოლო ეტლს ქიშით ფენის იგი დაფის კიდეზე. ეტლით დაშამათებაში დიდი ეტაკეანგის როლი“.

ასეთ განმარტებაში დამწყებ კი არა, გამოცდილ ძნელად გაერკვევა. მით უმეტეს, რომ წიგნში ეტაკეანგი ამამდე ერსად არ იყო ნახსენები. ის განსაზღვრულია მოგვიანებით და ისიც უხეიროდ. პაიკთა ენდშპილს კი სიფუძეზლ უდევს ოპოზიცია და ეტაკეანგი. ამიტომ ენდშპილის გადმოცემა მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურ სიფუძეზეს და მეთოდურობას. აქვე ავტორი განაკრძობს: „ზოგჯერ ოპოზიცია ერთიანად არ მიიღება. ასეთ შემთხვევაში საქმერა ფრთხილი ოპაზია“. აქ საქმე გვაქვს შორეულ ოპოზიციასთან, რაზედაც, წიგნში ანაფერი არ არის ნათქვამი.

გადმოცემის არამეთოდურობა კულმინაციას აღწევს შემდეგ კურსიში: ქვეთავი „ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐ

ჟოფი მეფისა და პაიკის წინააღმდეგ“ იწყება დამწყებისათვის შეუფერებელი, დოსტატ რიხარდ რეტის ურთულესი და თავის დროზე სენსაციური ეტიუდით. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეთაში ამ ეტიუდის გარდა არ არის მოყვანილი სხვა მაგალითი და არც არაფერი არ არის ნათქვამი.

ავტორი ურევს ტემპის მოგებისა და მოწინააღმდეგისათვის სვლის გადაცემის ცნებებს ის ამბობს (გვ. 15): „თეფრები გადასცემენ შაგებს სვლის უფლებას, რათა კვლავ გამოიწვიონ ოპოზიცია, ასეთ მანევრს ეწოდება ტ ე მ ბ ი ანუ დ რ ო ის მ ო გ ებ ა. (გვ. 27); „ეს ენდშპილი მოიგება ს ა მ ყ ა ო თ ხ ე დ ი ს წ ე ს ი ო. „სამყაოთხედს“ იყენებენ მოწინააღმდეგისათვის სვლის როგის გადასაცემად, ანუ, როგორც მოჭადრაკეები ამბობენ, ტემპის მოსაგებად“.

მოგვყავს შესაბამისი განსაზღვრებანი ჭადრაკის ლექსიკონიდან, რომლის ავტორები არიან: ბოტვინიკი, ავერბახი, სუეტინი და სხვ...

(«Шахматный словарь» 1964 г.) «Темп — в шахматной борьбе имеет двоякий смысл. Под словом «Темп» можно понимать ритм развития событий. Напр., медленный и быстрый Темп игры. В более узком понятии в шахматах Темп — это ход: напр., выиграть Темп — опередить противника на один ход или потеря Темпа — одна из фигур или пешек, вместо того чтобы сразу пойти на нужное поле, сделал это в два приема». (стр. 516).

«Передача хода противнику — прием, благодаря которому одна сторона передает очередь хода другой без изменения позиции на доске. Передача хода достигается путем ряда маневров, для чего важным фактором может явиться наличие большего числа полей для маневрирования». (зд. 494).

Треугольник — один из способов передачи хода противнику». (зд.516).

„ეტლების ენდშპილის“ შესავალი იწყება: „დაბოლოებათა შორის ყველაზე რთული ეტლების ენდშპილი“, რაც არ არის მართალი.

შესავალი ასე მთავრდება: „მრავალპაიანი ეტლების ენდშპილში უპირატესობის რეალიზაციისათვის თამაში მარტივ (ერთპაიან) ენდშპილამდე უნდა დავიყვანოთ“. სრულიად საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული დიდოსტატ ავერბახის თანაკუტორობით და რედაქციით გამოცემულ სამტომეულში:

«Защищающаяся сторона должна: «...3. Добиваться размена пешечного материала». («Шахматные окончания» 1958 г. зд. 364).

ლეკენფიშ-სმისლოვის მონოგრაფიაში «Теория ладейных окончаний (1957 წ., зд. 159) ვკითხულობთ: Повышаются ли шансы защиты в связи с увеличением числа пешек на доске? Отнюдь нет. Как читатель увидит в дальнейшем, у нападающей стороны появляются новые методы атаки».

ალბათ გიორგაძეს სწორად ვერ გაუგია იმავე მონოგრაფიიდან შემდეგი:

«Упрощение многопешечного надейного окончания и приведение его к более простому, которое поддается точной оценке — важный технический прием, которым необходимо умело пользоваться при разыгрывании эндшпиля» (зд. 214).

ქვეთაში **„მრავალპაიანი ლაზიერების ენდშპილში“** მოყვანილი (65-ე დიაგრამა) კარგი შემთხვევის შინაარსის ყოელისმომცველ სახელმძღვანელო პრინციპად მოტანა უმართებულია.

ჭადრაკის თეორიის მეტად „ღრმა ცოდნით“ არის დაწერილი ქვეთაში **„სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილი“**. აქ ვხვდებით ორ „ბრწყინვალე აღმოჩენას“, აი, ისინი: „ამ ენდშპილის მოგება მაშინაც შეუძლებელია, როცა ერთი ან ორი ზედმეტი პაიკი კი გაგვაქ“.

„ენდშპილი ორი ზედმეტი პაიკით მოიგება მხოლოდ მაშინ, თუ პაიკები ორი ვერტიკალითაა დაცალებული ერთმანეთისგან“, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ასეთი „სწავლება“ დაუხმარება დამწყებ მოჭადრაკეს სწორი გზიდან აცდენაში.

ახალ გამოცემაში დამატებულია თავი **„ეს თამაშობენ ენდშპილს“**. როგორც ეს, ისე მთლიანად თავი „ენდშპილი“ აღსაყვანა რთული (ისიც მარტივის წამძღვარების გარეშე) მაგალითებთან, ხშირ შემთხვევაში არაფრისმომქმელი ან მცდარი კომენტარებით.

თავი VII. **მიტელშპილი.** მიტელშპილის შესავალი არაფრისმომქმელი ფრაზებითაა სავსე, როგორიცაა, მაგალითად, „პოზიციერ ბრძოლას დარბაისლური თამაშის ეერი აქვს“.

მიტელშპილი შედგება ორი ძირითადი თავისაგან—„პოზიციური თამაში“ და „კომბინაციური თამაში“. პოზიციური თამაშის განხილვისას ყველა ფეხის ნაბიჯზე გვხვდება მარტივი და რთული კომბინაციები, რომელზედაც დამწყებს წარმოდგენა არა აქვს. ამის შემდეგ იწ-

---

ზ ო თ ა ი ნ ნ ო ვ ი ნ ი

„ბ ა ბ ლ ა ბ ა ს ი ს ა ნ ბ ა ნ ი“

ყება კომბინაციური თამაშის განხილვა-შესწავლა.

რეტი ამბობს: „ჯერ უნდა ვისწავლოთ კომბინირება, ვიდრე მოსინჯავდეთ პოზიციურად თამაშს". ჭადრაკის ეეოლუციის მიხედვითაც კომბინაციური თამაში წინ უსწრებდა პოზიციურ თამაშს.

მაქს ეიფეც, პირველ რიგში, კომბინაციური ნიჭის განვითარების აუცილებლობას ამტკიცებს. („ჭადრაკის ლექციების კურსი", 1940 წ. გვ. 6).

თუ ამ შეთხვევაში აეტორი რომანოვსკის ნაშრომს («миттельшпиль» 1960 წ.) ბაძავს, შეენიშნავთ, რომ შესავალში წერია: «Книга рассчитана на шахматистов-разрядников».

მოძრავი ცენტრი (გვ. 66) არასწორად არის განსაზღვრული: „ამ უკანასკნელ ტერმინში იგულისხმება პაიკების ცენტრი, რომელსაც შეუფრხებელი წინსვლა შეუძლია". ჯერ ერთი, გამოტოვებულია მთავარი დეტალი — პაიკთა რიცხვობრივი უპირატესობა. მეორე, ლიმილს მომგვრელია „შეუფერხებელი წინსვლა".

ღია ცენტრის საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითი უეარსია, რადგანაც ის ენდშპილის ტიპისაა. თითქოს განზრახ გვერდი აქვს აცილილი უამრავ კარგად ცნობილ სანიმუშო მაგალითს.

ფიგურების ცენტრის საჩვენებლად მოყვანილი პოზიცია (დიაგრამა 99) „მსხვერპლის გაღებით განვითარებაში უპირატესობის მოპოვებისა" და „ცენტრში დარჩენილ მეფეზე ეერიში." პრიზვაკინდნილი მაგალითია.

წიგნში ცენტრის ყველა სახეობა არ არის განხილული, რაც აუცილებელი იყო. მაგრამ არანაკლებ ცუდია ისიც, რომ დაცული არ არის თანამიმდევრობა მასალის განლაგებაში.

ქვეთავი **„პაიკები"**. ენდშპილისა და ცენტრის განხილვის შემდეგ პაიკებზე, პაიკთა ფორმაციებზე ლაპარაკი, ცხადია, დაგვიანებულია და მეთოდურად გაუმართლებელი.

გამხოლოებული პაიკის საილუსტრაციოდ ვერ გამოდგება 102-ე დიაგრამაზე მოცემული e4 პაიკი, რადგანაც ის ერთდროულად გამხოლულ პაიკსაც წარმოადგენს. გამხოლოებული პაიკის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს d4 პაიკი, თითქმის ყველა სახელმძღვანელოში შეტანილ ბოტვინიკ-ვიდმარის ცნობილ პარტიიდან, რომელიც შემდგომშია მოყვანილი (გვ. 74). ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ აეტორი ვერ ერკვევა საკმარაკო თეორიის ნიუანსებში.

გითრგაძე ვერ ანსხვავებს ბლოკირებასა და ბლოკადას. ამასთან ერთად ბლოკადის საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითი (დიაგრამა 96) მეთოდურად გაუმართლებელია, რადგანაც მასში ხორციელდება შეწირვა ბლოკადისთვის («Жертва ради блокады» ნიმანოვიჩი) ამიტომ ასეთ მაგალითს წინ უნდა უსწრებდეს ისეთი, რომელშიც ნათლად ჩანს ბლოკადის არსი და მნიშვნელობა ყოველგვარი შეწირვის გარეშე.

გამსვლელი პაიკის ბლოკირების საილუსტრაციოდ მოყვანილი პოზიცია (დიაგრამა 111) სინამდვილეში წარმოადგენს ცენტრისა და მთელი ფლანგის ბლოკადის, გარეშოცვის ბრწყინვალე ნიმუშს. პაიკის ბლოკირების საილუსტრაციოდ ამ მაგალითის მოყვანით კი აეტორი აუფასურებს სახელგანთქმული დიდოსტატისა და თეორეტიკოსის ისაკ ბოგოლუბოვის შესანიშნავ ქმნილებას. ბოგოლუბოვმ, შეიძლება თქვას, სწორედ ამ მაგალითით (პარტიით) მოჰკიდრაკეთა მთელ თაობებს მისცა მსგავსი პოზიციების გაგების გასაღები. განვითარა და გაღრმავა ამ საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი უძლეველი მოჭადრაკის, ბლოკადის განუმეორებელი ოსტატის არონ ნიმცოვიჩის მოძღვრება.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ პოზიციური და კომბინაციური თავების არათანმიმდევრობა. ამის გამომზეურებაში თვითონ აეტორი დაგვეხმარა. მე-80 გვერდზე (თავი „პოზიციური თამაში") ვკითხულობთ: „აი, როგორია გაცვლითი კომბინაცია" მაშინ, როცა აეტორი 102-ე გვერდზე სულ კითხვას: „რა არის კომბინაცია?" და იძლევა განმარტებას.

ქვეთავში **„ეერიში ერთ მხარეზე როკვის დროს"** ვკითხულობთ: „აუცილებელია მიზნისაღმდგომ ფიგურების გატაეება ეერიშის უბნიდან". ეს მხოლოდ ერთ-ერთი ხერხი და მისი აუცილებლობა"-დ გამოცხადება მხოლოდ გაოცებას იწვევს.

აეტორი ერთმანეთის საწინააღმდეგო რჩევადარიგებებს იძლევა პასიური დაცვისათვის 87-ე და 89-ე გვერდებზე.

კომბინაციური თამაში. კომბინაციის შემადგენელი ელემენტების გაცნობა პარტიის დაბოლოების ფონზე ხდება. აეტორი კომბინაციის ჩვენების შემდეგ იწყებს მის ანალიზს: „რა იყო კომბინაციის მოტივი, ესე იგი მისი გამომწვევი მიზეზი? შავი მეფის არამყარი მდგომარეობა". ჯობდა: მეფე გამოკეტილია მე-8 ჰორიზონტალზე, რაც ამავე დროს იწვევს შავი ეტლების გთიშვას. გამოტოვებულია მეორე არანაკლებ არსებითი მოტივი — შავი ლაზიერის დაუცველობა.

„რა იყო კომბინაციის იდეა, ესე იგი განხორციელების ხერხი? პაიკის გაყვანა". ჯერ ერთი, განხორციელების ხერხს განხორციელების საშუალება ჯობია, მეორეც „პაიკის გაყვანა" არ შეიძლება ხერხი იყოს, ის არის კომბინაციის მიზანი. (თუ გნებავთ, თემა) გითრგაძე

კონკრეტულად ვერ მიეთითებს, თუ რა სვლებით ხორციელდება კომბინაციის იდეა, რის გამოც გადმოცემა კარგავს ყოველგვარ სასწავლო ღირებულებას, ვბედავთ და ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში იდეა ჩაქსოვილია ტალღისა და ლაზიერის შეწირვაში.

ავტორი ამბობს: „ჩვენ განგებ გავარჩიეთ ტალღ ეს კომბინაცია, რადგან მასში განსაკუთრებით კარგად ჩანს, რომ ყველა კომბინაციას გააჩნია მოტივი, იდეა და მიზანი". გიორგაძეს ასე ჰგონია, სინამდვილეში კი მოყვანილი მაგალითი თითქოს განგებ მეტად რთული და დამწყვდეისათვის საილუსტრაციოდ შეუფერებელია.

„საჭიროა აღინიშნოს, რომ კომბინაციური თამაშში პოზიციურის გაგრძელებაა. ყველა სწორი კომბინაცია კანონზომიერია. მას ამზადებს წინა პოზიციური თამაში. შემთხვევითი კომბინაცია არ არსებობს".

საკითხის ნათელსაყოფად თავს ნებას მივცემთ გავაკეთოთ პატარა ისტორიული ექსკურსი.

მ. ეიდემ თავის წიგნში: («Стратегия и тактика», 1937 г.) გამოთქვა აზრი, რომ არსებობს კომბინაციები შემთხვევითი და გეგმაზომიერი.

«Комбинации первого типа мы называем случайными: они приходят совершенно внезапно, как гром среди ясного неба. Комбинации второго типа, напротив, прямо вытекают из последовательного соблюдения стратегических принципов. Они венчают стратегический замысел, они входят в план, и поэтому мы называем их планомерными комбинациями».

დიდოსტატი ი. ბონდარევსკი თავის ნაშრომში («Комбинации в миттельшпиле» 1960, 1965 г.) არ იზიარებს ამ მოსაზრებას:

«Крупный шахматный теоретик экс-чемпион мира М. Эйве в своей книге «Стратегия и тактика» сделал попытку разделить все комбинации на случайные и планомерные. Я не могу согласиться с таким делением, так как считаю все комбинации закономерными». (გვ. 26).

შემდეგ, ლაპარაკობს რა პოზიციის თვისებურებებზე, რომლებიც განაპირობებენ კომბინაციის განხორციელების შესაძლებლობას, ასკვნის:

«Таким образом, если есть достаточные мотивы, то комбинация объективно существует: Оно закономерна».

შემდეგ ბოტვინიკის შემოქმედებიდან მოჰყავს ორი მაგალითი. ერთ შემთხვევაში კომბინაციის მოტივები თეთრების გეგმაზომიერი თამაშის შედეგია, ხოლო მეორეში თეთრების (ტეტის პოზიციაში!) მცდარმა სვლამ უცაბედად შექმნა მოტივები კომბინაციის ჩასატარებლად.

«Итак, повторяем, что мотивы могут создаваться различными путями-планомерно или внезапно, но комбинация всегда закономерна».

ამგვარად, გიორგაძისეული — „ყველა სწორი კომბინაცია კანონზომიერია, მას ამზადებს წინა პოზიციური თამაში" — ყალბია. როგორც ვხედავთ, ავტორი ვერ გაერკვა საქმის არსში. და კვლავ მცდარი დებულება ჩამოაყალიბა. აქ უნებლიედ გვაგონდება რუსული ანდაზა:

«Слышал звон, да не знает откуда он».

ავტორი ამბობს: „ბიზნის მიხედვით კომბინაციები დაყოფილია სამ სახეობად: კომბინაციები მატერიალური უპირატესობის მოპოვებისათვის, შამათის გამოცხადებისა და უკეთესი პოზიციის მისაღებად". ეს სწორი არ არის. არსებობს კიდევ მთელი რიგი კომბინაციებისა. მაგალითად, კომბინაცია პარტიის გათანაბრებისათვის, ან მის გადასარჩენად მუდმივი ქიშთან, ფათთან.

ქვეთავი **„გატტუების კომბინაცია"**. „გატტუების იდეა გულისხმობს ჩვენთვის სასარგებლო უკრიდან მოწინააღმდეგის რომელიმე ფიგურის გატტუებას". უნდა შეცდომაა! უნდა იყოს მოწინააღმდეგის სასარგებლო უკრიდან გატტუება. აი, როგორ განმარტავს „საჭიდრაკო ლექსიკონი":

«Отвлечение — фигура противника отвлекается от защищаемого ею поля» (стр. 516).

«В результате отвлечения обычно нарушается защита, что приводит к немедленной катастрофе или материальным потерям». (Г. Лисицын «Стратегия и тактика шахматного искусства» 1952 г.).

ეს თავი იწყება დამწყებისათვის უკარგესი მაგალითით იმ თვალსაზრისით, რომ ის წარმოადგენს როგორც გატტუების, ისე შეტტუების კომბინაციის ილუსტრაციას (დიაგრამა 145). (თუმცა ასეთი უზუსტობანი სხვა ავტორებთანაც გვხვდება).

ქვეთავი **„გადაკეტვის კომბინაცია"** იდეა ისეთნაირადაა განსაზღვრული, რომ მეცოდნეს კი „ზირის ოფლი" გამოუვა მასში გასარკვევლად, რაც გამოწვეულია ბონდარევსკის სწორი განსაზღვრის „გაორიგინალებით".

(И. Бондаревский «Комбинации в миттельшпиле» გვ. 45).

მთელი თავი „კომბინაციური თამაში" ძირითადად აღებულია ბონდარევსკის და ლისიცინის (და სხვა ავტორთა) ნაშრომებიდან ისე, რომ მათ ხსენებაც კი არ არის.

ზოთა ინწკირველი
„ეპაჭრაკის ანბანი"?

გადაკეტვის კომბინაციის სილუსტრაციოდ მოყვანილია დიაგრამა 151, მაგრამ არ არის აღნიშნული ის მოტივები, რომლებმაც განაპირობეს გადაკეტვის კომბინაცია. ეს მოტივებია: შავი ლაზიერის გადატვირთვა და რომ შავ ეტლს არ შეეძლია მე-8 ჰორიზონტალის დაფარვა. ამის გარეშე მოყვანილი მაგალითი კარგად სასწავლო ღირებულებას.

დაცვის განადგურების კომბინაცია. შესავალი ამ თავშიც წარმოადგენს ბონდარევსკის ნაწარმის შესაბამისი ქვეთავის შესავალ-ის დამახინჯებულ ქართულ ვარიანტს. სილუსტრაციოდ მოყვანილია ტალ-ნაიდორფის პარტიის რიგული ფინალი (დიაგრამა 158). მაშინ როდესაც ბონდარევსკის შესაბამის ადგილს მოჰყავს აღნიშნული კომბინაციის მეტად მარტივი და ნათელი მაგალითები, ისმის კითხვა: რატომ არ მოუყვა გორგაძეს იგივე (თუ ვერ იპოვა ზღვა საუბრადაო ლიტერატურაში ანალოგიური). პასუხი ცხადზე ცხადია — ის ხომ ორიგინალურ სახელმძღვანელოს წერს!

კომიკურად ჟღერს ფრაზა (გვ. 106): „ეს იციან შავებმა და ეწინააღმეგნა გადასვლა სურთ, მაგრამ რეტი იერიშს ამჯობინებს“ მაშინ, როდესაც ამ პოზიციისათვის რეტიმ 3 პაიკი შესწირა!

ბახსნილი ქიშის კომბინაცია. გაოცებას იწვევს სილუსტრაციოდ ამ მოყვანილი ეკრეგლეგორიჩის პარტიის დამოლოკა, რომელიც წარმოადგენს ღია თავდასხმის კომბინაციის ბრწყინვალე მაგალითს.

ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეიძლება ლაპარაკი სწავლების მეთოდიკაზე, როდესაც მასალის შერჩევაშიც კი უხეში შეცდომებია დაშვებული.

დამბის კომბინაცია. კომიკურია: „შავები ხედავდნენ ამ კონტრდაბმას და პატიოის დათმობის ნაცვლად განაგრძეს თამაში“. თანაც ერთ სვლაში მოიგეს!

ქვეთავი **„რიგვევის კომბინაცია“**. აქ გიორგაძე გვთავაზობს მორიგ „აღმოჩენას“: „ეს კომბინაცია მართებული მხოლოდ მეფის პოზიციის დაუცველების დროს“. საუბრადაო თეორიკ. გვეუბნება, რომ:

«Это возможно в тех случаях, когда защита позиции рокировки слаба по сравнению с силами атаки» (Г. Лисицын «Стратегия и тактика шахмат» 1958 г. стр. 126) или «Лучшей защитой позиции рокировки надо признать пешечный вал, поддержанный фигурами, однако было бы ошибкой думать, что такое укрытие может наверняка избавить короля от всех опасностей. И самая неприступная шахматная крепость может быть взята решительным штурмом, если он основательно подготовлен» (стр. 121).

ქვეთავი **„ბოლო ჰორიზონტალის კომბინაცია“**. გაუმართავი შესავლის შემდეგ: „ბოლო ჰორიზონტალის ფიგურებიც ის დროს აუცილებელია ვარიანტების ზუსტი გამოთვლა“. თითქოს სხვა კომბინაციების დროს არ იყოს აუცილებელი ვარიანტების ზუსტი გათვლა.

ქვეთავი **„პატის კომბინაცია“**. „პატის მისაღწევი კომბინაცია ყოველთვის ლამაზი გამოდის“. საერთოდ, ულამაზო კომბინაცია არ არსებობს.

„მისი მოტივია მეფისათვის ხელოვნურად გზების ჩაკეტვა“. ასეთი „ფორმულირება“ ერთხელ კიდევ ცხადყოფს ავტორის მიერ საუბრადაო თეორიის ზერელე ცოდნას. „გზების ჩაკეტვა“, ე. ი. განხორციელების პროცესი — იდეაა!

«...подавляющее большинство потовых комбинации проводится с помощью тактического элемента на завлечение (Рогоржа ібіідем, „Штуцуцуа“ ибідем. Ш. п.) (С этой целью фигуры или пешки жертвуются на таких полях, занятие которых обеспечивает построение пата» (Г. Лисицын «Стратегия и тактика шахмат» 1958 г. зз. 131).

ეს თავი მთავრდება ქვეთავით „სამაგალითო პარტიები“, რომელიც დამატებულია ახალ გამოცემაში. პარტიები თავისი სირთულით შეუფერებელია დამწყები მოჭადრაკისათვის, მით უმეტეს, რომ პარტიების კომენტარებში შიგადაშიგ ჩართულია ავტორისეული ბუნდოვანი და მცდარი მოსაზრებები.

დებიუტები. შესავალში ეკითხულობთ: „თუ ვერ შეეძლეთ ცენტრში ფიგურების განლაგება, იმას მიანც უნდა მივაღწიოთ, რომ ისინი ზეგავლენას ახდენდნენ მასზე“. გვაოცებს სადებიუტო პრინციპებისადმი ასეთი უდიერი დამოკიდებულება. დებიუტში ბრძოლა წარმოუს, ცენტრისა და განვითარებისათვის. ცენტრის დაუფლება უზრუნველყოფს ფიგურების თავისუფალ მოქმედებას. როგორც ცნობილი, არსებობს ცენტრის დაუფლების ე. წ. კლასიკური მეთოდი — ცენტრის დაკავება პაიკებით და ახალი, უფრო გართულებული. „გზები (იხ. შემდეგში „გრიუნფელდის დაცვა“ და „რეტის დებიუტი“), რომლის ვითომდა ფორმულირებას წარმოადგენს გიორგაძის ზემოთ მოყვანილი ციტატა.

„დამწყები მოჭადრაკე, როგორც წესი ,ბრმად უჯერებს ავტორიტეტებს. ეს დიდი შეცდომაა. აუცილებელია თვითონ შეამოწმოთ ცნობილ მოჭადრაკეთა რეკომენდაციები, გაანალიზოთ ვარიანტები, გამოიმუშავთ საკუთარი შეხედულებები“.

„შენანიშნავი დარიგებაა“ დამწყები მოჭადრაკისათვის. შეუძლებელია დამწყები მოჭად-

რაკე კრიტიკულად მიუდგეს კლასიკოსების შემოქმედებას. ეს იგივეა, *რომ* დედა ენის შემსწავლელ ბავშვს მოვთხოვოთ *კრიტიკულად* მიუდგეს და საკუთარი შეხედულება შეიმუშაოს, მაგალითად, *ტესთაველის* შემოქმედებაზე.

თავი **„ღია დებიუტები“** იწყება ქვეთავით **„ევანსის გამბიტი“**, რაც მეთოდურად გაუმართლებელია. შემსწავლელმა უნდა იცოდეს ტერმინები პარტია, *რომ* ჩაწერდეს ევანსის გამბიტში პაიკის შეწირვის აზრს. საერთოდ, დებიუტების შესწავლის დაწყება გამბიტებით მიუღებელია.

ქვეთავში **„ორი მხედრის დაცვა“** 140-ე გვერდზე ეკითხულობთ: „ამ დებიუტის არჩევისას მზად უნდა ვიყოთ პაიკის შეწირვისათვის“. ხოლო 141-ე გვერდზე კი: „ორი მხედრის დაცვაში შავების ტაქტიკა ასეთია: „ისინი იღებენ შეწირულ პაიკს, შემდეგ კი უკან აბრუნებენ მდგომარეობის ეასათანაბრებლად“. ამაზე ნათქვამი: „ასე, ჩემო მანსაკო, ხან ისე და ხან ასეო“.

ალვნიშნავთ, *რომ* ასეთ წინააღმდეგობაში გიორგაძე ჩაეარდა მიიზელისის სახელმძღვანელოდან («Шахматы» 1960 г.) შესაბამისი ადგილების (გვ. 242 და 244) არასწორი გაგებით.

„წუნარ იტალიერ“ პარტიაში (გვ. 142) თეორების მე-6 სვლა ნაადრევადაა წარმოდგენილი მაშინ, როცა ნაადრევია ორქი, *რომელიც* ერთი სვლით აღრე გაკეთდა და მეტად მნიშვნელოვანი შეცდომაა. ამაზე არც ერთი სიტყვა. ზედმეტი არ იქნება, თუ ვიტყვეთ, *რომ* ეს „ნაადრევი ორქი“ დამახასიათებელია არა მარტო დამწყებათთვის *არამედ* დაბალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეებისთვისაც და მასზე მითითება აუცილებელი იყო.

გამოტოვებულია ბევრი დებიუტი.

თავი **ნახევრად ღია დებიუტები**. შესავალი, *როგორც* წესი, წარმოადგენს აზრობრივად და შინაარსობრივად გაღარიბებულ თარგმანს (იხ. Маизелис «Шахматы». стр. 257).

ქვეთავი **„სიცილიური დაცვა“**. ამ დებიუტის არსი არადამაკმაყოფილებლადაა გაშუქებული. არ არის ავრეთვე ნახსენები „C“ ხაზი, *რომელიც* წარმოადგენს შავების კონტრთამაშის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს, *რაზედაც* აუცილებელია შემსწავლელს ყურადღების გამახვილება. სისტემის მექანიზმისა და შესატყვისი გეგმის ახსნას განა შეცვლის „შავები მუდამ უნდა ფხიზლობდნენ“.

ქვეთავი **„ფრანგული დაცვა“**. შესავალი გადმოცემულია არასრულფასოვნად. სისტემებისა და ვარიანტების იდეური შინაარსის გახსნის მაგივრად ვხვდებით არაფრისმომცემ ფრაზებს. აი, ერთი მაგალითი: „ჩვეულებრივ ამ ვარიანტში შავებს მძიმე, მაგრამ არცთუ უიმედო დაცვა აქვთ, ამიტომ მუდამ უნდა ფხიზლობდნენ. *Кااა*ვარიველია, არც თეორები უნდა ისსდნენ *გულხელდაკრეფილი*“. (*გვ.* 163). სწავლების ეტაპზე (*როგორც ყოველ ფეხის ნაბიჯზე*, *ეს* განმა) იაფფასიანი ფრაზები, *ფუსფუსი*, *ლიტაკონი* წყალი.

თავი **„დახურული დებიუტი“**. შესავალი წარმოადგენს მიიზელისის ზემოთ მოხსენებული სახელმძღვანელოს შესაბამის ადგილს (*გვ.* 267) უხეირო გადასხვაფერებას.

ქვეთავი **„გრიუნფელდის დაცვა“**. აი, *როგორ* უბადრუკად გადმოგვცემს *გიორგაძე* ამ დაცვის არსს: „დიდოსტატ *გრიუნფელდის* (ავსტრია) დაცვაში თეორები ადვილად ქმნიან პაიკთა ცენტრს, *რაშიც* შავები *აჩ* ეწინააღმდეგებიან. თამაში მდიდარია ტაქტიკური ბრძოლით“. ახლა ჩავიხედოთ *ამ* დაცვის სპეციალურ მონოგრაფიაში

(«Защита Грюнфельда» Ю. Кутянин, Я. Эстрин. 1959 г. стр. 3—4) «В защите Грюнфельда, как и в некоторых других дебютах (защита Чигорина, защита Алехина, защита Нимцовича), проблема развития решается по-новому: черные временно уступают Центр противнику, но затем создают фигурное давление на центральные поля, поддерженное пешечными подрывами».

ამ ორი ტექსტის შედარება *გვიჩვენებს*, *რომ* *გიორგაძისეული* გადმოცემა მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია, *რადგანაც* *ის* შემსწავლელს უქმნის *არასწორ* *წარმოდგენას* *ამ* დაცვის *არსზე*.

ქვეთავი **„რეტის დებიუტი“**. შესავალში ეკითხულობთ: 1. *d*3 *d*5 2. *c*4 ეს *არის* ჩეხი დიდოსტატის *რეტის* *დებიუტი*, *რომლის* თავდასმრეული მიზანია ფიგურების *განვითარება* საკუთარ *ბანაკში*, *შემდეგ* *კი* *ბრძოლა* *ცენტრში*. *დებიუტისათვის* *დამახასიათებელია* *კუთა* *ფიანკეტირება* (*გვერდით* *განვითარება*). *რეტის* *დებიუტი* *სოლიდური* *დაწყებაა*. *მას* *ღრმა* *პოზიციური* *თამაში* *მოსდევს*". *ჯერ* *ერთი*, *პაიკის* *სვლა* 2. *C*4 *უკვე* *ნიშნავს* *ბრძოლას* *ცენტრისათვის*. *მეორეც*, *ეაეკვებრია* *რას* *ნიშნავს*: „*მიზანია* *ფიგურების* *განვითარება* *საკუთარ* *ბანაკში*". *ასეთი* *რამ* *არ* *არსებობს*.

რეტის *დებიუტის* *არსის* *განსაზღვრისათვის* *მოგვყავს* *ციტატა* *სოკოლსკის* *წიგნიდან*.

(«Шахматный дебют» 1955 г. стр. 443). «В дебюте Рети, так же как и в индийских началах, продвижение Центральных пешек откладывается до подходящего момента и в первую очередь происходит развитие фигур и фигурное воздействие на центральные поля. Слоны обычно фианкеттируются. Все это характерно для «новых начал».

ზურა ინწკირველი

„ჭადრაკის ანბანი“?

შესავლის მეორე ნახევარი წარმოადგენს პანეგირისა და ენტრინის წიგნიდან („Курс дебютов", გვ. 357) აღებული ციტატის ავტორისეულ თარგმანს.

აქაც გამოტოვებულია ბევრი დებიუტი.

წიგნში — თავი „ჭადრაკი საჭართველოში"— ყველას როდი მიეწერო დამსახურებისდა მიხედვით. მაგალითად, არასაკმარისად არის გაშუქებული სახელგანთქმული ეტიუდისტის, საერთაშორისო ოსტატის გია ნადარეიშვილის შემოქმედება.

ქვეთავი „თამაშის საკალდებულო წესები". ავტორის ხელი შეეხო საკმარაკო კოდექსისაც! მაგ. მე-4 პუნქტი (გვ. 13) რებუსია — ყოველ შემთხვევაში დამწყებთათვის მაინც — ხოლო მე-6 პუნქტი კი უხეში შეცდომა. მეთხეულს შევახსენებთ, რომ გიორგაძეს საერთაშორისო არბიტრის წოდება აქვს!

სახელმძღვანელოში (მეთოდური რჩევა-დარიგების ნაცვლად) თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით იაფფასიან, არაფრისმომცემ გამოთქმებს. აი, ზოგიერთი მაგალითი: „ისეთ შემთხვევაში საჭიროა ფრთხილი თამაში" (გვ. 25), „ახლა ანდერსენმა ფრთხილად უნდა თამაშოს" (გვ. 64), „გულისხმობს ფრთხილ მანევრებს, მოთმინებას და სიფხიზლეს" (გვ. 87), „შავება ფხიზლად უნდა აღვენებდნენ თვალს მტერკის მანევრებს" (გვ. 97) „ბოგოლიუბოვი ფხიზლად იგერიებს მუქარებს" (გვ. 125), „შავები მუდამ უნდა ფხიზლობდნენ" (გვ. 155), „მაგრამ უნდა ფხიზლობდნენ" (გვ. 177), „მუდამ უნდა ფხიზლობდნენ (კამოდის, რომ ჭადრაკი სიფრთხილე და სიფხიზლეა!) რასაკვირველია, კრეკ თეთრები უნდა ისხდნენ გულხელდაკრეფილი" (გვ. 163). „პოზიციურ ბრძოლას დარბაისლური თამაშის იერი აქვს" (გვ. 63), „შემტევი ფიგურების დაცხრილვა" (გვ. 79), „ალიოხინის დაცვის დამრღვევი თამაში არ არსებობს" (გვ. 168), „უფიმცევის დაცვის დამრღვევი ბუნები ბაგრს შეაშინებდა, მაგრამ არა მოსკოველ დიდოსტატს" (გვ. 100).

გულთმისანიც რომ იყოთ, ავტორის აზრს ვერ გამოიცნობთ — „ჩიგორინს ... ეფეა არის ცენტრის „გამოთიფვა" ფიეფარიანი" (გვ. 168).

ეკერიოზულია 145-ე დიაგრამაზე მოცემული პოზიციის განხილვა: „კომბინაციის მოტივი მხედრით ერთდროულად ქიშის გამოცხადება და ლაზიერზე თავდასხმა". ეს ხომ მიზანია! (თუ გნებავთ, თემა). ჭადრაკში არის საკითხები, რომელთა შორის მკვეთრი ხაზის გავლება ძნელია, მაგრამ კომბინაციის მოტივი და მიზანი ხომ სულ სხვადასხვა პოლუსებია!

გიორგაძე სარგებლობს მთელი რიგი ავტორების ნაშრომებით ისე, რომ არსად არ მოუთითებს მათ. წიგნს გამოყენებული ლიტერატურის სიაც კი არ გააჩნია.

ბუნებრივია, ჩვენ არ აღვენიშნავს სახელმძღვანელოში ყველა ჩვენს მიერ შენიშნული ნაკლოვანება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წიგნში თითქმის არ არსებობს როგორც საჭადრაკო, ისე ჭადრაკის სწავლების მეთოდიკის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად გამართულად დაწერილი გვერდი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან აშკარად ჩანს, რომ თ. გიორგაძის სახელმძღვანელო ძირითადად წარმოადგენს სხვადასხვა ავტორების ნაშრომთა უბადრუკ კომპილაციას. ის ყოველდა გამოუსადეგარია დამწყები მოჭადრაკისთვის, და შეუძლია მხოლოდ ზიანი მიაყენოს მოჭადრაკის ჩამოყალიბებას. სამწუხაროა, რომ ეს სახელმძღვანელო გამოიცა და ისიც ორჯერ (ხარისხის ხუთშწლედში ყოველად შეუწყნარებლად მიგვაჩნია მსგავსი მდარე ხარისხის სახელმძღვანელოს რეკომენდირება გამოსაცემად.).

ქართველ ახალგაზრდას ნამდვილად სჭირდება ჭადრაკის კარგი სახელმძღვანელო მშობლიურ ენაზე. თუ ჩვენ არ ძალგვიძს შეექმნათ ორიგინალური სახელმძღვანელო, მაშინ უმჯობესია (და სასრთოდ აუცილებელია!) თარგმნოს ქართულ ენაზე, ცნობილ მოჭადრაკეთა და პედაგოგთა წიგნები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტეფანია ბროკენბერკა
(პოლონეთი)

ოპერაცია „გწ“

სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. ჩვენ ვიგინებით! ვწუეევლით და ვკრულვით ამქვეყნად ყველას და ყველაფერს.

სავარაუდო სიტყვებია. „ეშმაკმა დალახვროს“, „მაიმუნი“, „მამაძაღლი“, „მოსასპობი“. დანარჩენების ციტირებას არ ვახდენ, რადგან მეშინია, ჩვენი ენობრივი ტემპერამენტის მსხვერპლი არ გავხდე.

მარტო გაბრაზების დროს კი არ ვიგინებით, ვიგინებით აღფრთოვანების გამოც.

— რა ლამაზი გოგონაა, ეშმაკმა დალახვროს!

გაკვირვების დროს:

— ჩინებული მუშაკია, ეგ მაიმუნი-მამაძაღლი! სიხარულის გამო.

— პრემია მივიღე, შე მოსასპობო!

მდიდარი და მშვენიერია ჩვენი ენა. ჩვენ კი უფვანი სიტყვებით ვცდილობთ გამოვთქვათ სრულიად საწინააღმდეგო გრძნობები. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ოპერაცია „გწ“-ს (ვიგინების წინააღმდეგ) დაწყებას.

მეთოდი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. პირადად მე ფუფლადი ჯარიმის მომხრე არა ვარ. ვიგინება ძველ-რბილში გამგდარი ჩვეულა და ჯარიმის დაწესებამ საქმე შეიძლება იქამდე მიიყვანოს, რომ ხალხს ერთ დღეს შეიტანოს მთელი თავისი ხელფასი.

თვის ბოლოს კი კაცმა შეიძლება ასეთი საუბარს მოაკრას ყური:

— მასესხე რა ფული „მამაძღლისათვის“, პირველი რიცხვის შემდეგ მოგცემ.

— ეჰ, სადა მაქვს მე თვითონაც ვაცეკს გამოვართვი ერთი „მოსასპობისა“ და ორი „მაიმუნისათვის“.

არა, სხვა მეთოდის გამონახვაა საჭირო. ვიწყებ ყველას: შეიძლება რომელიმე თქვენგანმა უფრო მარჯვე მეთოდი მოიფიქროს.

ჯერჯერობით კი განსახილველად გთავაზობთ ჩემს საკუთარ პროექტს. ისევე, როგორც არუას მსუბუქი ფენინი შეცვლას ვცდილობთ, მოდი, ვცადოთ და „მამაძაღლი“ რომელიმე უფრო ხასიამოვნო, მხიარული და ლამაზი სიტყვით შეცვალოთ, თუნდაც უვაველებით. მგონი, ამას აზრი აქვს...

კინო-თეატრის სალარასთან რიგში:

— რა მოჯლეგეულებს მკრავ, ნემსიწვერამ წაგიღოს!

— შენ რაღას ქოთქოთებ, შე ზიზილა!

დაწესებულების მისაღებ ოთახში:

— ო, ედიდვაისი! რატომ არ დამხედა, დღეს ვიყავი დაბარებული, შრომანაც დასცემია თავზე მეგობრებს შორის:

— ეს ჰოკასია ამ ბოლო დროს ისეთი ზამბახი გახდა, რომ ალბანა ჭირს.

— შენ გგონია, რომ შიპაკოვა უკეთესია? არც ის არის ნაკლები გვირილა.

ტრამვაიში:

— გაიწი, რა, შე ყაყაჩო! დგას და აღარავის ატარებს, ეს ენერეა ესა!

— შენ რაღას იბრაწვები, თუ ტრამვაი გეგიწროვება, ტაქსით შეგიძლიან წაბრძანედე, შე ყოჩივარდა!

— ყოჩივარდას ხმა მესმის, შე მართლა ბალის არჯაკელო და ქრიზანთემის შვილო!

— კეცნენ კი დაგლახვროს! შენთან ლაპარაკი არ ღირს...

მოდი, დავიწყოთ ოპერაცია „გწ“ ჰა, რას იტყვით? ავნენ ბოლოს მართლა გადავეჩვიოთ გინებას, ეშმაკმა დალახვროს!

მანფრედ მაგნუსი
(ადრ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიული ჩვევა

ტრამვაი ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ აშკარად შესმოდა, თუ როგორ ჭრიალებდნენ მისი კედლები. ჩემს წინ მდგომი კაცის ხშირი გრეხა თმა პირში მერჩხებოდა. მერჩხებოდა კი არა, ე

მაგენიერა. ფეხები კარგა ხანია, რაც ბეერში მჭონდა აშვერილი, თანაც შიშველი, რადგან ფეხსაცმელი ვიგონში შესვლისთანავე დავკარგე.

წინა დერეფნიდან ცივი და ძლიერი ქარი უბერავდა. ვიღაცამ დაახვეო და ბრაზიანად წამოიძახა:

— გამჭოლი ქარია, კარი დახურეთ!

ეს სიტყვები მთელმა ვიგონმა აიტაცა. შეწუხებული მგზავრების მზერა იმ კაცისაკენ იყო მიპყრობილი, რომელიც კართან იდგა. საბრალო ისე იყო შეშინებული, რომ მიუხედავად დიდი სურვილისა, ოდნავ განძრევაც არ შეეძლო. ამ კაცს ჰქონდა ღია ცისფერი, თვინიერი თვალები, ნაცრისფერი შლაპა ეხურა. დანნაშაულავით იღიმებოდა.

— რა თავხედობაა! მაკეტეთ კარი!

— ეტყობა, ტვინი აქვს გაყინული!

ცისფერთვალება კაცი ისევ თავაზიანად იღიმებოდა. მგზავრებს მოეჩვენათ, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— გადაადგეთ ვაგონიდან!

— შავ ბირსაც წაუღია!

— მაგნაირ პირუტყეს კაცმა კისერი უნდა მოუგრიხოს!

— ერთი თავში წამოარტყეთ, ეგების ტვინი აუმუშავდეს!

— ლანძღვა-გინების ესოდენ შეუკავებელი ნიაღვარი ხულაც არ აღწევდა ცისფერთვალებას გულამდე. იგი უწონდებურად მოთმინებით და გულღიად იღიმებოდა.

ჩემს გაჩერებასთან რომ მივედი, დიდი ჯაფის შედეგად ძლივსძლივობით გავძვერი გახასველლისაკენ. ნაცრისფერშლაპიანი კაცი წინ წამიძღვა.

— უკაცრავად — გამოველაპარაკე მას და თან გაოფლილი კისერი მოვიწმინდე ხაოდანლაც ჩემს ჯიბეში მოხვედრილი ხსნისი ცხვირსახოცით.

— უკაცრავად, როგორ შეძელეთ მშვიდად ავეტანთ ასეთი ლანძღვა-გინება? ალბათ ნეგროთათოლოგი ბრძანდებთ, ანდა სპეციალ განყოფილებაში მუშაობთ?

მან თავი გაიქნია.

— არა, მომიგო ოდნავ გაღიმებულმა, — ფეხბურთის მსაჯი ვარ.

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა.

ნახატები დიმიტრი ერისთავისა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ნ. ციცაშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. მდგივანი-მემანქანე — 93-53-35. პ. მგ. მდგივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ცისკრის“ დამატება — 93-17-63. საკორექტორო — 99-85-28.

გადაეცა ასაწყობად 18/IV-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VI-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 15,35. შეკვეთა 1389. უე 00724. ტირაჟი 31.000.

სტ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ბ 71/101

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236